# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი. № 19 (2798) გამოცემის 63-ე წელი, 1991 10 მაისი. ფასი 40 კაპ.






ნიქორწმინდა.
29 აპრილი.

გასულ კვირას საქართველოს მწერალთა კავშირში შექმნილ კომისიაში კვლავ გრძელდებოდა მიწისძვრით დაზიანებული რაიონებისათვის თანხის შეგროვება. 1000-1000 მანეთი გაიღეს გრიგოლ აბაშიძემ, ჯაბუა ამირეჯიბმა, თენგიზ ბუაჩიძემ, გივი კარბელაშვილმა, რევაზ მიშველაძემ, შოთა ნიშნიანიძემ, მორის ფოცხიშვილმა; 500 მანეთი ტაბუ მებურიშვილმა, ლევან ხაინდრავამ. ბევრმა მწერალმა შემოიტანა სხვადასხვა ოდენობის თანხა.

საქართველოს მწერალთა კავშირის ზუგდიდის განყოფილებამ 10 ათასი მანეთი გადარიცხა, ჟურნალ „მნათობის" თანამშრომლებმა — 3 ათასი მანეთი, ჟურნალ „ცისკრის" დამატება „ნობათმა" — ათასი მანეთი, გამომცემლობა „მერანთან" არსებულმა კოოპერატივმა „მწერალმა" — ათასი მანეთი.

დახმარების შემოტანა გრძელდება.

შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხა დაზარალებულთა ფონდში, საქართველოს ბინსოცბანკის საოპერაციო სამმართველოში გახსნილ №001700272 ანგარიშზე.

●

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის სამწერლო ორგანიზაციამ 29 აპრილს მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული რაიონების დახმარების ფონდში შეიტანა ათას ორასი მანეთი.

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის სამწერლო ორგანიზაციის გამგეობა

## 1990 წლის ლიტერატურული პრემიები

გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემიების მიმნიჭებელი კომისიის სხდომა, რომელმაც ჟურნალ-გაზეთების რედაქციების მიერ წარმოდგენილი, 1990 წელს დაბეჭდილი ნაწარმოებებიდან პრემიები მიანიჭა შემდეგ ავტორებს:

პროზაში—ვლადიმერ სიხარულიძეს — მოთხრობისათვის „მტარვალი" (ჟურნალი „მნათობი", №18),

პუბლიცისტიკაში — მერაბ კოსტავას — ჟურნალ „მნათობში" დაბეჭდილი წერილებისათვის: „გზა ჭეშმარიტებისკენ" №8, „ტურიზმი და ძეგლები" — №5, „გალაკტიონი" — №6, „მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობა საქართველოში" №7, „ფერიცვალების მოლოდინში" — №9, „მოსახლეობის მიგრაციის შესახებ" — №10, „ეკოლოგიური ომი საქართველოს წინააღმდეგ" — №12.

კრიტიკაში — ემზარ კვიტაიშვილს — წერილისათვის „შუაკაცი" (ჟურნალი „განთიადი" №8 და №9).

დრამატურგიაში — ლაშა თაბუკაშვილს — პიესისათვის „ნატაძრალზე" (ჟურნალი „ცისკარი" №8).

ოთარ ჭილაძეს — პიესისათვის „ლაბირინთი" (ჟურნალი „მნათობი" №11).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიწის ნგრევა, ზეცის გადაფერდება!

კიდევ ერთხელ დაატყდა უბედურება რაჭას, კიდევ ერთხელ შეძრა და შეაძრწუნა სტიქიამ ონისა და ამბროლაურის რაიონების მოსახლეობა. არადა, თითქოს ის იყო იშუშებდა ამ ოთხი წლის წინ დიდთოვლობით მიყენებულ ჭრილობებს რაჭველი კაცი, ბოლოდროინდელი იმედისმომცემი ცვლილებებით გულგამაგრებული სასოებითა და რწმენით შემყურებდა მომავალს...

29 აპრილის არნახულმა ნგრევამ ძირფესვიანად შეაზანზარა რაჭა. გამძვინვარებულმა ბუნებამ კიდევ ერთხელ დააჩნია ღრმა, ავადმოსაგონარი კვალი რაჭველთა ცნობიერებას.

●

ძალზე მძიმე და, თანაც, უცნაური სანახავია ონი და ამბროლაური. ეს ერთ დროს მყუდრო, კოპწია დაბები ახლა კარვების ქალაქებად ქცეულა. ყველგან ხშვადახვა ზომის კარვები, ბრეზენტები და ცელოფანებია გაშლილი — ქუჩებში, ტროტუარზე, ეზოებში... შენობა-ნაგებობებიდან ზოგი მთლიანადაა დანგრეული, ზოგი — ნახევრად, ზოგიც უცვლელად დგას, გეგონება ერთი კენჭიც არ გადმოვარდნილაო, მაგრამ საკმარისია შიგნით შეხვიდე, რომ უმალ დარწმუნდე — სახლი საცხოვრებლად აღარ გამოდგება, ისეა დაბზარული და დახლეჩილი ჭერი თუ კედლები.

მსგავსი მდგომარეობაა სოფლებშიც. ყველგან თვალშისაცემია ძლიერი ნგრევის კვალი — ჩამოქცეული კედლები, ჩამოშვავებული და ერთმანეთში არეული ბლოკი, აგური და ქვიტკირი, ნანგრევებზე სოკოსავით ჩამომხობილი თუნუქის სახურავები, საფუძველგამოცლილი, მაგრამ ოთხიოდ ბოძზე სასწაულით გაჩერებული ხის ზემო სართული... ნამარ, აოხრებულ ადგილებს ჩამოჰგავს ეს ერთ დროს მშვენიერი სანახები.

ისტერიულ შიშს მოუცავს მოსახლეობა, ჯერ კიდევ არ გაუვლია შოკს. პანიკას კიდევ უფრო აძლიერებს ყოველდღიური მიწისქვეშა ბიძგები, გადარჩენილ სახლებში შესვლასაც ვერ ბედავენ შეძრწუნებული ადამიანები, კარვებში ათევ-ალამებენ. მღელვარედ იხსენებენ იმ ავადმოსაგონარ წამებს: უეცრად რაღაც უცნაური ქარი ამოვარდა, თითქოს ჩამობნელდა კიდეც და მიწამ დაიწყო საშინელი ღმუილი და რყევა, ზღვის ტალღებივით ადი-ჩამოდიოდა და არაფერს აჩერებდა ზედაპირზე. ოც წამს გაგრძელებულა ეს კოშმარი. ცდილობ გონების თვალით წარმოიდგინო ეს შემზარავი სურათი და უნებურად გახსენდება გალაკტიონის აპოკალიპტური ხილვა — „ზეცის ნგრევა, მიწის გადაფერდება“. თუმცა, ამჯერად იქნებ პირიქით უფრო იყო: მიწის ნგრევა, ზეცის გადაფერდება!

●

მიწისძვრის შედეგად ქალაქ ონში სახლების 85 % საცხოვრებლად უვარგისია. თითქმის მთლიანად დაინგრა და დაზიანდა სოფლები: ირი, ჩორდი, ქვედი, წედისი, ონჭევი, ბაჯიხევი, შქმერი, მრავალძალი, ბოყვა, ჭორთა, ფარახეთი, ხირხონისი, ქრისტესი, ღუნდა... სულ 55 სოფელია ონის რაიონში დაზიანებული. 4100 სახლიდან 4000 საცხოვრებლად უვარგისია.

ამბროლაურში დაინგრა 16 სახლი, 75 % სახლებისა კი საცხოვრებლად აღარ გამოდგება. განსაკუთრებით დაზიანდა სოფლები: წესი, მუხლი, ხიდიკარი, ხიმში, სადმელი, ძირაგეული, ველევი, ხხვავა, თლუღი, ჭელიადელე და სხვა.

რაიონში 2414 სახლი საცხოვრებლად აღარ გამოდგება, 1002 სახლი ნახევრად დაინგრა, 186 — კი მთლიანად გასწორდა მიწასთან.

განსაკუთრებით დაზიანდა ისტორიული ძეგლები: ნიკორწმინდის ტაძარი, ბარაკონი, ონის სინაგოგა, მინდაციხე, ხოტევის ციხე, ბუგეულის ციხე... მთლიანად დაინგრა მრავალძალის წმინდა გიორგის ეკლესია და კვარაციხე.



მრავალძალის ეკლესია. 29 აპრილი

●

ცამეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა მიწისძვრამ რაჭაში. ამათგან ორი მცირეწლოვანი ბავშვია — ლაშა ისაკაძე და მაია გაგნიძე, ორიც ღრმად მოხუცებული — გაბრიელ ბრეგვაძე და ოლღა გამყრელიძე.

თავის კაბინეტში მოუსწრო მიწისძვრამ ირის საშუალო სკოლის დირექტორს ნოდარ შერაზადიშვილს. შეირყა თუ არა კედლები, დერეფანში გამოვარდა და შეშინებული ბავშვები და მასწავლებლები გამოიყვანა ეზოში, შემდეგ უკანვე შებრუნდა, ალბათ, იმის შიშით, შენობაში ხომ არავინ დარჩაო და სწორედ ამ დროს ჩამოიქცა სკოლა... ალბათ, ბედისწერა იყო, იმავე წამს მთლიანად დაინგრა მისი მამა-პაპეული სახლი სოფელ ონჭევში და საცხოვრებელი ბინა — ირში.

მხოლოდ მესამე დღეს, მაშველი ჯგუფის დახმარებით იპოვეს ნოდარ შერაზადიშვილის გვამი სკოლის ნანგრევებში.

●

5 მაისს ონისა და ამბროლაურის რაიონები მოინახულა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ. მას ახლდნენ ამერიკის საელჩოს წარმომადგენლები, მთავრობის ხელმძღვანელები, პრესისა და ტელევიზიის მუშაკები. პრეზიდენტი გულდასმით გაეცნო მიწისძვრის რაიონებში შექმნილ ვითარებას, შეხვდა და ესაუბრა ადგილობრივ მკვიდრთ, მოინახულა ყველაზე მეტად დაზიანებული სოფლები. ონის მიწისძვრის სალიკვიდაციო შტაბში ზვიად გამსახურდიამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ უმოკლეს დროში უნდა გადავუჭრათ დაზარალებულ მოსახლეობას ყოველგვარი პრობლემა — კარვებით, სურსათ-სანოვაგით, ტანსაცმლით, მედიკამენტებით მომარაგება, თანაც ყველაფერი უნდა განაწილდეს სამართლიანობისა და თანასწორობის დაცვით, რათა ხალხს არ აღეძრას ეჭვი და უნდობლობა, როგორც ეს წინა წლებში ხდებოდა. — მთავარია, რომ დიდ მსხვერპლს გადავრჩით, დანარჩენს ყველაფერს ეშველება, მალე ყველაფერს აღვადგენთო — დასძინა ბოლოს პრეზიდენტმა.

●

როგორც ვთქვით, თითქმის ყველა სახლი და ნაგებობა დააზიანა მიწისძვრამ. მხოლოდ მცირე ნაწილი გადაურჩა ნგრევას და ისიც მამაპაპეული ხის სახლები. თავად განსაჯეთ, ბლოკით, ქვიტკირითა და რკინა-ბეტონით ნაშენები ახალი სახლები დაინგრა, დროუამისაგან გახუნებული თელისა და წაბლის მასალით ნაგები ძველი, კოხტა ოდები კი ურყევად დგას, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

რაზე მიგვანიშნებს ეს მრავლისმეტყველი ფაქტი? ხომ არ აჯობებს მომავალში გონიერი წინაპრების გზას დავადგეთ და თავი დავანებოთ ტრადიციული ქართული ოდასახლების ნაცვლად რკინა-ბეტონის სასახლეებისა და გალავნების შენებას, ასე რომ დაამახინჯა და გააუსახურა ჩვენი წალკოტივით სოფლები. ვინ იცის, იქნებ მიწისძვრის ერთ-ერთ მწარე გაკვეთილად ესეც გამოდგეს.

●

უამრავი ადამიანი ირევა ყოველდღიურად პრეფექტურასთან. მრავალი პრობლემა აწუხებთ დაზარალებულებს, ითხოვენ სურსათს, ტანსაცმელს, ლოგინს, ათასგვარ აუცილებელ წვრილმანს. ყველაზე დიდი მოთხოვნილება მაინც კარვებზეა, კარვები არ ჰყოფნით უსახლკაროდ დარჩენილთათვის. მიუხედავად იმისა, რომ მიწისძვრის სალიკვიდაციო შტაბის წევრები ყველაფერს აკეთებენ გაჭირვებულთა დასახმარებლად, აქაიქ მაინც გაისმის უკმაყოფილო ხმები და, ვინ იცის, იქნებ სამართლიანადაც. ალბათ ძალზე ძნელია, წლობით ნაშენები და ნალოლიავები სახლ-კარი თავზე ჩამოგექცეს და ქუჩაში დარჩე ცარიელ-ტარიელი, მით უმეტეს, თუ ახლო მომავალში ჩვეული ცხოვრების პირობების აღდგენის პერსპექტივა ჯერ კიდევ ბუნდოვანია.

და ბოლოს, ერთი საგულისხმო და სასიამოვნო დეტალიც: ხომ ასეთ უკიდურეს გაჭირვებაში აღმოჩნდნენ, დაზარალებულებს მაინც არ სურთ მშობლიური კუთხის მიტოვება და სხვაგან ჩასახლება — არსად წამსვლელები ჩვენ არა ვართ, აქ დავიბადეთ და აქვე დავიმარხებითო — ამბობენ რაჭველები და გულის სიღრმეში სჯერათ, რომ მოწყალე ღმერთი არ გასწირავს რაჭას, არ გასწირავს ერთიან საქართველოს.

**უჩა შერაზადიშვილი,**

ჰონორარი გადაირიცხება მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში.

## ნიკორწმინდაზე თქმული

უგნურთ ზეობა მას თანდათან აცლიდა ძალას,
მაინც ოცნებით ასცქეროდა დღედაღამ ზეცას,
ფეხქვეშ ნაყოფი უგულობის, — შაორის ტალღა, —
განუგმირავი გველეშაპის მაგივრად იწვა.

უსაზღვროდ კეთილს, მპატიებელს და მომთმენს ურვის,
კვლავ სიყვარული ელვრებოდა სხეულში ღვთისგან,
შეუბრალებლად ჩამობნელდა წამით ნათელი,
სულშეხუთული არც იტყობდა საკუთარ წუხილს,
იდგა ნუგეშად, სასოებად, იმედად იდგა.

და როს სატანამ იმძლავრა და ქვეყანა შეძრა,
თვით შეეგება ჩვენთვის მოსულ ავსულს და ეშმას,

საკუთარ მკერდით დაგვიფარა უფლის სახელით.
დიდება უფალს, უფლის სახლო, ვაების მთმენო,
დიდება შენდა ნიკორწმინდავ, მფარველო ჩვენო.

**გოჩა აბუთიძე**





პაატა ნაცვლიშვილის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება, რეპლიკა, მოსაზრება

## ღია წერილი საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის დირექტორს რევაზ ღლონტს

ბატონო დირექტორო, მოგეხსენებათ, რომ ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, რაც ჩვენს რესპუბლიკაში წარმატებით ხორციელდება. უთუოდ დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის თვითგამოცემების დანერგვა, რაც თანდათანობით დიდ გაქანებას ღებულობს. ეს ახალი საქმე მხოლოდ და მხოლოდ მოსაწონია და ყოველმხრივ ხელშეწყობას მოითხოვს.

მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, დიდ წამოწყებას ხშირად თან დიდი ნაკლიც ახლავს, რაც ზოგჯერ ლამის ჩრდილავს ამ წამოწყების დადებით მხარეებს და ისიც მოსალოდნელია, რომ ეს თავისთავად სასიკეთო პროცესი მთელი საზოგადოების საზიანოდ წარიმართოს. სწორედ ასეთი ვითარების სიმპტომები აშკარად ჩანს მეცნიერული და მხატვრული ლიტერატურის თვითგამოცემის თანამედროვე ეტაპზე. ამჟამად, როდესაც რესპუბლიკა ქაღალდის მწვავე დეფიციტს განიცდის, რის გამოც ვერ იბეჭდება მთელი რიგი ფრიად მნიშვნელოვანი სამეცნიერო თუ მხატვრული ნაწარმოებები და გარკვეული პაუზებით გამოდის ცენტრალური რესპუბლიკური გაზეთები, კოოპერატორები ახერხებენ, რომ მრავალათასიანი ტირაჟით და თანაც საუკეთესო ქაღალდზე, ავტორის ხარჯზე გამოსცენ ისეთი თხზულებანი, რომელთა მეცნიერული ან მხატვრული ღირებულება მეტისმეტად დაბალია. ზოგჯერ ასეთი გამოცემების სატიტულო გვერდებზე ვკითხულობთ: „წიგნი იბეჭდება ავტორის ხარჯზე, ხოლო მის მეცნიერულ (ან მხატვრულ) დონეზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი“. ასეთ ვითარებაში შეიძლება ნებისმიერი თხზულება დაიბეჭდოს. თუნდაც პათოლოგიური ცნობიერების პროდუქტი.

ბატონო დირექტორო, იმედი გვაქვს არ დაუშვებთ ქართული სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის არსენალის შემდგომ უმოწყალოდ დანაგვიანებას, რაც შეიძლება მოჰყვეს ყოვლად უკონტროლო თვითგამოცემების საქმეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვითგამოცემა უნდა ეხებოდეს სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის მარტოოდენ მატერიალურ მხარეს (ფინანსები, ქაღალდი, სტამბა და სხვ.) და არა მის სამეცნიერო ან მხატვრულ ღირებულებას. ჩვენი წინადადებაა, რომ თვითგამომცემლობა, გარდა მატერიალური მხარისა, დაექვემდებაროს ყველა იმ მოთხოვნას, რასაც ჩვეულებრივად უყენებენ გამოსაცემ სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურას. ეს ნიშნავს, რომ სავალდებულოდ მიგვაჩნია სამეცნიერო საბჭოს თუ ლიტერატურული ორგანიზაციის რეკომენდაცია წიგნის გამოცემის თაობაზე, საგამომცემლო გეგმებისა და ანოტაციების განხილვა-დამტკიცება, რეცენზირება, სამეცნიერო ან მხატვრული რედაქტორი, რომელიც ავტორთან ერთად პასუხისმგებელი იქნება გამოცემულ პროდუქციაზე და ა. შ. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ავცდებით ქართული სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის სწრაფ დეგრადაციას. კიდევ ერთხელ გთხოვთ ყურადღებას სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის თვითგამოცემების მიმართ, რათა თავიდან ავიცილოთ ის ქაოსი გამომცემლობის საქმეში და წიგნის ბაზარზე, რაც ამჟამად დღითიდღე ენერგიულად მკვიდრდება.

ღრმა პატივისცემით
**სერგი ავალიანი**

# აუტკივარ თავს ნუ აიტკივებთ

### კვლავ ასომთავრულის შესახებ

ქართულმა დამწერლობამ, როგორც ცნობილია, განვითარების დიდი გზა განვლო. V—IX საუკუნეებში და შემდეგაც, XI ს.-მდე იხმარებოდა ასომთავრული ანუ მრგვლოვანი. ყველა ასო-ნიშანი ერთი სიმაღლისა იყო. მისი განვითარების შედეგად IX საუკუნიდან წარმოიშვა ნუსხური ანუ ნუსხახუცური დამწერლობა. ახლა უკვე ასოები სხვადასხვა სიმაღლისაა: ზოგი იწერება ორ ხაზს შორის, ზოგი — სამსა და ზოგიც — ოთხ ხაზს შორის.

ნუსხურის წიაღში X ს.-იდან ვითარდება მხედრული დამწერლობა, რომლითაც დღესაც ვსარგებლობთ.

ნუსხურით შესრულებულ ხელნაწერებში, სათაურებსა და აბზაცების დასაწყისში გამოყენებულია მთავრული ასოები. მეტი ფუნქცია მათ არ განვითარებიათ.

ჩვენს დღევანდელ დამწერლობაში მთავრული ასოები (განსხვავებით ევროპული ენებისაგან) არ იხმარება.

ახლა დროდადრო გაისმის ხმები, შემოვიღოთ ქართულში მთავრული ასოები და ასეთებად გამოვიყენოთ ძველი ქართული ასომთავრულიო. არამც თუ ხმები გაისმის, აქა-იქ ცდილობენ კიდევაც ამ წესის დამკვიდრებას.

რამდენად მიზანშეწონილია ძველი ასომთავრულების აღდგენა და მხედრულ დამწერლობაში მათი ჩართვა? პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. ეს გამოიწვევს ბევრ სირთულეს, გაჩნდება ბევრი გადაულახავი დაბრკოლება.

ერთი შეხედვით თითქოს რა უნდა: დავიწყებთ წინადადებას მთავრულით ან ვისიმე, რისამე საკუთარი სახელის თავში დავწერთ ასეთ ასოს. მაგრამ ასე მარტივად რომ იყოს საქმე!

ჩვენთვის ცნობილ სხვადასხვა ენაში, რომელთა მართლწერაში მთავრული ასოები გამოიყენება, სხვადასხვა წესია მათი ხმარებისა. მაგალითად, გერმანულში ყველა არსებითი სახელი იწყება მთავრულით, ინგლისურში, განსხვავებით სხვა ენებისაგან, რისამე სათაურის ყველა შემადგენელი სიტყვა მთავრულით იწყება. ფრანგულსა და რუსულში არც ერთი ეს წესი არ მოქმედებს.

რომელს გავყვეთ? ზოგი გვეტყვის ალბათ, ჩვენთვის ყველაზე კარგად რუსულია ცნობილი და ეს ავიღოთ ნიმუშადო. მაგრამ რუსულ მართლწერაში რომ ამ მხრივ ყველაფერი ნათელი არ არის? მაგალითად, რუსები „როდინა“-ს დიდი ასოთი წერენ (Родина), თუ ამ სიტყვაში თავიანთ სამშობლოს გულისხმობენ, ხოლო — პატარით (родина), თუ სხვის სამშობლოზეა ლაპარაკი, „ღმერთის“ სახელს ათეისტები პატარა ასოთი წერენ (бог), მორწმუნეები და რელიგიის შემწყნარებლები — დიდით (Бог). თუ პრეზიდენტი იგულისხმება ქვეყნისა, მთავრული ასოთი იწერება (Президент), მაგრამ თუ, მაგალითად, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტზეა საუბარი — პატარით (президент). ასევე, სიტყვა „რესპუბლიკას“ ხან დიდი ასოთი წერენ, ხან — პატარით (გააჩნია კონტექსტს). და რამდენიც გნებავთ.*

კიდევ უფრო რთულად არის რუსულში ამ მხრივ საქმე, როდესაც რაიმე დაწესებულების, ორგანიზაციის და მისთანათა დასახელება რამდენიმე სიტყვისაგან შედგება. მაგალითად, ისეთ შესიტყვებაში, როგორიცაა Академия наук ან, ვთქვათ, Добровольное общество содействия армии, авиации и флоту (შემოკლებით ДОСААФ), როგორც ვხედავთ, მთავრული ასო იწერება მხოლოდ თავში, ხოლო შესიტყვებაში Центральный Комитет Коммунистической Партии Советского Союза — ყველა შემადგენელს დიდი ასოთი წერენ. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ცენტრალური კომიტეტი თუ პარტიისა კი არ არის, არამედ, ვთქვათ, წითელი ჯვრის საზოგადოებისაა, იწერება ასე: Центральный комитет („комитет“ — პატარა ასოთი).

დავტვირთოთ ქართული მართლწერა ამ და სხვა (აქ არმოყვანილი) სირთულეებით?

ამბობენ, ასომთავრულის აღდგენით ბალღებს შევასწავლით ძველ ქართულ წერა-კითხვასო. მაგრამ ძველი ქართული დამწერლობა მარტო ასომთავრული ხომ არ არის? ასევე იქნება საჭირო სწავლება ნუსხურისა, რომლით შესრულებული ხელნაწერები გაცილებით მეტია შემორჩენილი.

ასომთავრული, მხედრულში გარეული, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ყვირის“, ამოვარდნილია ტექსტიდან. იგი, პოლიგრაფისტების ენაზე რომ ვთქვათ, სრულიად განსხვავებული გარნიტურისაა. რაც შეეხება ლათინურ (აგრეთვე რუსულ) დამწერლობას, მასში დიდი ასოები ორგანულად ერწყმის ტექსტს, რადგანაც პატარების გვერდით, მათთან ერთად ვითარდებოდა.

ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ძველი ქართული დამწერლობის ზოგი ასო არ განირჩევა ახლისაგან. მაგალითად ს. როგორც არ უნდა ვეცადოთ, ამ ასოს ვერ ვაქცევთ მთავრულად და ვერ გავარჩევთ მისი პატარა ვარიანტისაგან. ასევეა მ და ძ. ანდა ავიღოთ შ. იგი ძველ ქართულში თანამედროვე ყ-ს მოგვაგონებს და თუ მას გამოვიყენებთ წერაში, ველარ გავარჩევთ ამ უკანასკნელისაგან. განსაკუთრებით გაგვიჭირდება სამი დასახელებული ასოს გამოყვანა წერაში.

ახლა მოდად იქცა ზოგი გაზეთის (და არა მარტო გაზეთის) სათაურის დასაწყისში ძველი ასომთავრულის გამოყენება, რაც არაფრით არ არის გამართლებული.

იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ ბალღებმა თითო ასოს ნაცვლად წყვილ-წყვილი უნდა დაიხსომონ და ერთიორად გაუძნელდეთ მათ წერა-კითხვის შესწავლა (ამას, ალბათ, დაგვიდასტურებენ პედაგოგიკისა და ბავშვთა ფსიქოლოგიის სპეციალისტები). ეს მაშინ, როდესაც უცხოეთში არის ტენდენცია მთავრულ ასოებზე საერთოდ უარის თქმისა.

ჩვენი აზრით, ასომთავრულის შესწავლის ნაცვლად, რომელიც არსებითად მხოლოდ სპეციალისტებს (ფილოლოგებს) სჭირდებათ, ჯობია სკოლაში მეტი დრო დაეთმოს სუფთა წერას, მოთმინებით ვასწავლოთ ბალღებს თანამედროვე ქართული კალიგრაფია.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ძველ ქართულ ასომთავრულებს შემოვიღებთ, უნდა ვიზრუნოთ კიდევაც მათს სხვადასხვა მოდიფიკაციაზე სასტამბო მეურნეობისათვის (უამისოდ არაფერი გამოვა). გამომცემლობათა რედაქციებისა და სტამბის მუშაკები, პოლიგრაფიის სპეციალისტები დაგვეთანხმებიან, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე საჭიროა ნაირნაირი გარნიტურის (მოხაზულობის) შრიფტი სხვადასხვა დანიშნულების ტექსტის, სათაურების, ქვესათაურების, ე. წ. „ქუდის“, ილუსტრაციათა წარწერების და მისთანათა ასაწყობად. ეს კი, გავბედავთ თქმას, ასომთავრულისათვის შეუძლებლად გვეჩვენება.

1967 წელს გამოიცა ერთი სამეცნიერო კრებული, რომელშიც მოცემულია ცდა ძველი ასომთავრულების გამოყენებისა. მაგრამ კრებულის შემდგენლებმა ბოლომდე ვერ დაიცვეს მათი ხმარების წესები. ბევრი ისეთი სიტყვის თავში არ არის მთავრული ასო, სადაც საჭიროა და, პირიქით, არის იქ, სადაც მოსალოდნელი არაა. თუ მთავრულების მომხრე სპეციალისტებმა ვერ გაატარეს ბოლომდე ასეთი ორთოგრაფია, წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩაცვივიან მთავრულების რიგითი მომხმარებლები!

მთავრული ასოების ხელოვნურად დანერგვა ქართულ წერაში კარგ შედეგს არ მოგვცემს: გაგვიჩნდება ახალი თავსატეხი; გართულდება მართლწერა, რომელიც დღეისათვის ძირითადად მოწესრიგებულია; ბევრი ისეთი წესის შემოღება იქნება საჭირო და მათი დასწავლა დასჭირდება დიდსა თუ პატარას, რაზედაც ჩვენ სრული წარმოდგენა ახლა არ შეიძლება გვქონდეს.

მაშ, აუტკივარ თავს ნუ ავიტკივებთ!

**მიხეილ ჯაბაშვილი**

* შემთხვევითი არ არის, რომ ცნობარ **прописная или строчная**-ში (1988 წ.), რომელშიც ნაჩვენებია, თუ რა იწერება რუსულად დიდი ასოთი და რა პატარით, „მორცხვად“ გამოტოვებულია **Бог**-იც, **родина**-ც და **отечество**-ც.

# პასუხს ვაგებთ წინაპრისა და მომავლის წინაშე

მე საქართველოს იმ მრავალტანჯული მიწის შვილი ვარ, რომელიც ჩემი წინაპრების ძვლებითაცაა გაპოხიერებული. ყოველთვის მხრებგაშლილი ამაყად დავაბიჯებდი ამ მადლიან მიწაზე, რადგან არასოდეს და არავისგან მიგრძვნია შევიწროება იმის გამო, რომ ეროვნებით ოსი ვარ. თითოეული ოსი სარგებლობს ცხოვრების ყველა იმ სიკეთით, რითაც სარგებლობენ საქართველოში ქართველები. ხოლო შერეული ქორწინებები და ნათესაური ურთიერთობა ქართველებთან უფრო მეტი აქვთ, ვიდრე სხვა არაქართველ მოსახლეობასთან. ეს კი ამ ორი ერის საუკუნოვანი ძმობისა და თანაცხოვრებისაგან მომდინარეობს.

ახლა რა გვემართება?!

როდესაც საქართველოს ყველაზე მეტად უჭირს და იბრძვის თავისი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, ვის წისქვილზე ასხამთ წყალს? ვის მიწას ხნით სადავოდ? საქართველოში ოსეთი არ არსებობს. არსებობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ოსების კომპაქტური დასახლებები, რომელთა რიცხვი ორჯერ მეტია, ვიდრე სამაჩაბლოში. მაშ, ცხინვალისა და ჯავის რაიონებში მოკალათებულო ვაიპატრიოტებო, რატომ ამღვრევთ წყალს, რატომ აბრიყვებთ მოსახლეობის ნაწილს, რატომ აფრიალებთ ხელში მოსკოვის სინოდალურ სტამბაში 1798 წელს საეკლესიო-სლავიანური შრიფტით დაბეჭდილ წიგნს და გაიძახით, რომ ეს პირველი ოსური წიგნიაო (ეს ანბანი ვინ შეადგინა და ვისი ინიციატივით დაიბეჭდა წიგნი?) რატომ არ აცნობთ იმ ბრძანებას, რომელიც 1836 წელს ვლადიკავკაზის ოსურ სასულიერო სწავლების მეთვალყურე შიო დვალიშვილმა მიიღო, რომ

**„Обучение детей горцев грузинскими буквами как вовсе не нужное, совершенно отменить“.**

და რომლის შემდეგ ოსური წიგნების გამოცემა აკადემიკოს ა. შაგრენის მიერ შედგენილი რუსული გრაფიკის ანბანით გრძელდება. რატომ არ უხსნით მოსახლეობას, ვინ იყვნენ პირველი ოსური სკოლის ინიციატორები (რომელიც დაარსდა 1764 წელს ციხე-სიმაგრე მოზდოკში და არა ქურთას ხეობაში) და რომ ამ სკოლაში სწავლება მიმდინარეობდა ქართული საეკლესიო შრიფტით (ხუცურით) ოსურ ენაზე. რატომ ჯრ ემებთ (შეიძლება იპოვეთ კიდეც) 1753 წელს გამოცემულ წიგნს, რომელიც იღუმენ გრიგოლის მიერ იქნა გადათარგმნილი ქართული საეკლესიო შრიფტით ქართულიდან ოსურ ენაზე. ან იქნებ მოგწონთ 1749 წელს პეტერბურგში ჩასული ოსი ალდარების დელეგაცია „სტარშინებად“ რომ მონათლეს. იქნებ უარყოფთ, რომ ამ დელეგაციის ხელმძღვანელი ალაგირელი „სტარშინა“ ზურაბ იაგორის ძე ელიხანოვი ქართველთა მეფის კარზე იყო აღზრდილი.

კმარა, მოეშვით ვაიპატრიოტიზმს. ამის გამოისობითაა, რომ აკვნიანი ბავშვის სისხლის ლაქა ჯერ კიდევ არ ჩამოგირეცხიათ და ახლა, როდესაც საქართველომ გადადგა პირველი ნაბიჯები სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, საქართველოს ისტორიაში ოსებს იუდა ისკარიოტელის მისია გინდათ დააკისროთ. რა დაგიშავათ იმ ოსმა პაპამ, რომელიც თავის ქართველ სიძე-შვილიშვილს, ხოლო ქართველი ქალი თავის ოს ქმარ-შვილს დარდობს?

დაუკვირდით თქვენს ქმედებას, ნუ ჰყვებით ამბიციებს, სირცხვილია! ნუ ბღალავთ ისტორიულ ძმობასა და ნათესაობას, რადგან პასუხი მოგეთხოვებათ ღმერთის, წინაპრებისა და მომავლის წინაშე! ძმებისადმი მიმართული იარაღი იმათ მიუშვირეთ, ვინც ეგ იარაღი მოგცათ, ვისაც არც ოსი და არც ქართველი გულზე არ ახატია! თქვენი ძალა, გამბედაობა და ოსური სიჯიუტე საქართველოს, ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას მოახმარეთ!

ახლა ის დროა, რომ დაუბრუნდეთ თქვენს სადროშოებს დავით აღმაშენებლისა და დავით სოსლანის ლაშქარში, მაგრამ ცოდვაგანწმენდილნი, მონანიებულნი ყოველგვარი შეგნებული თუ შეუგნებელი დანაშაულისაგან, ხოლო ვისაც ეს არ შეგიძლიათ, მოკვეთილ იყავით ამ მადლიანი მიწიდან!

**ბივი აბლოხაშვილი,**
ქალაქ თბილისის ნაძალადევის რაიონის 148-ე საშუალო სკოლის დირექტორი

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ სამაჩაბლოს ფონდში.

გამოხმაურება, რეპლიკა, მოსაზრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაბრუნება სინათლესთან

რა უცნაური ამბავია. დღეს, როცა შენი ფიქრები ასე შორსაა კარგი ლიტერატურისგან, ისინი დაინთქა რომანის ტექსტის ამ გაჯერებულ ხსნარში, ტექსტისა, სადაც ცნობიერების ნაკადი აფიქსირებს აზირებული და მღელვარე შინაგანი სამყაროს ყოველ წვრილმანს, მის ყოველ ხვეულს. თავიდან რაოდენ ძნელია შეურიგდე მბრძანებლურ თვითნებობას გმირის ქვეცნობიერებისა, რომელიც მკითხველის თვალწინ ისე გადაიშლება, რომ არ ჩანს განსაკუთრებული ზრუნვა ლიტერატურულ მორიგებაზე, ეტიკეტზე, — მომხიბლავი რომანული ინტრიგა იქნება ეს თუ დინამიური სიუჟეტი. როგორ ცდილობს, ისწრაფვის ჩვენი ზარმაცად მოჩქარე მზერა, რომ გადაირბინოს გაჭედილ, ბლანტ გვერდებზე, რომლებზეც დაწვრილებითაა აღწერილი თხუთმეტი წლის ქართველი ბიჭის ნიკოს სულის ეს გაუთავებელი, ძლივს შესამჩნევი ვითარებები, მისი მტკივნეული, ავადმყოფური ზმანებები და ოცნებები, მისი გაზაფხულისჟამინდელი გადაფრენები წარსულსა და მომავალში მარტისპირის მამლის ყივილის ფონზე. მაგრამ დასაჩუქრებული დარჩება ის, ვინც შინაგანად შეისისხლხორცებს ამ წიგნის სტილს, ვინც თანდათან შეაღწევს ამ წიგნის აზრის მდინარებაში, ვინც ამ წიგნიდან გადმოღვრილი სიკეთისა და სიყვარულის იდუმალ ენერგიას მადლიერების გრძნობით უპასუხებს.

ოთარ ჭილაძის „მარტის მამალი" — მისი რიგით უკვე მეოთხე რომანია იმ ეროვნულ პროზაულ ციკლში, რომელსაც ეს ოსტატი ამ უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე ჰქმნის, სიტყვა „ჰქმნის", გარკვეულწილად მაღალფარდოვნების მიუხედავად, ამ შემთხვევაში მართებული ჩანს, რადგან მწერლის მსოფლმხედველობა და მხატვრული მანერა საზეიმო, თითქმის ბიბლიურ ლექსიკაზეა მომართულ-აწყობილი. „ბრმად მოვიდა და ბრმად მიდის; სიბნელიდან-სიბნელეში", — ასე იწყება „მარტის მამალი", და ამ დასაწყისში, როგორც მარცვალში, უკვე ბუდობს რომანის მომავალი აღმონაცენის აზრიც, კონფლიქტიც. ოთარ ჭილაძის პროზის მრავალი მოტივის ფსიქოლოგიური საფუძველი ნათლად გამოიკვეთა მის ახალ ნაწარმოებშიც. სამყარო აქ ისტორიულად და პოეტურად მთლიანი და უწყვეტია. ამჟამადაც, ისევე, როგორც უწინ, ძველის-ძველად, ჯაჭვითაა კლდეზე მიბმული ამირანი — ქართველი პრომეთე. ისევ ისე, უწინდებურად, ქალი, მეუღლე, ნიკოს ავადმყოფი, სასიკვდილოდ განწირული მამის გადასარჩენად, ჯერ უნდა იქცეს ლეგენდარულ ფასკუნჯად, „რათა ქვესკნელიდან ამოიყვანოს თავისი ამირანი, მერე კი — ძაღლად, რათა მთელი სიცოცხლე, მთელი მარადისობა ჯაჭვი ულოკოს თავის ამირანს". ო. ჭილაძის პირველი, ანტიკურ მასალაზე აშენებული რომანიდან „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა", „მარტის მამლამდე" გაჭიმულია აზრის შეცნობისა და შეძენის ტრაგიკული გზა, რადგან ადამიანები ყოველ ახალ ისტორიულ ეპოქაში კვლავ და კვლავ კარგავენ და ფეხქვეშ თელავენ თავიანთი ცხოვრების ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ საფუძვლებს და ცდილობენ აღორძინონ ეს საფუძვლები. თუკი არის რაიმე აზრი ისტორიაში, ის მხოლოდ ამ დაკარგულ ღირებულებათა აღორძინებისთვის სწრაფვაში, მათ გათანადროულებასა და განვითარებაშია ჩაბუდებული.

მკვლელობაში უნებლიე მოწმედ ქცეული გმირი რომანისა, მოსწავლე ნიკო, ღრმა შინაგან ტრავმასა და მძიმე ტკივილს განიცდის. ამ წიგნის შინაარსს, არსებითად, მისი ფიქრები, სიზმრები, ბოდვები, ფანტაზიები, მოგონებები და ნელი გამოჯანმრთელება, გაზაფხულისა და სინათლისკენ განახლებული სახით დაბრუნება წარმოადგენს. მოქმედება ომისშემდგომ პირველ წლებში ხდება მთაზე შეფენილ სიღნაღში.

სიღნაღის შემოგარენში, ნასაყდრალის ახლოს მილიცია დასდევს მარტოხელა კაცს, რომელიც ნიკოს თანატოლისა და მეზობლის გოგია უფარაშვილის სანადირო თოფის ტყვიის წერა გახდა. მილიცია ცდილობს შეიპყროს მძარცველები და ყაჩაღები, რომლებიც იმ მხარეში იმალებიან, და გოგია, მათი ნებაყოფლობითი დამხმარე, იქვე ულებს ბოლოს, სულს აფრთხობინებს უცნობ კაცს. ბუჩქებში მიმალულ გოგიას თავზარს სცემს ის, რაც ნახა. უკანასკნელი, ვისაც მოკლული ელაპარაკა, ნიკო იყო: „ყაჩაღმა" ის კოცონთან მიიპატიჟა გასათბობად და ის „ყაჩაღი" ოდნავადაც არ ჰგავდა დამნაშავეს.

თუნდაც რომ დამნაშავე ყოფილიყო პატარა ბიჭისგან მოკლული ის უთვისტომო კაცი! „კაცის მკვლელო, გოგია, კაცის მკვლელო, გოგიაო!" — უყვირის ნიკო, რომელმაც მაშინ გამოაჩინა თავისი თავი, როცა ნახა, რომ გოგია ცდილობდა სხვებისგან შეუმჩნევლად წაეძრო მოკლულის თითიდან ბეჭედი. ნიკო ისე შეძრწუნდება, რომ ავად გახდება. ძალდატანებით სიკვდილთან, მკვლელობასთან ასე ახლოს, პირისპირ შეყრა მის სულს ყირამალა აყენებს; ის ავადმყოფობის ერთი თვის მანძილზე ერთბაშად მწიფდება და მისი სულისთვის ცნობიერდება სიცოცხლის დიდმნიშვნელოვნება და ტრაგიკულობა.

ოთარ ჭილაძე თავის პროზაში ყოველთვის რჩება პოეტად, რომელიც მუსიკალურად აორკესტრებს თავის მრავალფენოვან რომანებს. ის ხშირად იყენებს ლაიტმოტივებს, გამეორებებს, ისე რითმავს ეპიზოდებს, რომ უარს ამბობს ხაზურ, ეპიკურ კომპოზიციაზე. ნიკოშიც ილვიძებს ნიჭი პოეტისა, ის ლექსებს იწერს სასკოლო რვეულში, რომელსაც უხეშად წაართმევს მასწავლებელი; მას მიმადლებული აქვს ფანტაზია, მისი მეხსიერება ინახავს მრავალ დეტალს, ელფერს, წვრილმანს. ბიჭის შინაგანი სამყარო იწოვს, ისრუტავს არა მხოლოდ მის ოჯახს, ნათესავებს, ახლობლებს, მეზობლებს, წაკითხულ წიგნებს, სკოლის ყოფას, არამედ პოეტურ ყვავილოვან და მწარე ოცნებებსაც, ბავშობის დროის მოგონებათა გულისგამხარებელ მოგონებებსაც, ზღაპრულ მითოლოგიურ სახეებსაც. პატარა ნიკო თავის თავს ადანაშაულებს იმის გამო, რომ უცნობი მოკლეს: იქნებ, შეეძლო მისი გადარჩენა, თუკი ადრე გამოვიდოდა ბუჩქებიდან და დაუყვირებდა მას, თუ საით უნდა გაქცეულიყო, მაგრამ შიშმა შებორკა, დაამუნჯა.

ნიკოს სინდისის ქენჯნა ხდის ადამიანად. მისი ყმაწვილური მონანიება ბევრს ნიშნავს. „სიკვდილის მერეც ადამიანისგან მარტო სინდისი რჩება". და კიდევ — ხსოვნა. ნიკოს სიზმრებში იჭრება სახე დაქირავებულ მკვლელთა ხელით მოკლული ქართველი ხალხის დიდი განმანათლებლის ილია ჭავჭავაძისა. მწერალი მეორედ უბრუნდება ამ ეპიზოდს, რომელიც ასე ბევრს ნიშნავს საქართველოს უახლოესი ისტორიისთვის (ილიას მოკვლისა და დაკრძალვის სცენებს ცენტრალური ადგილი უჭირავს ო. ჭილაძის ამის წინამორბედ რომან „რკინის თეატრში"). ჭავჭავაძის ერთ-ერთი მკვლელი გოგიას პაპა იყო: ასე მოჰყვება საბედისწერო სისხლიანი კვალი უფარაშვილების გვარს — ეს მოტივი ანტიკურ ტრაგიკულ მელოდიებს ენათესავება (რაღაც ამგვარი ქღერს რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან..." — მაკაბელების გვარის ისტორია).




ილია ჭავჭავაძის მკვლელი ამაყობდა იმით, რომ მოკლა დიდი ადამიანი, და ამის საზღაურად მოითხოვდა ყურადღებასა და ჯილდოებს, მაგრამ საშინელი დავიწყებით დაისაჯა და ცოცხლად იხრწნებოდა მატლებში დაჩოქილი — შურისძიების რამდენადმე ნატურალისტური მეტაფორაა. და გოგიაც, რომელსაც ვერ შეუმჩნევია, თუ რა ცოდვა აიკიდა იმ ბედკრული უცნობის მოკვლით, ელის წახალისების, დიდების პაწია წილს, ელის და უანგაროდ ელოდება თავის ზნეობრივ აყროლებას, დაღუპვას. მაგრამ ტყუილუბრალოდ კი არ მილაპარაკნია სიკეთისა და სიყვარულის სინათლეზე, რომელიც გაზაფხულის მზისებრ აფერადოვნებს ამ სუსხიანი წიგნის ფინალს. ნიკოს მეორედ დაბადება, მისი გამოჯანმრთელება ნიშნავს ცოდვათაგან მის განტვირთვასაც მძიმე სულიერი კრიზისის, სამართლიანი სასჯელის მოხდის შემდეგ. გაზაფხულის პატრიარქალური სამყარო აკრავს ირგვლივ ავადმყოფობის შემდეგ აივანზე გამოსულ ყმაწვილ გმირს: დიდი, დანამული თვალები ცხენებისა, ძველებური ქართული სიმღერის ჰანგები, ჩიტების ჟღურტული და მზისკენ ასწრაფებული ხასხასა მწვანე ბალახი. „მთელი არსებით იწოვს, ისრუტავს მათრობელა სიცოცხლეს, ერთთვიანი სიკვდილით დაბრძენებული, დაკაცებული. მაგრამ დაკაცება ბავშვური გულუბრყვილობის, ბავშვური სისუფთავის შენარჩუნებასაც გულისხმობს — რასაც ბავშვობით მოვიპოვებთ, სიკვდილამდე ჩვენი საკუთრებაა".

ოთარ ჭილაძე ისწრაფვის თავის შემოქმედებაში აერიდოს პირდაპირ პუბლიცისტურ გადაწყვეტებს. მისი რომანები იმისი ცდაა, რომ თანამედროვე გამოცდილება ჩაიწეროს მარადიულობის, ანტიკური და ქრისტიანული ისტორიის კონტექსტში. მაგრამ მე გაზეთისთვის ვწერ და ვფიქრობ ჩემთვის ახლობელ საქართველოზე, მის დღევანდელ დღეზე.

მეოცე საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლიანი საუკუნეა. და დღეს იღვრება უბიწო სისხლი, სამოქალაქო ომის ნაპერწკლები ხან აქ ფეთქავს და ხან — იქ და ისინი არც საქართველოს უვლიან გვერდს. ოთარ ჭილაძის ხმა, მისი პროტესტი ადამიანის სიცოცხლის დასაცავად და მასზე ძალმომრეობის წინააღმდეგ გაზეთის ფურცლებიდან კი არ ისმის, არამედ მისი რომანების ფურცლებიდან. „მარტის მამლის" პერსონაჟები მხოლოდ ილია ჭავჭავაძეს ან უცნობ მაწანწალას კი არ ესვრიან, არამედ თავიანთ თავსაც, თავიანთ ხალხსაც, წინაპართაგან ნაანდერძევ თავიანთ წმიდა წესებსა და ზნეობრივ კანონებსაც. რომანის კითხვისას მე გამახსენდა ესოდენ ტრაგიკული და მეტად თანამედროვე სიტყვები ესაია წინასწარმეტყველისა, თითქოს ისინი იმათდამი იყოს მიმართული, ვინც კვლავ და კვლავ ცდილობს ეროვნული კონფლიქტები სიტყვის კი არა, იარაღის ძალით გადაწყვიტოს: ამ ხალხმა დაიბრმავა თვალნი თვისნი და გაიქვავა გული თვისი, პოდა, ველარ ხედავენ თვალებით და გულისხმას ველარ ჰყოფენო.

ოთარ ჭილაძის რომანები ჩვენი თანამედროვე ლიტერატურის იმ იშვიათ ნაწარმოებთა რიგში დგას, რომელშიც მხატვარი და მოაზროვნე ერთმანეთს ერწყმის, სადაც ფილოსოფიური პარადიგმები სახეებისა და ხასიათების ცოცხალი სხეულიდან შეიძლება გამოიკვეთოს მხოლოდ კრიტიკული ანალიზის და, აქედან გამომდინარე, მწერლის მიერ შექმნილი რეალური სირთულის გამარტივებისა და გასწორხაზოვნების გზით: და მაინც, მე არ დავიჩემებდი, თითქოს მკითხველს უცილობლად ხიბლავდეს ასეთი სტილური შენადედი, რომელიც XX საუკუნის დასავლური რომანის ზოგიერთ დიდ მოდერნისტულ ნიმუშებს მოგვაგონებს. ისეც ხდება, რომ ზოგიერთი სტილური ღვარჭნილობა თითქოს იმას ისახავს მიზნად, რომ მხატვრული იდეის არასაკმაო სიღრმე წმიდა ფორმალური საშუალებებით გაამართლოს.

იმისთვის, რომ ეს ლიტონ განცხადებად არ მოეჩვენოს ვინმეს, მოვიტან ერთ, არც მაინცდამაინც დამახასიათებელ ილუსტრაციას. ეჭვი არ მეპარება, რომ შესანიშნავი მთარგმნელი ელიზბარ ანანიაშვილი ზუსტად გადმოსცემს ეგზისტენციალური პრობლემებით შეფიქრიანებული ყმაწვილი გმირის შინაგანი მონოლოგის ავტორისეულ „ჩანაწერს" (სტატიის ავტორს რომანიდან ეს ვრცელი ამონარიდი რუსულ თარგმანში მოაქვს, ჩვენ კი მას, გასაგები მიზეზის გამო, დედნისეული ტექსტით გთავაზობთ — მთარგ):

„...ნიკოზე თუ იქნებოდა დამოკიდებული, საერთოდ, არ დაიბადებოდა, რაკი ისე ვერ იცხოვრებდა, როგორც ენდომებოდა, ოღონდ, ახლა ამაზე ფიქრი და გულის ხეთქვა, რა თქმა უნდა, უაზრობაა — უკვე დაბადებულია, თხუთმეტს ბევრი არაფერი უკლია, თექვსმეტი წლის წინათ გადაწყდა მისი გაჩენა-არგაჩენის საკითხი, თანაც უიმისოდ, და სურს თუ არა, ახლა ისე უნდა იცხოვროს, როგორც ეცხოვრება. უკან დასაბრუნებელი გზა არ არსებობს, გზები მხოლოდ წინაა, მაგრამ ჯერ-ჯერობით, უხილავი. გზასაც პოვნა უნდა. გზას უნდა სწორედ პოვნა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ყველაფერი უნდა აიტანოს, ვიდრე საბოლოოდ აეხილება გზის დასანახი თვალი. **კიდევ უფრო ზუსტად, ვიდრე სინამდვილისაგან თავის დასაცავი ჩვენებები, სიზმრები თუ მოგონებები ისევ სინამდვილეს დაუთმობენ ადგილს; ვიდრე ძმრისა და სპირტის სუნით გაჟღენთილი წყვდიადიდან — სადაც უაზრო, უფესვო იმედსაა ჩიჭიდებული და ჩიტივით გაფრენილსა თუ ალივით გამქრალ დედას დაეძებს — თანდათანობით, ჯიუტად და სამუდამოდ გამოიკვეთება მკაცრი, მყარი სინამდვილე, როგორც ქვიდან — ქანდაკება; ვიდრე სამკურნალო ქილა გამოსათხოვარ კოცნას წითელ ზოლად შეატოვებს ზურგზე და სასიამოვნოდ მოწყდება, არათუ ერთი ბავშვის, არამედ სამყაროს დამაქცევარი სენის გამომწოვი მისი დაუძლურებული სხეულიდან. მაშინ მიხვდება მხოლოდ, სიცოცხლის გამგრძელებლად რომაა გაჩენილი და არა სიკვდილის მემატიანედ...".**

ღმერთმანი, ჩემს მიერ გამოყოფილი ტექსტი შეიძლებოდა უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო ბიჭის ფსიქოლოგიის თვალსაზრისითაც და წმიდა ლიტერატურული თვალსაზრისითაც. მასში ცოტა რამ როდია ხელოვნური, რაციონალური (ყმაწვილის ფანტაზიის მოჩვენებითი თვითნებობის მიუხედავად) და ამას იქამდე მივყავართ, რომ ზოგჯერ კაცი ტექსტში ისე მიიკვლევ გზას, როგორც ეკლიან ბუჩქნარში, აი, კავკასიაში, მთიან ტყისპირეთში რომ გვხვდება, ისეთ ბუჩქნარში. ავტორი ამგვარ ეფექტს არ ვარაუდობდა, ის სულ სხვა რამეს გულისხმობდა: ცნობიერებისა და ქვეცნობიერების განტოტებულ ხეს მისი მდიდარი, უხვი ვარჯითა და წარმოსახვის მოულოდნელი ნაყოფითურთ.

ასეთი რამ ოთარ ჭილაძის წინანდელ რომანებშიც ხდებოდა (განსაკუთრებით წიგნში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან..."). აქ, „მარტის მამალში", შინაგან მონოლოგს თითქოს აკლია კომპოზიციური მუსიკალური პაუზები, თითქოს ნაკლებობაა დიალოგებისა, — საერთოდ, უკმარისობაა თხრობითი თავისუფლებისა და მოქნილობისა, რომლებიც გამორიცხავენ ტექსტის მელოდიის მონოტონურობას. ოთარ ჭილაძის, ისევე, როგორც ყველა დიდი მხატვრის, პროზის წინააღმდეგობები თვალნათლივ იჩენს თავს მისი რომანების სტილსა და ფორმებში, მაგრამ მათ სარჩულად არსობრივი შინაარსი უდევთ. თუკი ჩვენს კრიტიკულ მსჯელობებს, მოსაზრებებს ავტორისთვის რეალური ფასი ექნება, მე ვუსურვებდი, ნუ გაართულებს მარტივს და ნუ მორთავს მას მეტისმეტად განტოტებული და მეტაფორული ხვეულებით, მაგრამ ხელოვნებაში, მტკიცე ფონზე იმ უბრალოებისა, რომელიც ქურდობაზე უარესია, ამგვარ სურვილებს ჯერ არავისთვის მოუტანია სარგებლობა და ამიტომ უფრო გონივრული იქნება ნამდვილ მწერალს მაინც ისეთს მივესალმოთ, როგორიცაა ის, რასაც სიხარულით ვაკეთებ კიდეც.

**ევგენი სიდოროვი**

(„ლიტერატურნაია ს გაზეტა", 24 აპრილი, 1991 წ.).

# „გრამატიკა", მამული, სარწმუნოება

ღია წერილი ბატონ რევაზ თვარაძეს

პატივცემულო რევაზ!

ყურადღებით ვადევნებ თვალყურს თქვენს კამათს ენათმეცნიერებთან ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდის ახალი მოდელის თაობაზე.

პირდაპირ გეტყვით, შეუძლებელს შესჭიდებიხართ! ამასთან, ძალიან მიამიტად. ამ საქმეზე ცოტა ადრე უნდა გეფიქრათ ლიტერატურის სპეციალისტებს. დღეს უკვე გვიანია „თითზე კბენანი". როგორც ჩანს, მოსახდენი უნდა მოხდეს — ეტყობა, ყველაფერი ცაშია გადაწყვეტილი.

და მაინც, თქვენი პირველი დიდი შეცდომა ის გახლავთ, რომ ძირითადად მხოლოდ პროფესორ კორნელი დანელიას წერილს ჩაბღაუჭებით, მასში კი მინიშნებულიც არ არის ის ნამდვილ მიზეზზე, რის გამოც გადაუწყვეტიათ ქართულ ენასა და ლიტერატურაში სრულიად ახალი ტიპის მისაღები გამოცდის შემოღება. იქვე, „ლიტერატურული საქართველოს" იმავე ნომერში (№ 15, 12 აპრილი) დაბეჭდილია ბატონ გიორგი გოგოლაშვილის წერილიც. როგორც ჩანს, იგი ზედმეტად გულწრფელი ადამიანია და ამიტომაც პირდაპირ ამბობს სათქმელს:

„საგანსა ჰქვია" ქართული ენა და ლიტერატურა", პირველ ნაწილს — „ქართული ენა", ხოლო მეორე ნაწილს — „ქართული ლიტერატურა".

ხედავთ, ბატონო რევაზ, რაში ყოფილა საქმე? რაკი პირველ ნაწილს ჰქვია „ქართული ენა", ხოლო მეორე ნაწილს — „ქართული ლიტერატურა", შესაბამისად, პირველი ნაწილი უფრო მთავარია, ხოლო მეორე ნაწილი — შედარებით ნაკლებ მთავარი.

შეიძლება მკითხოთ, კი მაგრამ, რატომ არის, რომ სავარაუდო საგამოცდო ბილეთებში ჯერ ლიტერატურიდან იქნება საკითხები და მხოლოდ ამის შემდეგ — ენიდან. ეს უბრალო თავმდაბლობა და თავაზიანობა გახლავთ. მომავალში ყველას და ყველაფერს თავის ადგილზე დაალაგებენ. თუმცა, ვინ იცის, მთავარსა და გადამწყვეტ კითხვებს ხშირად ხომ სწორედ ბოლოს აძლევენ ხოლმე! ერთი სიტყვით, როგორც მოისურვებენ, ისე იქნება.

აი, „ენა"-ში რომ დედაენაც იგულისხმებოდეს (როგორც ძველად იყო), მაშინ საგნის პირველ და მეორე ნაწილად დანაწევრება აშკარად ხელოვნურ შთაბეჭდილებას დატოვებდა. მაგრამ თუკი „ენაში" ძირითადად გრამატიკა უნდა ვიგულისხმოთ, გამოდის, რომ ერთ გამოცდაზე ორი საგანი ბარდება (გრამატიკა და ლიტერატურა) და, ალბათ, ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე იქცევიან: ფიზიკას ცალკე აბარებენ, ხოლო მათემატიკას — ცალკე.

ბატონო რევაზ, საპასუხო წერილში („ლს" № 16) სავსებით სწორად შენიშნავთ: „პროფესორი დანელია უკლებლივ ყველგან აიგივებს ცნებებს — „ქართული ენა" და „ქართული გრამატიკა" ან „გრამატიკა". მოკრძალებით შევახსენებ, რომ ეს სწორი არ არის".

ახლა მე შევახსენებ ასევე მოკრძალებით, რომ დაახლოებით მეც ამასვე ვწერდი ამ ერთი წლის წინათ: „დისციპლინა, რომელსაც „ენას" ვუწოდებთ და ვასწავლით, ფაქტიურად არის „გრამატიკა". აშკარაა, მოხდა ცნებების აღრევა" (იხ. „სახალხო განათლება", 1990 წ., № 7, 15 თებერვალი. წერილის სათაურია — საგანი: „ქართული ენა და ლიტერატურა").

ვინ დაგვიჯერებს, ბატონო რევაზ!

მოდით, ორივემ ერთად ახლა აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას მიერ ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ თქმული შევახსენოთ, რა თქმა უნდა, ასევე მოკრძალებით:

„ენა არ შეიძლება კაცმა ისწავლოს გრამატიკის მეშვეობით"... და მხოლოდ მაშინ, „როცა სტუდენტი პრაქტიკულად გაიწაფება ენაში, გრამატიკის ძირითადი წესები პრაქტიკულ ცოდნას გააზრიანებენ"-ო.

ან, ნუთუ, აკადემიკოს აკაკი შანიძის ცნობილი მონოგრაფიის სათაური — „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები" — არაფერს გეუბნებათ? თუ ეს უბრალო ტავტოლოგიაა, მაშინ ხომ არ გამოდის, რომ ჩვენს სახიქადულო მეცნიერს ქართული გრამატიკის გრამატიკა დაუწერია.

აშკარაა, დიდი ენათმეცნიერების აზრითაც, „ენა სხვაა, გრამატიკა— სხვა, შუა უძევს დიდი ზღვარი".

ვინ უჯერებს?

კაცმა რომ თქვას, ცნებების აღრევა ჩვენში ახალი მოვლენა არ არის. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში წუხდა ამის გამო ილია ჭავჭავაძე:

„...ერთობისთვის რომ აღარა ვართ, ერთნაირს სიტყვის მნიშვნელობას როგორ მოვთხოვთ ჩვენს ენას?... მამული დანეხვილ ნაფუძრად გადავაქციეთ, პატივი — ნეხვად, თავი — გოგრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, კაცი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დავუმატეთ".. (ხაზგასმა ყველგან ილიასეულია — გ. ბ.).

დარწმუნებული ვარ, ილია ჭავჭავაძე დღევანდელ დღეს რომ შესწრებოდა, თავის წერილში მოტანილ მაგალითებს ერთს კიდევ დაუმატებდა: „დედაენა გრამატიკად გადავაქციეთ"-ო — იტყოდა.

ცნებების აღრევის კიდევ ერთ ნიმუშზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება, ბატონო რევაზ, რომლისთვისაც, ეტყობა, როგორც ყოფილ გრამატიკოსს, დიდსულოვნად აგირიდებიათ თვალი: მართლწერის წესების ცოდნა გაიგივებულ იქნა „წიგნიერებასთან" (ე. ი. „მართლწერის წესები" = „წიგნიერებას"), თუმცა წიგნიერება, პირველ ყოვლისა, წიგნის კითხვის შედეგია. მავანმა და მავანმა შეიძლება ძალიან კარგადაც იცოდეს მართლწერის წესები და მაინც უწიგნური იყოს. მართალია, აუცილებელია აზრის გამოთქმისა და წერის წესების ცოდნა, მაგრამ პირველ რიგში მაინც სათქმელი უნდა ჰქონდეს ადამიანს. ასე არ არის, ბატონო რევაზ?

იმის შემდეგ, რაც ბატონი გ. გოგოლაშვილი მკვეთრ ზღვარს დებს საგნის — „ქართული ენა და ლიტერატურა" — პირველ და მეორე, ანუ მთავარ და ნაკლებად მთავარ ნაწილებს შორის, მოკრძალებით გვეუბნება: „რაც ეს საგანი არსებობს, ქართული ენის საკითხების ცოდნის მოთხოვნა ყოველთვის იგულისხმებოდა"-ო, და თავის ნათქვამის დასადასტურებლად, მისაღები გამოცდების პროგრამაზე მიგვითითებს, სადაც თურმე წერია: „ქართული ენის ცოდნის შესამოწმებლად გამოსაცდელს ეძლევა კითხვები გრამატიკის კურსიდან ქვემოთ მოყვანილი პროგრამის ფარგლებში და ერთი წინადადება მორფოლოგიურ-სინტაქსური გარჩევისათვის". პროგრამიდან ამ ციტატის მოხმობის შემდეგ ბატონი გ. გოგოლაშვილი უკვე შეგვაგონებს: „ვფიქრობ, ისიც მოგეხსენებათ, პროგრამას სპეციალისტები ადგენენ და განათლების სამინისტრო ამტკიცებს" (ადრე, ალბათ, განათლების სახალხო კომისარიატი ამტკიცებდა).

ძალიან კარგი!

მაგრამ რამდენადაც მახსოვს, ბატონი გ. გოგოლაშვილის მიერ მოხმობილი ციტატა ზეპირი გამოცდის პროგრამიდანაა, თუმცა, ამჯერად ეს მაინც არ არის მთავარი. მთავარი ის არის, თვითონ საგნის არსებობას რა დროიდან ვარაუდობს — როცა გრამატიკის კურსი შეიქმნა? თუ, როცა უმაღლესში მისაღები გამოცდის პროგრამა „შეადგინეს სპეციალისტებმა" და ეს პროგრამა „განათლების სამინისტრომ დაამტკიცა"? თუ, საერთოდ, როცა მისაღები გამოცდები შემოიღეს?

თუკი „ქართული ენისა და ლიტერატურის", როგორც საგამოცდო საგნის არსებობას გრამატიკოსები ასე მჭიდროდ უკავშირებენ მისაღები გამოცდის პროგრამას და განათლების სამინისტროს მიერ ამ პროგრამის დამტკიცებას, ნუთუ, ლიტერატორებს იმის უფლებაც არა გაქვთ, რომ მოითხოვოთ, რათა თვითონ ეს საგანი და პროგრამაც ასევე მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ქართულ ენასთან (ძველი გაგებით) და ქართულ ლიტერატურასთან (აგრეთვე ძველი გაგებით).

ბატონო რევაზ, კარგად მოგეხსენებათ, რომ ძალიან ადრე, როცა მე და თქვენ, ჯერ კიდევ ძალიან პატარები ვიყავით, „ენა" ნიშნავდა დედაენას. შემდეგ დადგა გარდამავალი ხანა ჩვენს ცხოვრებაშიც და „ენის" გაგებაშიც: „ენა", მართალია, ძირითადად ისევ დედაენას ნიშნავდა, მაგრამ იმავე დროს — გრამატიკასაც. დღეს კი „ენა" თითქმის მხოლოდ „გრამატიკას" ნიშნავს. ეტყობა, მაშინ დავილუპეთ, როცა „დედაენის" მაგივრად „ენის" ხმარებაზე დავვიყოლიეს. სანამ ქვეყანაზე გრამატიკა (როგორც საგანი) გაჩნდებოდა, მანამდე „ენა" ქრისტიანულად მხოლოდ „დედაენას" ნიშნავდა, გრამატიკის (როგორც საგნის" გაჩენის დღიდან კი, „ენაში"-ში, ვიმეორებ, მხოლოდ „გრამატიკა" იგულისხმება. მაშინვე იჩინა თავი ველიკოგრამატიკულმა შოვინიზმმა — მთავარი უკვე საქმე კი აღარ იყო, არამედ — გრამატიკის მუნდირის ღირსების დაცვა. გრამატიკის ზეობის პირველი დიდი შედეგი ის არის, რომ გრამატიკოსები მოგვევლინენ როგორც დედაენის, ისე სალიტერატურო ენის უპირველეს მესვეურებად. აბა, გაიხსენეთ „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა", სადაც ლიტერატურას გრამატიკის დამხმარე მეურნეობის როლი აქვს მიკუთვნებული.

ბატონი გიორგი რომ ბრძანებს: „რაც ეს საგანი არსებობს, ქართული ენის საკითხების ცოდნის მოთხოვნა ყოველთვის იგულისხმებოდაო", თვითონ „ქართულ ენაში" დედაენის მისხალსაც აღარ გულისხმობს. საინტერესოა, აბიტურიენტმა რომ დაწეროს: „კაცმა მივიდა", დედაენის არცოდნაში ჩაეთვლება, თუ „ქართული ენის საკითხების" არცოდნაში?

სამწუხაროდ, ბატონი გიორგი გამონაკლისი არ არის. გამონაკლისი კი არა, ყველა გრამატიკოსი, ყველა წერა-კითხვის მცოდნე, ვისაც სკოლაში უვლია (დღევანდელ დღეს კი ვის აღარ უვლია სკოლაში), მით უფრო ყველა აბიტურიენტი დარწმუნებულია, რომ „ენა" ნიშნავს მხოლოდ „გრამატიკას", ასე რომ, „ენის" ცოდნად გრამატიკის ცოდნა მიაჩნიათ. სულაც აღარ გამიკვირდება, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის თხზულებების მომავალ გამოცემაში რომ ამოვიკითხო: „ადამიანმა რამდენი გრამატიკაც იცის, იმდენი კაცია", ანდა „პირველი ნიშანი ერის ვინაობის — გრამატიკაა". თქვენი ჭირიმე, ბატონო რევაზ, ნუ მეტყვით, ეს უკვე მეტის-მეტიაო — ჩვენდა სავალალოდ, არაფერი არაადამიანური ჩვენთვის უცხო აღარ არის. მგონი ის დროც დგება, „დედაენა" შეიცვალოს „დედაგრამატიკით", განა ცუდად ჟღერს: წერითი გამოცდა „ქართულ დედაგრამატიკასა და ლიტერატურაში"?! ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. რა არის ამაში ცუდი? ბატონი კორნელი დანელია ხომ დაგპირდათ, თუკი ლიტერატორები „შპარგალკების" მოსპობას მოახერხებთო, მაშინ ჩვენც გამოცდის ისევ ძველ ტიპს დავუბრუნდებითო. ააშენებს ღმერთი! მაშინ, ალბათ, თქვენც მოგეცემათ იმის საშუალება, რომ საგანს ისევ „ქართული ენა და ლიტერატურა" უწოდოთ. მანამდე კი იყოს ისე, როგორც გადავწყვიტეთ — „ქართული დედაგრამატიკა და ლიტერატურა". არაფერი უჭირს, ცუდი არ არის! მით უფრო, როცა გულუბრყვილოდ გვჯერა, რომ ახალი სახელწოდება მხოლოდ დროებითია.

ასეთ ლოგიკას თუ გავყვებით, გამოვა, რომ თავდაპირველად „ენა" „გრამატიკის" მნიშვნელობით უხმარია.. აბა, თუ მიხვდებით, ვის? არა ხართ მართალი. თავდაპირველად „ენა" „გრამატიკის" მნიშვნელობით იხმარა თეიმურაზ პირველმა (ვინ იცის, იქნებ, ამის გამოც კი შეერქვა — „პირველი"). თქვენი გრამატიკაგამოვლილი ცხოვრების ამბავი რომ ვიცი, შეიძლება, ეჭვიც კი შეგეპაროთ ჩემს სიმართლეში. მაგრამ საეჭვო არაფერია, აბა, სხვა რა ათქმევინებდა იმ დალოცვილს „მძიმეა ენა ქართველთაო"-ო უდავოა, გრამატიკის სიმძიმე იგულისხმება და არა — დედაენისა. ვისაც „ვეფხისტყაოსანი" წაკითხული აქვს", ენა (პირდაპირი მნიშვნელობით) არ მოუტრიალდება, რომ ქართულ ენაზე (იგულისხმება დედაენა) თქვას — მძიმეაო. პირიქით, რუსთაველს სწორედ ენის სიმსუბუქე აძლევდა საოცარი პოეტური მეტყველების საშუალებას. ეტყობა, მაშინ ჩვენს „ენას" ჯერ კიდევ არ ჰყავდა „პატრონი", თორემ რუსთაველი როგორ გაბედავდა ასე თქმას: „დისაგანცა უფრო დესი".

წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩააგდებენ აბიტურიენტს (თუ, რა თქმა უნდა, გამომცდელთან არ ემზადებოდა, ან გამოცდის წინა ღამით თუ არ ეყოლებოდათ მახთან მიყვანილი), მსგავსი ფორმა რომ ეხმარა?!

მიუხედავად იმისა, რომ „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა", ილიას ეს ნათქვამი საგულდაგულოდ დაივიწყეს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მასში გრამატიკაა (ანბანთ-თეორეტიკა) გაკენწლილი, და მეორეც, ჩვენს საბჭოურ წარმოდგენაში ხალხი რაღაც ამორფული ცნებაა, რომელიც პიროვნებებისაგან კი არ შედგება, არამედ — საზოგადოებრივი ცხოველებისგან.

„ქართულ ენასა და ლიტერარატურაში" გამოცდის წესის შეცვლას იმ საბაბით ლამობენ, რომ ამჟამინდელი წესი უნუგეშოდ მოძველდაო. მაგრამ წესი კი არ მოძველდა, არამედ ჩვენ დავშორდით ლიტერატურას, ხოლო გამოცდის ახალი ტიპი მომავალში, იმედია, კიდევ უფრო გააღრმავებს ამ უფსკრულს.

მაინც, როგორ ან რატომ დავშორდით ლიტერატურას?

ყველა ავტორიტარულ სახელმწიფოს, რომელიც ხელისუფლებისადმი უსიტყვო მორჩილებაზეა დაფუძნებული, სჭირდება უკიდურესი ფანატიზმისაკენ მიდრეკილი საზოგადოება. „მანქურთების" აღზრდის პოლიტიკამ და პრაქტიკამ თავისთავად მოითხოვა ლიტერატურის ფაქტიური უარყოფაც. „ახალი კულტურის" შექმნის ილუზიებით შეპყრობილები რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ცდილობდნენ საკუთარი ზნეობის დამკვიდრებას ხალხში. ამ გზაზე წინ ეღობებოდათ ძველი კულტურა, რომელიც რაც უფრო ღირებული იყო, მით უფრო უშლიდაო ხელს.

კულტურის, მწერლობის უგულვებელყოფისათვის ორი გზა არსებობს: პირდაპირი — როცა მწერალი მთლიანად ან ნაწილობრივ იკრძალება და შენიღბული — როცა ლიტერატურის პროფანაცია, ე. ი. არსისაგან მისი დაცლა ხდება. მაგრამ კულტურის უგულვებელყოფა ბოლოსდაბოლოს თვითონ ავტორიტარულ ხელისუფლებას უბრუნდება ხოლმე ავად — დროთა ვითარებაში საზოგადოება თავისუფლდება ფანატიზმისაგან (ეს გარდუვალი პროცესია. განა როდემდე შეიძლება ადამიანი დაპირებებით გამოკვებო?!) და სამაგიეროდ მას ეუფლება აპათიის უკურნებელი სენი. ასეთი საზოგადოება კი სრულიად გამოუსადეგარი ხდება ავტორიტარული ხელისუფლებისათვის, მით უფრო მაშინ, თუ მას (საზოგადოებას) რელიგიურ-ზნეობრივი საყრდენებიც გამოცლილი აქვს.

ახალმა, მატერიალისტურ-კლასობრივმა „რელიგიამ" თავის წიაღში ადგილი ვერ მოუძებნა ადამიანს, როგორც ინდივიდს. აქედან იღებს სათავეს ახალი „რელიგიის" არაკეთილმოსურნე დამოკიდებულება ლიტერატურისადმი, რომელიც არსებითად ადამიანისმცოდნეობას წარმოადგენს და მოწოდებულია ადამიანის შინასამყაროს, დიდი ადამიანური ვნებების გადმოსაცემად. როცა ახალმა „რელიგიამ" მოახერხა არა მარტო თანამედროვე, არამედ საერთოდ ქართული ლიტერატურის დაცლა არსისაგან, ბუნებრივია, ლიტერატურამ დაკარგა თავისი ძირითადი ფუნქცია და საზოგადოებათმცოდნეობის „დამხმარე სახელმძღვანელოდ" იქცა, ხოლო ლიტერატურათმცოდნეობა — [illegible]. ამის დამადასტურებელია ქართულ ენაზევე გარდათქმული „ვეფხისტყაოსნის" შინაარსი, რომლის მეორე გამოცემა (!) სულ ახლახან განხორციელდა, ეს ფაქტი აშკარად მიგვანიშნებს, რომ თანამედროვე მოზარდს ახალგაზრდობისათვის აღარ არის საინტერესო რუსთაველის მხატვრულ სამყაროში წვდომა, რომ მხოლოდ „სიუჟეტის" ცოდნითაც იოლად გადიან როგორც სკოლებში, ისე უმაღლეს სასწავლებლებში და... ცხოვრებაშიც. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი, როგორც მხატვრული მოვლენა, არარაობად ვაქციეთ და, მიუხედავად ამისა, მაინც თამამად ვლაპარაკობთ ჩვენი კულტურის მემკვიდრეობით ხასიათზე. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ ვეფხისტყაოსნის შინაარსის პროზად გარდამთქმელი კი არ არის მხოლოდ დამნაშავე (მაშინ კიდევ რა გვიშირდა), დამნაშავეა დრო, რომელმაც ასეთი რამ მოითხოვა. დამნაშავეა ყველა, ვინც პროზაულად გარდათქმული ვეფხისტყაოსნით ხსოვს „სწავლის მძებნელს" რუსთაველის ცოდნას.

მოკლედ თუ ვიტყვით, საბჭოთა იდეოლოგიამ ლიტერატურა აიძულა, დაეთმო თავისი პოზიცია რომელიც ოპერატიულად დაიკავა ენათმეცნიერებამ. (ამ შემთხვევაში მხედველობაში არა მაქვს საზოგადოდ ენათმეცნიერება, რომელიც ლიტმცოდნეობის მსგავსად, „პოეტური" დარგია მეცნიერებისა და ამიტომაც იწვნია საკუთარ სხეულზე იდეოლოგიური წნეხის მთელი სიმძიმე). მაგრამ ლინგვისტების მხრიდან ლიტერატურის მისია დაიწვა — ერის სულიერი და ზნეობრივი აღზრდის მისია. სამწუხაროდ, თავისი სპეციფიკის გამო ლინგვისტიკას აშკარად არ შესწევს საკუთართან ერთად ამ კეთილშობილური ტვირთის ზიდვის ძალა, ცნებების შეგნებულმა აღრევამ ბევრი გაურკვევლობა წარმოშვა და კონკრეტულად ისიც, რომ დედაენისა და სალიტერატურო ენის მთავარ მესვეურად ლინგვისტიკამ წარმოიდგინა თავი.

მას შემდეგ, რაც ლიტერატურა აიძულეს, დაეთმო თავისი პოზიციები, ლინგვისტიკა ცდილობს „ანექსირებულ ტერიტორიებზე" საკუთარი მართლწერიგის დამყარებას და, როგორც ასეთ შემთხვევებში ხშირად ხდება ხოლმე, ძალაუნებურად ისიც გაამჟღავნა, რომ საკუთარ მეურნეობაშიც არა აქვს ყველაფერი მოწესრიგებული.

ჩვენი გრამატიკოსები სიტყვით დღემუდამ იბრძვიან ყოველივე უცხოურის წინააღმდეგ, ვთქვათ, კალკების წინააღმდეგ, მაგრამ თვითონვე ცდილობენ სხვა ენებიდან ისეთი წესების გადმოღებას, რომლებიც ჩვენი ენის ბუნებას ვერ ესადაგებიან. ბატონო რევაზ, კარგად მოგეხსენებათ, რომ XIX საუკუნეში სალიტერატურო ენის განთავისუფლებამ ანტონ I გრამატიკის ნორმების არტახებისაგან და სამეტყველო ენასთან დაახლოების აუცილებლობამ მოითხოვა მართლწერის გამარტივებაც. არა მგონია, დღევანდელ პირობებში იგივე მოეხერხებინა თვითონ ილია ჭავჭავაძესაც კი — თანამედროვე ლინგვისტიკა ამის ნებას არასგზით არ მისცემდა. ის კი არა, სულ რამდენიმე წლის წინათ იყო მცდელობა ხმარებაში „მეორე" ანბანის შემოღებისა (წინადადებები და საკუთარი სახელები ასომთავრულით უნდა დაგვეწყო) და ეს მაშინ, როცა ყველა დაწინაურებული ენა მართლწერის მაქსიმალურ გამარტივებას ცდილობს.

მართალია, ასომთავრულის შემოღების ცდამ არ გაამართლა, სამაგიეროდ, ზოგიერთი ევროპული ენის ანალოგიით, დიდი ხანია შემოღებულ იქნა სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის მკაცრად განსაზღვრული წესი. ამგვარი წესის არსებობა, მაგალითად, გერმანულში სავსებით გამართლებულია — იქ ზოგიერთი ბგერა ორი-სამი ასონიშნით გამოიხატება და სიტყვის გადატანისას მათი დაცილების შემთხვევაში მკითხველს უძნელდება ბგერის ვიზუალურად აღქმა. უცხო ენებიდან ქართულში გადმოტანილი ამ წესის ბოლომდე დაცვა არ შეეძლო ჩვენს ბეჭდურ სიტყვას თუნდაც წმინდა ტექნიკური მიზეზების გამო. ქართული მართლწერისათვის ამ პრანჭვიერ წესს, ფაქტობრივად მხოლოდ მოხ-

(დასასრული მე-6 გვ.)

(დასასრული)

წავლეები და აბიტურიენტები ეწირებოდნენ. ასეთი მდგომარეობა რამდენიმე ათეული წელი გაგრძელდა მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნდებოდა დასაბუთებული წერილები ამ წესის გასაუქმებლად. მისი გაუქმება (როგორც თავის დროზე შემოღება) სულ ახლახანს ისევ მხოლოდ დეკრეტის საშუალებით გახდა შესაძლებელი.

მსგავსი მაგალითების გამრავლება კიდევ შეიძლება (ჯერ მარტო ზმნის პარალელური ფორმებისადმი გრამატიკოსების დამოკიდებულება რად ღირს!).

XX საუკუნე ზუსტ მეცნიერებათა ეპოქა აღმოჩნდა, ხოლო გრამატიკა, მოგეხსენებათ, ზუსტი მეცნიერება უფროა, ვიდრე ჰუმანიტარული. მისი ამჟამინდელი „ზეობის“ ერთი მიზეზი ისიც არის, რომ მას უამრავი კანონი აქვს, ხოლო ჩვენ დიდი ხანია რაც კანონთა სიმრავლეს შევეჩვიეთ. ამ დალოცვილებმაც (გრამატიკოსებზე მოგახსენებთ), ძალიან მალე აუღეს ალღო ტოტალიტარიზმის ბუნებას და დეკრეტების სახით იმდენი კანონი გამოგვიცხადეს, რომ ადამიანს ხელში კალმის აღებისა და უბრალო წერილის დაწერისაც ეშინია. თვითონ მათ კი შეცდომებისა, როგორც თქვენ დარწმუნდით და მომავალშიც კიდევ არაერთხელ დარწმუნდებით, სრულებითაც არ ეშინიათ (ალბათ, რაკი კანონმდებლები თვითონ არიან), სხვათა შორის, გუსტავ ფლობერს ასეთი გატაცება ჰქონია: ლინგვისტთა ნაშრომებიდან კრებდა ენობრივი შეცდომების ნიმუშებს. ამბობენ, ამ ფაქტმაც ითამაშა დიდი როლი, ფრანგი გრამატიკოსები დღესაც ასე ლაღად რომ ველარ გრძნობენ თავს.

ეტყობა, გამოცდის ახალი ტიპი გაზაფხულის მახარობელ თეთრგულა მერცხლად უნდა შეფრინდეს განათლების სფეროში, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ იგი სწორედ იმ ეპოქის ბუდეში დაფრთიანდა, სადაც „მშვენივრად“ მოხერხდა ლიტერატურის პროფანაცია და, ფაქტობრივად, მისი უფუნქციოდ დატოვება.

ამდენად, გამოცდის ახალი მოდელის დანერგვა ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა გამართლებული, თუკი მომავალშიც ლიტერატურა კვლავ საზოგადოებათმცოდნეობის, სოციოლოგიის „დამხმარე სახელმძღვანელოდ“ და წინადადების მორფოლოგიურ-სინტაქსური გარჩევისათვის მასალის უბრალო მიმწოდებლად უნდა დარჩეს.

ბატონო რევაზ, კიდევ ბევრი რამ მაქვს სათქმელი, მაგრამ იმას უკვე დახურულ წერილში გეტყვით.

როცა თქვენი სტატიიდან შევიტყვე, რომ ერთ დროს გრამატიკოსი ყოფილხართ, ამ ცნობამ გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რადგან იქით (გრამატიკისაკენ) წასული ბევრი მინახავს, მაგრამ უკან მობრუნებული კი — არავინ, თქვენს მეტი, ბატონო რევაზ! ამან გადამაწყვეტინა წერილის ადრესატად დამესახეთ.

სანამ გამოცდის მოდელს საბოლოოდ არ გაუმარჯვია, თქვენი პატივისმცემელი.

**გურამ ბარნოვი**

შეგონება:

„ორნი კაცნი იყვნენ ქალაქსა ერთსა. ერთი წამდაუწუმ ტიროდა და ერთი სრულებით იცინოდა, რომე მოწყენილს ვერავინ ნახავდა. ჰკითხეს მოტირალს კაცსა: — ავზე და კარგზე, საცინალზე და სატირალზე სულ რატომ სტირიო? — მან ეგრეთ თქვა: — რა ვქმნა, ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ამ საწუთროს საქმეს შვრებიან, საუკუნო სასჯელი დაუვიწყებიათ, და მით ვტირი, ყოველნი ჯოჯოხეთს იშენებენო.

მერმე მას მოცინარეს კაცს ჰკითხეს: — შენ რა გაცინებსო? მან ესრეთ თქვა: — ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ავს შვრებიან, კარგს არ იქმობენ. ყოველს კაცს ვუქადაგე, ვურჩიე, ვერა დავაჯერებინე რა და აწ სიცილს ძალი მივეც. მეც რომ ზრუნვით თავი მოვიკლა, რას მარგია, ან მათი რა სარგებელია?

— მის მსგავსად, შენთვის ვიურვე, ვიწუხე, ვინაღვლე, გასწავლე, ჩემი ვერა მოგასმინე რა; ახლა მეც სიცილს ძალი მივეც“ („სიბრძნე სიცრუისა“).

P. S. ახე, ჩემო ბატონო რევაზ!

# საქმემან შენმან...

## საუბარი საქაღალდკომბინატის გენერალურ დირექტორთან ოთარ ფაცაციასთან

ბატონ ოთარ ფაცაციას, ვფიქრობთ, განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება მკითხველის წინაშე, იმ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, რაც ზუგდიდის ქაღალდკომბინატს უდგას სათავეში, მან საკმაოდ გაითქვა სახელი, როგორც უნარიანმა და ფართო მასშტაბის ორგანიზატორმა. გეგმების ყოველწლიურად გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად, მრავალრიცხოვან კოლექტივში თითქმის არავინ დარჩენილა უბინაო. მაღალ დონეზეა ორგანიზებული მუშა-მოსამსახურეთა კულტურული, საყოფაცხოვრებო და, გნებავთ, სასურსათო მომარაგების საკითხიც. კომბინატს აქვს საკმაოდ მძლავრი დამხმარე მეურნეობა. თანამშრომლებისათვის მინიმალურ ფასებში იყიდება ხორცისა და რძის ნაწარმი, კვერცხი, ქათამი, ბოსტნეული. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, საწარმოს თავკაცის გამორჩეულ უნარიანობაზე მეტყველებს, მაგრამ, რაც ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს, სჯობს თვითონ ბატონი ოთარისაგან შევიტყოთ.

●

— ბატონო ოთარ, იმის მიუხედავად, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიამ მიმდინარე წლის 9 აპრილს, ცრემლნარევი სიხარულის დღეს, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ჩვენში ჯერ კიდევ მიმდინარეობს ჭეშმარიტად საერთო-სახალხო რევოლუცია, რომელსაც ოქტომბრის გადატრიალებისაგან განსხვავებული მიზანი აქვს — ნამდვილად დემოკრატიული, სამართლებრივი, სუვერენული სახელმწიფოს დაარსება; ასეთი სახელმწიფოს საძირკვლის ჩასაყრელად, მოგეხსენებათ, გარდამავალი პერიოდი გამოვაცხადეთ, რომელიც სულ მალე დამთავრდა.

ამჟამად თანდათან ვიცილებთ თავიდან ეკონომიკის სფეროში (და არა მარტო ეკონომიკის) ცენტრისტულ დიქტატს, რადგან, უმეტეს შემთხვევაში, ცენტრი ისევე „გვასწავლიდა“ შრომას, როგორც რეზო ესაძის ცნობილ ფილმში რუსი მეზობელი ასწავლიდა ქართველს ცხვრის დაკვლას... შპარგალკით...

ცენტრისგან თავის დაღწევაში ვგონებ, თბილისის ყოფილი დინამოელები მოგვევლინენ „პირველ მერცხლებად“. შემდეგ საქართველოს მწერალთა კავშირმაც გამოაცხადა დამოუკიდებლობა. სწორედ ქართველ პროფესიონალ მწერალთა გაზეთის „ლიტერატურული საქართველოს“ მიერ გახლავართ თქვენთან მოვლინებული და, უპირველესად, სწორედ ეს მაინტერესებს — ხომ არ აპირებს თქვენი კომბინატიც საერთო-საკავშირო სისტემიდან გამოცალკევებას?

— **უპირველესად, კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა სახელით დიდი სიხარულისა და სიამაყის გრძნობით ვულოცავ სრულიად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებას! ეს გახლავთ უდიდესი მნიშვნელობის აქტი, ურომლისოდაც გაგვიჭირდებოდა თავის დაცვა. რაც შეეხება ბატონ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევას, ეს ისეთი პოლიტიკური ნაბიჯი გახლავთ, ურომლისოდაც გაგვიძნელდებოდა საბოლოო გამარჯვება — რეალური დამოუკიდებლობის მიღწევა!..**

**ახლა, რაც შეეხება კონკრეტულად ჩვენი კომბინატის დამოუკიდებლობის საკითხს, ჩვენ, ფაქტობრივად, გამოყოფილნი ვართ. ამ საქმეშიც, სხვათა შორის, თვითონ ისინი დაგვეხმარნენ: ხელშეკრულება დაგვიდეს არა მთელი ხუთწლედით, არამედ ერთი, 1991 წლით! ფრთხილობენ: თქვენ, საცაა კავშირიდან გახვალთ და ხუთწლიან ხელშეკრულებას რაღა აზრი ექნებაო!..**

**ცენტრის ბრჭყალებიდან მთლიანად თავის დაღწევაში უდიდეს როლს შეასრულებდა რუსეთისა და საქართველოს რესპუბლიკების სამთავრობათშორისო ხელშეკრულების დადება და მისი რეალიზება.**

— ასე რომ, თუ გარედანაც არ შემოვიტანეთ ნედლეული, მხოლოდ რესპუბლიკურ რესურსებზე დაყრდნობით ფონს ვერ გავალთ, არა?

— **კარგახანია ჩვენ მხოლოდ გარედან შემოტანილი ნედლეულით ვმუშაობთ. ეკოლოგიური თვალსაზრისით ჯერ კიდევ 1970 წელს შევწყვიტეთ საქართველოში, კერძოდ, სვანეთში ხეების ჭრა და მისგან ცელულოზის დამზადება!.. არადა, მარტო მაკულატურის ხარჯზე რას გავხდებით?**

— ბატონო ოთარ, როდესაც თქვენთან გამომგზავრებას ვაპირებდი, პირად საქმეზე მომიწია გამომცემლობა „მერანში“ შევლა. დიდად შეშფოთებული იყო გამომცემლობის ხელმძღვანელობა — წლეულს ქართული პროზაული წიგნების დასასტამბავად სულ ასი თაბახი ქაღალდი გამოგვიყვესო!.. ქაღალდის ეს რაოდენობა კი, მოგეხსენებათ, რამდენიმე წიგნს თუ გასწვდება, ისიც მცირე ტირაჟით. ქაღალდის ასეთი მწვავე დეფიციტი საკავშირო ფონდების შემცირებითაა, ალბათ, გამოწვეული, ან სულაც უარის თქმით.

ვიცით, რომ თქვენი კომბინატი, ძირითადად, სასწავლო რვეულებსა და, საერთოდ, საკანცელარიო ასორტიმენტს აწვდის მომხმარებელს, მაგრამ, ხომ არ შეგეძლოთ გამოგეჩინათ ლამის „დამშეული“ ქართველი მწერლებისადმი გულისხმიერება და, რომელიმე სახეობის პროდუქციის შემცირების გზით გაგეზარდათ საწერი ქაღალდის (საბეჭდისაგან დიდად რომ არ განსხვავდება) მოცულობა?

— **შარშანდელი ხელშეკრულებით რა რაოდენობის და სახეობის პროდუქციასაც ვუშვებთ, ამის შეცვლა არ შეიძლება. დიდ ჯარიმას დაგვაკისრებენ... გარდა ამისა, ძნელი დასადგენია, რა უფრო საჭიროა: წიგნის კითხვა თუ ჯერ წერა-კითხვის სწავლა? ბავშვი კი, ურვეულოდ წერას ვერ ისწავლის.**

**საწერი ქაღალდის მოცულობის გასაზრდელად აუცილებელია რსფსრ-დან ნედლეულის მეტი რაოდენობის შემოტანაც, მაკულატურის რაოდენობის გადიდებაც, მაგრამ, უმთავრესია წარმოების პრივატიზაციის დაჩქარება! სანამ არ შეიქმნება სააქციო საზოგადოებები, სანამ წარმოებაში საკუთარ სახსრებს არ „ჩადებენ“ კომბინატის მუშა-მოსამსახურენი, სანამ არ მოხდება მათი მატერიალური დაინტერესება, მანამ საქმეს სიკეთე არ დაეტყობა.**

**იმისათვის, რომ კომბინატმა მეტი საწერი ქაღალდი დაამზადოს, საჭიროა სწორედ დამმზადებლების ეკონომიკური დაინტერესება! თუ კომბინატმა მოგება არ მისცა როგორც სახელმწიფოს, ასევე თითოეულ აქციონერს, მაშინ ვერც ერთი სახის პროდუქციის წარმოება ვერ გაიზრდება!..**

**ერთი სიტყვით, მეტისმეტად საჩქაროა ფაბრიკა-ქარხნების პრივატიზაციის კანონის მიღება უზენაესი საბჭოს მიერ.**

**საქართველო და მთლიანად საბჭოთა კავშირი ერთ-ერთი ჩამორჩენილი ქვეყანაა მსოფლიოში ქაღალდის წარმოების მხრივ. საერთოდ, ქვეყნის კულტურის დონეს ერთ სულ მოსახლეზე ქაღალდის წარმოების მიხედვითაც განსაზღვრავენ. ასე მაგალითად, თუ შეერთებულ შტატებში ერთ სულ მოსახლეზე ყოველწლიურად მოდის 224 კგ ქაღალდი, საბჭოთა კავშირში ეს ციფრი მხოლოდ 37 კგ-ს აღწევს...**

— თქვენ წეღან მაკულატურა ახსენეთ. რა რაოდენობის მაკულატურას იყენებთ წელიწადში? და, საერთოდ, რამდენად ეფექტურია მისი გამოყენება?

— **მაკულატურა ყველაზე მომგებიანი ნედლეულია ჩვენთვის, მაგრამ მის შეგროვებას რატომღაც ნაკლები ყურადღება ექცევა. აქამდე ყოველწლიურად 30 000 ტონა მაკულატურას ვამუშავებდით: აქედან საქართველო მხოლოდ 30 პროცენტს გვაწვდიდა, დანარჩენს სასომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ვღებულობდით. საგაისოდ 50 000 ტონა დავგეგმეთ. ვნახოთ!..**

— საქართველოში უამრავი მაკულატურის შეგროვება შეიძლება, თუ ვინმე ითავებს საგანგებოდ ამ საქმეს.

— **დიახ, ახლა ვაყალიბებთ სპეციალურ კოოპერატივს. ვიმედოვნებთ, მოსახლეობაც დაგვიჭერს მხარს.**

— ოღონდ ჩვენს ოჯახებში დაგროვილი მაკულატურა ჩაიბარონ და ღმერთი, რჯული, კაპიკს არავის გამოვართმევთ. ჩვენივე ხელით დავტვირთავთ მანქანებს. დარწმუნებული ვარ, 50 000 ტონა მარტო თბილისში შეგროვდება.

ძველი ჟურნალ-გაზეთებისა და შიგადაშიგ იმედგაცრუებული თხზულებების გარდა, მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ტომეულებიც გამოდგება, ალბათ, ხელმეორედ გადასამუშავებლად. არც ხრუშჩოვის, ბრეჟნევის, ანდროპოვის, ჩერნენკოსა თუ სხვათა ოპუსები იქნება უვარგისი!.

აქვე დავსძენთ იმასაც, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ტომეულები, მილიონობით ტირაჟით რომ ისტამბებოდა ლამის ყოველწლიურად, არა მარტო ოჯახებში უნდა მოვიძიოთ, წარმოებადაწესებულებათა კაბინეტებიდან და ბიბლიოთეკებიდანაც უნდა გამოვყაროთ. ერთი სიტყვით, მაკულატურის მეტი რაა, ბატონო ოთარ!..

ფასზე გამახსენდა: ვინ აღარ იცის, რომ ფასები, არა მარტო ქაღალდზე, ყველაფერზე კატასტროფულად იზრდება. რამდენიმე წლის წინათ თუ ერთი ტონა ქაღალდი 400 მანეთი ღირდა, სადღეისოდ, ამბობენ, 5000 მანეთი გახდაო, მართალია?

— **ცოტა მეტიც. ჩვენ, მაგალითად, 6 500 მანეთად ვყიდით, კომერციული ფასით.**

— და ყიდულობენ?

— **ყიდულობენ რომელია, მაგრამ სადაა, რომ იყიდონ! ამას წინათ, კრასნოდარიდან ჩამოვიდნენ, ეტყობა, [illegible] ტონაში 10000 მანეთი შემომთავაზეს, ორმოცდაათი ტონა გვჭირდებაო, ლამის დამიჩოქეს!..**

— მიჰყიდეთ, ალბათ, არა?

— **არავითარ შემთხვევაში!.. წარმოებისათვის, რასაკვირველია, რაც უფრო ძვირად და რაც უფრო მეტს გავყიდით, მით უკეთესია, მოგების ფონდი საგრძნობლად გაიზრდება, მაგრამ... რა ვიცი, გულმა არ მიქნა! ალბათ, გამახსენდა ქართველი მწერლების გასაჭირი (თქვენს გარდა, სხვებმაც დამიხატეს მათი მდგომარეობა), ვიფიქრე, ამათ აყვავებას ის მირჩევნია, ჩვენს მწერლებს მივყიდო უფრო იაფად-მეთქი და უარით გავისტუმრე.**

**ასეთი ფასები თავისთავად არ დადგენილა. საკავშირო მთავრობამ სამ-ოთხჯერ გაზარდა ნედლეულის ფასები. ჩვენ კი მთლიანად იმათგან ვღებულობთ ნედლეულს. ადრე თუ ტონა ცელულოზა 500-დან 800 მანეთამდე ღირდა, ახლა 1500-დან 2400 მანეთამდე ავიდა მისი ფასი! საბაზრო ეკონომიკა შედის ძალაში, რას იზამ!..**

— ფარისევლობაში ნუ ჩამომართმევთ ბატონო ოთარ, თქვენი სახელი საკმაოდაა ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის. რუსული გამოთქმა „დელოვოი ჩელოვეკ“ ჩვენს ენაზე მეტისმეტად ტრივიალურად, ლამის კრიმინალურადაც აჟღერდა — „საქმოსანი“. სინამდვილეში კი, ძირითადად, ბიზნესმენთან გვქონდა საქმე. ერთი სიტყვით, ის, ვინც საქმის თავდამდგმელი კაცი იყო (ამ მხრივ, მარტო ლაზიშვილების გახსენება რაც ღირს!), ვკიცხავდით, ვსჯიდით, ჯვარს ვაცვამდით. მადლობა ღმერთს, თანდათანობით ეცლება უარყოფითი იარლიყი „კაპიტალიზმის“ დარად, ამ სიტყვასაც. თქვენ რას იტყოდით?

— **ვეჭვობ, იმდენი რამ გამეკეთებინოს, საქვეყნოდ რომ ღირდეს ლაპარაკი, მაგრამ თუ თქვენ გულწრფელად მიფასებთ ღვაწლს, მადლობის მეტი რა მეთქმის. ისე კი სწორი ბრძანდებით — დროა, [illegible], ბიზნესის ყადრის მცოდნე ადამიანს ფართო გზა-შარა დავუთმოთ, რათა სრულყოფილად გამოამჟღავნოს ნიჭი. სწორედ რომ ნიჭი, რადგან მხოლოდ და მხოლოდ ნიჭია ყველანაირ საქმეში მთავარი!.. თუ წიგნის დასაწერადაა ნიჭი აუცილებელი, წიგნის ლამაზათიანად გამოსაცემადაც ნიჭია საჭირო.**

**ბევრი შემთხვევა ყოფილა, მხედველობაში მაქვს წარსული წლები, როდესაც უნარიან, ავტორიტეტიან მუშაკს, პარტიული იერარქიის რომელიღაც რგოლში რომელიმე ფუნქციონერი რატომღაც აითვალწუნებდა, მერე „ობე-ხესელებსა“ და სახალხო კონტროლიორებს შეუსევდა, აღმოუჩენდნენ თვალში ბეწვს, გამოუძახებდნენ ბოლოს ბიუროზე და ათავისუფლებდნენ.**

— დიახ, სამწუხაროდ, ასე იყო, ბატონო ოთარ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოვფხვრათ მმართველობის ასეთი სტილის გადმონაშთები. კადრებს განსაკუთრებული, გულისხმიერი დამოკიდებულება სჭირდება.

მიხეილ ზოშჩენკოს აქვს ასეთი ფრაზა — „სიმხდალისათვის ორდენებს არცერთ არმიაში არ იძლევიან!“ მართლაცდა, თუკი ადამიანმა კომპარტიის მმართველობის ხანაში გადაარჩინა საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით სხვათა სიცოცხლე, არა მგონია, დამოუკიდებლობის ჟამს მას ეს ცოდვად ჩაეთვალოს. თვითოეულ ჩვენგანს, ვისაც კი ეროვნული მოძრაობის, ხალხის მიერ კანონიერად არჩეული უზენაესი საბჭოს, რესპუბლიკის პრეზიდენტის ერთგულად მოგვაქვს თავი, საქმით გვევალება ამ ერთგულების დამტკიცება!..

— **ჭეშმარიტად ასეა და კიდევაც მალე გამოაჩენს ყველას თავისი საქმე, მაგრამ ქაღალდის წარმოების პრობლემებიდან ცოტა ხომ არ გადავუხვიეთ?**

— ცოტა კი, მაგრამ ვფიქრობ, მკითხველი არ გაგვინაწყენდება, რადგან კიდევ ერთხელ დადასტურდა ჭეშმარიტება — მოაზროვნე ადამიანთან ნებისმიერ თემაზე საუბარი საინტერესოა. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ უაღრესად ეროვნულ სარბიელზე, ბატონო ოთარ!

ესაუბრა **ბიზო ზარნაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლია სტურუა

# ახალი ლექსები

### ისვრიან, ისვრიან...

*ბიჭი ივანიშვილის ხსოვნას*

გუშინ მთელი ღამე ისროდნენ,
ვაშლის ხეებს ხვრეტდნენ,
ზედმეტად ბედნიერი სახე გაქვთო,
პირმრგვალი, ლოყაწითელი, ცხოვრებით
კმაყოფილნო.
საკვირველია, ისინი ქალაქის ხეები იყვნენ
და საკმაოდ ფერმკრთალ ვაშლს ისხამდნენ.
ერთი მათგანი მოდიოდა ხოლმე, ჩემთან
სტუმრად, ვლაპარაკობდით,
მასაც, ჩემსავით უჭირდა ცხოვრება,
რის ვაი-ვაგლახით ამოჰქონდათ
გადაგვარებული მიწიდან მის ფესვებს
ორი ფერი: წითელ-ყვითელი,
ჩვენ გვიცოდებდა, — ადამიანებს,
ჭამასთან ერთად, ცოტა სილამაზეც
ხომ გინდათო! — გვინდოდა,
ამიტომ ჩემს წყალსა და პურს ვაძლევდი,
ზოგჯერ, სისხლსაც, როცა წითელი ფერი
არაფრით არ გამოსდიოდა.
ჩემი სისხლ-ხორცი იყო ის,
ღმერთისგან ჩაბერილი სულითაც
მენათესავებოდა
და გუშინ მოკლეს.
მთელი ღამე ცვიოდა მიწაზე
ფერადი ნაყოფი და ისეთი შუშის ხმა ჰქონდა,
როგორც მძივებს...
მძივებით ქარი თამაშობდა,
რატომღაც, ეს ურთულესი ამოცანა
ქარს დააკისრეს,
ქარს მიჰქონდა ჩემი სხეულიც,
მველებურად მოლაპარაკე, საქმიანი,
მაგრამ მკვდარი, რადგან წუხელ
ვაშლის ხეები ისე, გასართობად
კი არ დახოცეს, არამედ, მე მომიკლეს
და ჩემისთანებს...

### მონატრება

*დუდანას*

უცნაური ბუნება აქვს მონატრებას,
განსაკუთრებით, ადამიანისას.
მოგენატრება ქუჩა, აგერაა,
მართალია, აკაციების ნაცვლად
ახლა უსულგულო სახლებს გთავაზობს,
მაგრამ, მაინც, მისი სახე
ოჯახურ მსგავსებას ამჟღავნებს შენთან.
მოგენატრება ხე, მკვდარიც რომ იყოს,
ისევ იმ ადგილას დგას,
კიდევ უფრო მყარია წიგნის მონატრება —
ვარდის ზვინები არ ჭკნება მის ტვინში,
ჯვარედინი რითმები იადონებივით დაფრინავენ
და შვიდ ხმაში მღერიან...
მაგრამ ყველაზე მწყურვალეა
ადამიანის მონატრება,
რომელიც ქალაქში აღარ არის,
ტელეფონი კივის ყრუ ოთახებში,
ზარი რეკავს და უპასუხობისგან
ისე წვეტიანდება,
რომ ეკლის გვირგვინს იხურავს თავზე...
— ვინ ცხოვრობს ამ სახლში?
— არავინ. ჩემო, არავინ,
მე უკვე აღარ, ჩემი მონატრება
მოდის შენთან ყოველდღე,
ლურჯი, არა ზედაპირულად,
არამედ, სულ ბოლომდე, გულის სიღრმემდე,
სადაც, ადრე, შაქრის ნატეხი წკრიალებდა,
დარდს არ უშვებდა,
ახლა კი იებია ჩაფიქრებული,
მთელი ბუჩქი, მთელი ფერდობი
შენი დაბრუნებისთვის,
თუ მანამდე აბლაბუდამ არ შემისრუტა,
მზიანი დღესავით...
დაბრუნდი, ორი არავინ შევხვდებით ერთმანეთს
ლურჯად,
რომელიც ნატვრის ფერია,
იის ორი წვეთი
ხმამაღალი, მჟღერი, გმირული სახელების
გარემოცვაში,
სადაც ექვსი გრძნობიდან
ახლა ყველაზე მწყურვალეა შენი მონატრება...

### გული

მე გული უკვე აღარ მტკივა,
რადგან დარდის იმხელა ლოდი
მიდევს შიგ,
რომ ტკივილისთვის ადგილი
აღარ დარჩა, აღარც სიყვარულისთვის...
სადღაა გული, სასოებით გამოყვანილი,
კლასიკური, წითელი?
მხოლოდ ბანქოს ქაღალდებზე,
ჩვენ კი ბლოკებისგან სახლებს
რომ გვიშენებდნენ,
ერთი ნატეხი გულში ჩაგვიგდეს
და მორჩა...
სიყვარულის და ერთგულების ჯილდოდ
მხოლოდ ძაღლებს და ცხენებს
გამოესხათ ფრთები და ცაში გაფრინდნენ.
ისინი ანელებდნენ ჩვენს ბოღმას,
ხავერდის ტანებით აქრობდნენ ომის ცეცხლს,
შხამიან სიტყვას ჭამდნენ
და, იქვე, ჩვენს ფეხებთან კვდებოდნენ,
ახლა სამოთხის ბაღებში ცხოვრობენ
და, მიუხედავად ზღვა ბალახის
და ხორცის ზვინების, უჭირთ,
რადგან ვერავისთვის ველარ გასწირავენ თავს,
მუნჯ ყელებში, ლამის, გაჩენილი სიტყვები
უკვდებათ...
ღმერთო,
მიეცი სიტყვები მათ და წაგვართვი ჩვენ,
ცოტა ხნით მაინც,
რადგან ერთმანეთს ვკლავთ ენით,
ზოგჯერ, სოფლის აშენებაც
სიტყვით უფრო გვეხერხება,
ვიდრე სისხლით და ოფლით,
ისინი კი მხოლოდ სიყვარულს გვეტყვიან —
გულში ლოდებს აგვიტკივებენ,
იქნებ, ერთმანეთიც შეგვაყვარონ
და ერთგულებაც გვასწავლონ ისეთი,
იმ კლასიკურ, ისარგაყრილ,
მშვენიერ გულს რომ შეეფერება...

### საავადმყოფოში

*დედას*

დილას ხელში რძიანი ჭიქა უჭირავს,
რომელზედაც თეთრი, ფრთებდაკეცილი
ანგელოზი ზის.
აღარც ტკბილია რძე და აღარც მდუღარე.
როგორც გუშინ,
ნოყიერებას გამჭვირვალება ჯობნის,
სიტყვას — მისი ჩრდილი, ჩურჩული...
გარბის სახლიდან ვიოლინოს
მკვეთრად ქალური ტანი,
მე მას მივდევ, უკან ვექაჩები, ბგერებს ვაგლიჯავ
და მეჩვენება, რომ გავიშინაურე
განყენებული ფიქრი მუსიკაზე,
კარებში მოვაყოლე მისი ლურჯი თითი...
ადრე, სანამ ზღვას მოკლავდნენ,
ის და მუსიკა ძალიან გავდნენ ერთმანეთს
და იგივე მასალისგან შედგებოდნენ,
რისგანაც ჩემი სული და ანგელოზები.
ახლა ორივე წარსულად იქცა,
ხოლო ჩემი ცხოვრება
ბრდღვიალა დღეში გამოდგმულ
რძიან ჭიქას დაემგვანა,
ცივს და უტკბილოს,
რომელიც, ადრე, სულ ცეცხლზე იდგა,
დუღდა, ცახცახებდა,
შაქრისსახიან ქვემდებარეს ეტრფოდა
და იყო სიტყვა, მოქმედების გამომხატველი
ახლანდელ ნახევარსიტყვასთან შედარებით,
რომელიც ჩრდილია მისი
და ჩემს ჩრდილს დასდევს
ელფერების, ჩურჩულის, ნახევარტონების
და ნახევარი სიმართლეების სამეფოში...

### 70-წლიანი ტკბილი ცხოვრება ჩვენებურად

მანქანური წესით მიდის ცხოვრება,
რომელიც სულ სხვაგვარად იყო ჩაფიქრებული,
რადგან ადამიანები ასე არ ცხოვრობენ:
გაჩნდი, მომწიფდი, შვილი იყოლიე,
დაბერდი, მოკვდი,
არავითარი ყვავილი შუაში,
არც ერთი ვარდისფერი ამოსუნთქვა,
რომ კალაპოტიდან არ ამოვარდე,
არ შეგეშალოს და თალხი კაბის ნაოჭებში
ვარდები არ ჩამალო
ან გრძნობების ფრქვევა არ მოინდომო
სათნოდ მოკუმული პირიდან,
თორემ, იქვე, ჩასაფრებულია
გაჭირვება, ავადმყოფობა, სიკვდილი...
ფარშავანგებიანი სიზმარიც კი,
რომელიც ბავშვობას გინათებდა,
მკრეხელობად იქცა და გაუმართლებელ
ფუფუნებად.
ამ ფუფუნების ჩრდილია შენთვის
სიტყვა — „სტრესიც", —
სხვის დღესასწაულებს, სიყვარულებს,
ლაჟვარდებს შორის გაჩხერილი ეკალი,
რადგან მთელი შენი ცხოვრება
ერთი გაუთავებელი სტრესია,
ჰაერი უფერო, წყალი მოწამლული,
სიყვარული, მხოლოდ, შთამომავლობის
გასაგრძელებლად.
მდუღარე მურაბა რომ ჩაგასხან პირში
და ჩაის შავმა ჭიანჭველებმა
გული შეგიჭამონ...
და, მაინც, ცოცხალი ხარ,
კიდევ შეგიძლია ფარშავანგი დაინახო
დაღლილი და ოფლიანი დღის ბოლოში,
არ შეუშინდე მონის ლაქუცა პირს,
რომელიც შავს თეთრად ასაღებს,
მარილს აყრის და იძენს უფლებას
იცხოვროს, შვილი გააჩინოს და მოკვდეს,
შენ კი ფარშავანგს გაეკიდები,
როგორც ცოცხალს,
ან გაგიშვებენ, ან მოგკლავენ,
ყველაზე უფრო მონა გამოიჩენს თავს,
თალხი კაბის ნაოჭებში ვარდებს აგიყვავებენ,
რადგან ტრაგედიას უდრის
ამ შავ-თეთრ ცხოვრებაში
ფარშავანგის დანახვა
და, მხოლოდ, ერთი წუთი შეიძლება
უყურო მას, მხოლოდ, ჭუჭრუტანიდან...

### ოპერა

ოპერა. მუქი იისფერი ბანი
ესაუბრება მშვენიერ ქალებს —
გრძელყელიან ვიოლინოებს,
შორიდან კრინი ისმის
(ყვავილებით მოჩითული ნიავი)
იმ კეთილი და ლამაზი კაცის,
რომელიც მერე და მერე, ვნებები რომ
გაუმძაფრდება,
ვერცხლის სურებით დადგამს
საკუთარ თავს
სცენის ყველა კუთხეში,
ხოლო მეორეს, რომელსაც, ასევე,
არ აკლია ვნება, თაფლიანი გობი აქვს
მკერდში ჩაშენებული
და იმაში აწობს ხმას...
ის — ზარი გამჭოლავი
და ეს — ტკბილი კვერი,
ეჯიბრებიან ერთმანეთს
იმ ქალისთვის, ვიოლინოდან
სიმივით რომ გამოწელავს ღმერთი
და ეხეთქებიან ერთმანეთს
გახამებული მკერდები,
შავი ხავერდის პეპლები —
სიმღერის წერტილები,
ორ წერტილს შორის ორკესტრი,
როიალის შავი ტანით რომ იწყება
და ვიოლინოს ყელით უერთდება ცას,
გონიერი თავი კი საყვირს უბერავს
და მისი მუცლიდან
მთელი ოქრო გამოაქვს.
ეს ოქრო იმდენ ყელს ეყოფა,
რომ საორკესტრო ნიჟარიდან
ამოდის მშვენიერი ქალბატონი — ოპერა,
მუქი იისფერი ბანი
ხავერდს აფენს მის გზაზე,
ალტები თითითკივით რბილ ჰაერს
მოარბენინებენ
და ოპერა, ჩემი ნარკოტიკი,—
სიზმრის ხალვა, ცხადის შხამში არეული,
ისე, რომ ტკბილმა აჯობოს,
მერამდენედ მარწმუნებს, რომ სასწაული
ჯერ კიდევ არსებობს
ამ ბნელ, საპყარ, უზნეო წუთისოფელში,
ხოლო ცის მყარზე შემოქმედი ზის
და, გაცილებით დიდი წვალებით
და ვაი-ვაგლახით, ვიდრე ოდესღაც,
გვიბერავს ტანში ძველებურად ლურჯ,
ვარსკვლავიან სულებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯონდო მეტრეველი

ბიჭი ზარმა გააღვიძა. მერე წინა ოთახიდან უცხო მამაკაცის ხმა შემოესმა და მაშინვე ყველაფერს მიხვდა: ანდა რა მიხვედრა უნდოდა — ბიჭი ამას კარგა ხანია ელოდა, ელოდა დაჭიმული და დაძაბული. მართალია, გარეგნულად ჩვეულებრივად იქცეოდა: იღვიძებდა, საუზმობდა, მიდიოდა სკოლაში, პასუხობდა გაკვეთილებს, იქამდე კინოშიც დადიოდა. მაგრამ... მაგრამ ის დიდი საიდუმლო, რომელიც ცხრა კაცის კუთვნილება გამხდარიყო, აიძულებდა, ჩვეულებრივი ცხოვრების გარდა, კიდევ სხვა ცხოვრებითაც ეცხოვრა; ჩვეულებრივი ფიქრების გარდა, კიდევ სხვა ფიქრებითაც ეფიქრა და, რაც მთავარია, მისი ტოლებისაგან განსხვავებით, სხვა ოცნებებით ეოცნება... ეოცნება კი არა, უფრო ზუსტად, წინასწარ განესაზღვრა მომავალი. მომავალი კი რაღაც არაჩვეულებრივს, რაღაცა სხვას, დანარჩენებისგან განსხვავებულსა და განსაკუთრებულს უმზადებდა. უმზადებდა ჯიუტად, ლოგიკურად და აუცილებლად: ბიჭი გარდუვალ დაპატიმრებას ელოდა. თითქოსდა გუშინ გამოიკვეთა საბეჭდ მანქანაში ჩადებულ ფურცლებზე: „სიკვდილი კრემლელ ჯალათებს... მოღალატე ქართველ კომუნისტებს... ძმური სალამი გმირ უნგრელ ხალხს... გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს!“ ჰო, ეს ასე იყო. ასე კი არა, აუცილებელი იყო. ისევე აუცილებელი, როგორც ამის შემდეგ დაჭერა, რომელიც ბიჭს არ აშინებდა, ნამდვილად არა, რადგან ბიჭი მართალი იყო, რადგან გაჩუმება უკვე აღარ შეიძლებოდა, რადგან ირგვლივ გამეფებულიყო... ამის თქმით მთავრდებოდა მისი ცხოვრების ერთი ეტაპი და იწყებოდა... სწორედ ამ დასაწყისს იცნობიერებდა ბიჭი უკვე კარგა ხანია. და გრძნობდა. გრძნობდა კი არა, დარწმუნებული იყო, რომ ყველაფრისთვის მზად იყო, რადგან... რადგან, რაც ითქვა, აუცილებლად სათქმელი იყო. სწორედ ამიტომ ითქვა ყველაფერი ისე ძალდაუტანებლად, ისე შეგნებულად, ყოველგვარი წამიერი აფექტის გარეშე — სათქმელი დიდხანს, ძალიან დიდხანს მზადდებოდა. ისევე ძალდაუტანებლად და შეგნებულად იყო განმზადებული ოცნების უცნაური ბურუსით გარსშემოხვეული მომავლისეული გეგმებიც. ერთადერთი, რაც ნათქვამსა და გასაკეთებელს შორის იდგა, იყო დაპატიმრება, ათასჯერ და ათიათასჯერ წინასწარ წარმოსახული აუცილებელი დაპატიმრება (სახლში, სკოლაში, ქუჩაში ან კიდევ...) ნამდვილად აუცილებელი, რადგან კგბ 56-ში შესანიშნავად მუშაობდა და არავის არაფერს პატიებდა.

●

ამიტომ იყო, რომ, როცა ბიჭს ხუთი უცნობი მამაკაცი დაადგა თავს ლოგინში, პირველი, რაც ბიჭმა იგრძნო, აუცილებლად მოსახდენის მოხდენა და დამქანცველი მოლოდინისგან განთავისუფლება იყო. ბიჭმა შვებით ამოისუნთქა და მოსულებისთვის გასაკვირად გაეღიმა კიდეც, რადგან აუცილებლად მოსახდენის მოხდენა და დამქანცველი მოლოდინისგან განთავისუფლება იმასაც ნიშნავდა, რომ ბიჭი უკვე თავის თავს ეკუთვნოდა და აღარ იყო საჭირო იმ მომქანცველი ორმაგი ცხოვრებით ცხოვრება. ოღონდ... ოღონდ ცოტაოდენი დაძაბვაც, ერთი ამოსუნთქვა ნებისყოფის დაძაბვაც და...

მანამდე კი აუცილებელი ფორმალური მხარე. ჩაცმამდე ბიჭს ტანსაცმელი გულდასმით გაუსინჯეს. ასევე გულდასმით დაათვალიერეს აბაზანა ბიჭის შესვლამდე. მერე ბიჭი მაგიდასთან დასვეს და თვითონ მტკაველ-მტკაველ დაიწყეს ყველაფრის ჩხრეკა.

ჰო, ბიჭი განთავისუფლდა აუცილებლად მოსახდენის მოლოდინისგან და ამ უცნაური თავისუფლების შეგრძნებას, ვერც ჩხრეკა უშლიდა ხელს. ოღონდ... ოღონდ ამ თავისუფლებას თან ახლდა ერთადერთი დამთრგუნველი შეგრძნება — მშობლები. და ბიჭი ცდილობდა, მშობლებისთვის თვალი აერიდებინა. ეს მომენტიც წინასწარ ჰქონდა მას განსაზღვრული, მაგრამ დედის მოჩვენებითმა დარბაისლურმა სიმშვიდემ და მამის უადგილო ფაციფუცმა ბიჭს გული შეუკუმშა, პირი ძალით გაალებინა და: „ნუ გეშინიათ... არაფერია...“ მერე ბიჭმა დიდი დაღლა და პაპიროსის აუტანელი ნდომა იგრძნო. მოსულები კი არ ჩქარობდნენ და ხაზგასმული ზრდილობიანობით იქცეოდნენ: „არა, ქალბატონო, ნურაფერს ნუ უმზადებთ... არაფერი არაა საჭირო...“ „დაწყნარდით, ბატონო... გავარკვევთ, ყველაფერს გავარკვევთ...“

ბოლოს და ბოლოს, ეს რიტუალიც დასრულდა. მოსულებმა ბიჭსა და მშობლებს ჩხრეკის ოქმზე ხელი მოაწერინეს. ჰო, კიდევ სამ გაოგნებულ მეზობელს, რომლებიც ლოგინებიდან წამოეყენებინათ და ეხლა სახე ისე მოქცეოდათ, თითქოსდა ბიჭის კი არა, მათ დასაპატიმრებლად მოსულიყვნენ. ესეც აუცილებელი ფორმალური მხარე — მოწმეების ჩხრეკაზე დასწრება.

მერე ბიჭი დედ-მამას გადაეხვია. დედამ ყურის ძირას აკოცა და ბავშვობის დროინდელი: „დათვის ყური, მიეც ძალა...“ მამამ — სადაც მოუხდა. მერე კარი გაუღეს, ბიჭს ორი კაცი აქეთ-იქით ამოუდგა, ერთი წინ გაუძღვა და სადარბაზოდან გაიყვანეს.

ბიჭი ჩვიდმეტი წლისა იყო.

●

ეზოში ორი შავი მანქანა იდგა. ერთ-ერთიდან მძღოლი გადმოვიდა და ბიჭს უკანა კარი გაუღო. ის ორი კაცი ისევ აქეთ-იქით, ერთი წინ, დანარჩენი ორი — მეორე მანქანაში.

ცარიელი ქუჩა. კანტი-კუნტად რძის ჭურჭლიანი მოხუცები. მოსახვევში ქუჩას უდარდელად გვიდა მეეზოვე. მანქანის საათი რვის ხუთ წუთს უჩვენებდა. ბიჭი არაფერს კითხულობდა. ბიჭი კარგად იცნობდა უბანს და იცოდა, საით მიდიოდა მანქანა. კგბ მის უბანში იყო. მერე, სანამ მანქანა რკინის ალაყაფის კარს მიადგებოდა, უცბად გაახსენდა, გაახსენდა კი არა, გაიაზრა, თუ როგორ დაეუფლა სახლში წამიერი შიში — შიში ფიზიკური, შიში ტკივილის მიყენებისა. სულიერი შიში ნამდვილად არა. გახსენებით კი ის გაახსენდა, რომ მიხვდა: სახლში, ალბათ... ალბათ კი არა, ნამდვილად არა სცემდნენ. „ალბათ“ მაშინ მანქანას ეხებოდა. ახლა კი იგრძნო, რომ ეს „ალბათ“-იც მოიხსნა, იქ მიყვანამდე გადაიდო. მერე ბიჭს გაეღიმა, რადგან მისდაუნებურად ისიც გაახსენდა, რომ დღეს, „დღეს“, რომელიც მას უკვე აღარ ეკუთვნოდა, სამი საკონტროლო გადაუგორდა. ეს უკვე მომხდარის სასაცილო მხარე იყო, ამის გაფიქრება კი — ცხოვრებისეული აბსურდი.

მანქანამ სვლა შეანელა. დიდი რკინის ალაყაფის კარი თავისით გაიღო და მანქანა ეზოში შევიდა. კარი ისევ თავისით დაიხურა. კუთხეში მდგომ მწვანე ჯიხურში ჯარისკაცი, არაფრის მთქმელი, ვიწრო თვალებით და კიდევ რაღაცნაირი გამომეტყველებით.

(გაივლის რამდენიმე თვე და, სწორედ ამნაირი ჯარისკაცების ბადრაგი წაიყვანს ბიჭებს სასამართლოში, მერვე პოლკის ჯარისკაცები — უდედმამო, სხვადასხვა რჯულისა და მაინც ყველა ერთნაირი, ყველა ერთი გამომეტყველებით — კაცის მკვლელის გამომეტყველებით. და კიდევ მათი ოფიცერი — მათგან სრულიად განსხვავებული: წარმოსადეგი, ლამაზი, ნატიფი ნაკვთებით, მაგრამ მაინც იმ გამომეტყველებით, კაცის მკვლელის გამომეტყველებით).

წინ მჯდომმა საშვი მიაწოდა. ჯარისკაცმა სერიოზულად გასინჯა. მერე სადღაც დარეკა. იქიდან რაღაც უპასუხეს. ჯარისკაცმა მხედრული სალამი მისცა წინ მჯდომს. კაცებმა ბიჭი მანქანიდან გადმოიყვანეს, ხელები უკან დააწყობინეს, დიდი ვარსკვლავით მოჭედილი მასიური ხის კარი შეაღეს და შენობაში შეიყვანეს. შიგ, კარის კუთხეში, ისეთივე ჯარისკაცი გაჭიმულიყო.

●

ბიჭი უკვე კგბ-ს სამფლობელოში იყო. აქეთ-იქით ისევ ის ორი კაცი, წინ კი ერთი. ბიჭმა ჩუმად შეათვალიერა მის გვერდით მიმავალი კაცები: სახიდან ხაზგასმული ზრდილობიანი გამომეტყველება გაჰქრობოდათ და მის მაგიერ მოვალეობის შესრულებით გამოწვეული კმაყოფილების შეგრძნება აღბეჭდოდათ. და კიდევ ერთი: გაღიმებულები, როგორც საკუთარ სახლში, ლაღად მიაბიჯებდნენ გრძელ კორიდორში, რომლის ორსავე მხარეს კაბინეტების დანომრილი ყრუ კარები გამწკრივებულიყო. ისმოდა მხოლოდ მიმავლების ფეხის ხმა და ზოგიერთი კაბინეტიდან გამომავალი საბეჭდი მანქანის შორეული კაკუნი.

ბოლოს, ერთ-ერთ კართან, ბიჭი შეაჩერეს.

წინ მიმავალმა დააკაკუნა და შევიდა. ცოტა ხანში უკან გამოვიდა ისევ იმ გამომეტყველებით, ჩხრეკისას რომ ჰქონდა. და ბიჭი ოთახში შეიყვანა.

საკმაოდ გრძელი ოთახი. ოთხამდე მაგიდა. მაგიდებზე ნათურები ენთო, როგორც ჩეკისტურ კინოში. ნათურების შუქზე, პაპიროსის ლურჯი ბოლი გაწოლილიყო. ფანჯრებს მძიმე ფარდები ფარავდა. ნათურების მიღმიდან ბიჭს რამდენიმე კაცი მისჩერებოდა. შემყვანი ერთ-ერთს, ალბათ უფროსს, გაეჭიმა და რაღაც ქაღალდი მაგიდაზე დაუდო. კაცმა ქაღალდს ხელი მოაწერა და უკან დაუბრუნა. შემყვანი გავიდა. ხელის მომწერი შუქის მიღმიდან გამოვიდა, ბიჭს სკამი მიაწოდა, მაგიდის წინ დაისვა. მერე თვითონაც ისევ თავის ადგილზე დაჯდა მაგიდის მეორე მხარეს, ბიჭს ნათურა შეანათა და დაიწყო:

„გვარი, სახელი, მამის სახელი... დაბადების წელი...“ გვერდზე მაგიდასთან მჯდომი იწერდა. „სკოლა, კლასი... ამხანაგების გვარები, მეგობრების გვარები... „— ჩაერია მეორე. „დაასახელე შენი უახლოესი მეგობრები!“ ეს უკვე მესამე იყო. მერე ვიღაც შემოვიდა და: „როდის დაიწყეთ? თავიდან რამდენი იყავით?“

ესე იგი, სხვებიც აქ არიან, გაიაზრა ბიჭმა და იგრძნო, როგორ მოემატა ძალა. და ისევ კითხვები: „სად ხვდებოდით ერთმანეთს...“ „როდის გადაწყვიტეთ... სად დაბეჭდეთ?“ ესე იგი,




(1956 წელი... დეკემბერი...)

პროკლამაციები ჩამოხსნეს — გამოიკვეთა მეორე დასკვნა და ბიჭს უცბად თვალწინ წარმოუდგა კაცი, რომელმაც ზემელზე პროკლამაციების გაკვრამდე რაღაც ათიოდე წუთის წინ, პაპიროსის მოკიდება სთხოვა და მერე ვერის დაღმართზე ჩაუხვია, ის კაცი რატომღაც დაამახსოვრდა (გაივლის დაახლოებით ერთი თვე და დაკითხვისას გამომძიებელთან შემოსულთაგან ბიჭი სწორედ იმ კაცს შეიცნობს).

„ჰო, ვინ არიან შენი უახლოესი მეგობრები?“ — ისევ მეორდებოდა კითხვა. „სად გაიცანით ერთმანეთი?“ „სკოლაში?“ „მანამდე?“ „სკოლამდე?“ და კიდევ ერთი უამრავჯერ განმეორებული კითხვა: „უფროსებიდან ვინმე ხომ არ გარიგებდათ ჭკუას?“ კითხვა, რომელიც ნელ-ნელა კონკრეტდებოდა: „თქვენი მშობლებიდან, ვის მშობელს უჭერებდით ყველაზე მეტად?“ „ვის სცემდით ყველაზე მეტ პატივს?“ წუთები კი წუთებს მისდევდა, გროვდებოდა ერთად და ხდებოდა საათი. მერე საათს ემატებოდა საათი და სხეულს ეუფლებოდა საშინელი დაღლა, ისე საშინელი, რომ ბიჭს პაპიროსის მოწევის ის დიდი ნდომაც კი დაეკარგა, გაღვიძებიდანვე რომ აწვალებდა.

კითხვები კი მეორდებოდა და მეორდებოდა, ხან ერთი მაგიდიდან და ხან მეორედან (ჯვარედინი დაკითხვა).

და ბიჭი უკვე ყველაფერს კინოკადრებივით აღიქვამდა: გამომძიებელი დიდხანს უყურებს, მერე ბიჭს დაღლილ (ისიც დაიღალა), უაზრო თვალებს აშორებს, კეფას იფხანს, მთქნარებით აღებს უჯრას, ცარიელ ბლანკს იღებს და საქმიანად ავსებს (ბიჭი გამომძიებლის საათისკენ აპარებს თვალს, რადგან კარგა ხანია მიხვდა, რომ კედლის საათი არ მუშაობს და ალბათ აქ არც უნდა მუშაობდეს. მეათე საათია დაწყებული), შევსებულ ბლანკს გვერდზე წევს, მაგიდაზე ღილაკს თითს აჭერს (ოთახი თითქმის ცარიელია. ორიოდ კაცი მაგიდას ალაგებს). „ეხლა რა მოხდება?“ გამომძიებლის საათზე წამმზომის ისარმა ოთხჯერ შემოავლო წრე.

●

მერე ორი ზედამხედველი შემოდის, გამომძიებელს შევსებულ ბლანკს ართმევენ და ბიჭი გაჰყავთ. გაუთავებელი კორიდორები და კიბეები („რამოდენა ყოფილა?!“). ბოლოს ერთი ოთახი. ჩხრეკენ სრულიად ტიტველს: ხელები მაღლა, ფეხები გვერდზე... იქამდე პირსაც აღებინებენ, ენას ზევით აწევინებენ და შიგ უყურებენ. ატოვებინებენ: ნათლობის ჯვარს, ბლოკნოტს, კალმისტარს (აღარ დასჭირდება), ხსნიან ქამარს, ფეხსაცმელებს აცლიან თასმებს (თავი არ ჩამოიხრჩოს). ადგენენ ოქმს და აწერინებენ ხელს.

მერე ისევ კიბეები, კორიდორები. ბოლოს მძიმე, მასიური რკინის კარი და მის უკან, რკინისავე ცხაურის მიღმა, სრულიად განსხვავებული კორიდორი — მარცხენა მხარეს ერთმანეთის მიყოლებით საკნები და იქიდან გამოსული სუნი: მძიმე, უძრავი სუნი.

ბოლოს, ზედამხედველები ბიჭს ერთ-ერთ საკანთან აჩერებენ, დიდი გასაღებით რკინის კარს აღებენ და შიგ უშვებენ. კარი ზათქით იხურება და გასაღების ტვინამდე ჩამავალი ჩხარუნი საიმედოდ კეტავს კარს. მოჭედილი ნაბიჯები საკანს შორდება.

●

აუტანელი სამარისებური სიჩუმე. მექანიკურად იხდის პალტოს. ათვალიერებს იქაურობას: სიგრძე ხუთ ნაბიჯამდე, სიგანე სამამდე. ერთ კუთხეში „პარაშა“, მეორეში ტაბურეტი. კედლებთან თითო საწოლი. საწოლებს შუა ციცქნა მაგიდა. ცდილობს შეანძრიოს. მაგიდა მიხრახნილია. მაგიდაზე ჩაიდანი. და, ღმერთო! ერთადერთი სიხარული — ფანჯარა! მართალია, ძალიან მაღლა, თითქმის ჭერთან, მაგრამ მაინც ფანჯარა! ადის მაგიდაზე უკან მოუხედავად (ვაითუ ზედამხედველი შემოვიდეს და ჩამოაგდოს). ჰო, ფანჯარაა... ოღონდ ორმაგი, გაუმჭვირვალე მინით და შუაში ჩატანებული მავთულის ბადით (ამას ბიჭი დილას ნახავს. ღამით... ღამით კი ფანჯარა უბრალოდ ჩაბნელებულია). ფრთხილად აწვება. ჰო, იღება... იღება, მაგრამ გარეთ უკუნი ღამეა. ხელს სწევს ფანჯარაში, თითქოსდა უნდა უკუნეთს გასწვდეს. მაგრამ... ისევ მაგრამ... რადგან რკინის რიკულებს მიღმა ხელი რაღაცას მყარსა და უხეშს ხვდება. ფათურით სინჯავს იმ რაღაც მყარსა და უხეშს. ჰო, ფანჯარა გარედან რამდენიმე სანტიმეტრის დაშორებით აჭედილია! ღმერთო ჩემო! ეს როგორ არ უნდა სცოდნოდა?! ეს ხომ ეჟოვისა თუ მისი წინამორბედის საჩუქარია — პატიმარი გარეთ ვერაფერს ვერ უნდა ხედავდეს, თავისუფალ ცასაც კი! იგი მხოლოდ აჭედილი ფანჯრის ზემოთ დარჩენილი ღრიჭოთი შემოზღუდულ ცის ერთი ციცქნა ნაგლეჯს შეიძლება ხედავდეს, მასავით დაპატიმრებულ ცის ნაგლეჯს... სამყარო, ჩაკეტილი საკანში, და ღრიჭოთი შემოზღუდული ცოტაოდენი ცის ნაგლეჯი, თითქოსდა აბუჩად ასაგდებად დატოვებული ცის ნაგლეჯი, რომელიც კი არ აკავშირებს გარე სამყაროსთან, არამედ, პირიქით, ყველაფრისგან საიმედოდ აშორებს!

ბიჭი მაგიდიდან ჩამოდის და მისი გარე სამყაროსაგან კიდევ უფრო დამაშორებელ რკინის მასიურ კარს აშტერდება, კარს, რომელშიაც გასაღების ღრიჭოს დონეზე ისევ რკინისავე საჭმლის მისაწოდებელი კარია ჩატანებული („კორმუშკა“), და კიდევ პატარა, მრგვალი სათვალთვალო („ვოლჩოკი“), ზედამხედველის უაზრო, გაშეშებული, თითქოსდა მინის თვალით ამოვსებული სათვალთვალო.

კარს ზევით კი, ზედ ჭერთან, დიდი ნათურა ჰკიდია და მთელ საკანს საზიზღრად აჩახჩახებს. მტკაველ-მტკაველ სინჯავს კედლებს. არსად უბრალო წარწერაც კი, წარწერა, რომელიც საკნის ბიოგრაფიას შეახსენებდა. ძვალსა და რბილში ატანს სიცივე. ისევ ადის მაგიდაზე და ხურავს ფანჯარას. უკან ჩამოდის. ცოტა ხანში იაზრებს, რომ წინ და უკან დადის. უქამრო შარვალი სძვრება. ჯდება ლოგინზე და იწყება ფიქრი: „ნეტა რა იციან და რა არა?“ „ყველანი აქ არიან, თუ ვინმე გადარჩა?“ „მგონი, ერთი არ უხსენებიათ...“ მერე ისევ დგება და ისევ სიარულს იწყებს. წარამარა იწევს შარვალს. მერე ცხვირსახოცს იღებს ჯიბიდან, ქამრის გასაყრელებში იყრის და იკრავს. ერთი საკითხი მოგვარდა — აღარ სძვრება შარვალი. მერე ისევ ფიქრები, ფიქრები, ვეება დაღლისგან ნელ-ნელა დაძაბუნებული ფიქრები. სამარისებურ სიჩუმეში პულსის შეგრძნება, რომელიც ფიქრებივით დუნდება. გრძნობს, როგორ ერევა ძილი და სადღაც იკარგება აუტანელი სიცივე. უეცრად ტვინის შორეულ კუნჭულში თავისით დაბადებული აზრი: სადმე კედელზე (სადაც ვერავინ დაინახავს) პატარა ხაზით აღნიშნოს პატიმრობის პირველი დღე. ახსენდება (ნეტა რამ დაავიწყა?), რომ ჩაიდნის გვერდით, მაგიდაზე, კოვზიც იდო. მიდის მაგიდასთან, იღებს კოვზს და უკან შემოუბრუნებლად (ვაითუ სათვალთვალოს მინებებულმა თვალმა შეამჩნიოს) იქვე, კედელზე, ვითომცდა არაფერიო, მალულად კაწრავს ოდნავ შესამჩნევ ხაზს. ესეც მეორე საქმე მოგვარდა.

მერე ქანცგაწყვეტილი კოვზიანად წვება ლოგინზე, თავზე იფარებს სიფრიფანა გადასაფარებელს, ზემოდან პალტოს და ხუჭავს თვალებს. ნათურა ისევ საზიზღრად ჩახჩახებს, მაგრამ დაძინებას ვეღარ უშლის — იმარჯვებს ვეება დაღლა, მთელი დღის დაძაბულობით შობილი დაღლა.

●

ბიჭს ჩაესმის გარკვეულ ინტერვალებში განმეორებული უცნაური და გაურკვეველი ხმა. გულდაღმა წევს, მაგრამ მაინც გრძნობს იმ საზიზღარი ნათურის ჩახჩახს, რომელიც, თითქოსდა თავს უხვრეტს და მეორე მხრიდან თვალებს ჭრის. ბრუნდება ზურგზე, აშტერდება ჭერს, მერე — რკინის მძიმე კარს. გაურკვეველი ხმა კი ისევ მეორდება და ნელ-ნელ რეალურ სამოსს იძენს: „შშშ-ჩ!“ „შშშ-ჩ!“ „შშშ-ჩ!“ „ნეტავი, რა უნდა იყოს?!“ ბიჭი დგება, ზურგს აქცევს ზედამხედველის თვალით ამოვსებულ სათვალთვალო ჭუჭრუტანას და ფანჯრისკენ ტრიალდება. ფანჯარა შეთეთრებულია.

გათენდა ახალი, პირველი დღე.

ჯიბიდან უკანასკნელ დაჭმუჭნილ სიგარეტს იღებს, უკიდებს, ხარბად ქაჩავს და ელოდება რაღაცას, გაურკვეველს. ბიჭმა ნამდვილად არ იცის, რა უნდა მოხდეს. ბოლოს ხმაურით იღება კარი, შემოდის ზედამხედველი, აძლევს პირსახოცის იმიტაციას. მერე გარეთ გადის, პირთან ხელი მიაქვს და ის დილანდელი გამაღვიძებელი: „შშშ-ჩ!“. მიჰყავთ ტუალეტში. ბიჭი საკეტს ეძებს, მაგრამ ტუალეტს შიგნიდან საკეტი არა აქვს. სამაგიეროდ, ზედამხედველი იხედება შიგ ისეთივე ჭუჭრუტანიდან, როგორიც მისი საკნის კარს აქვს. ჰმ! მისი საკნის კარს, მისი! მერე ბიჭი უკან მიჰყავთ უკვე ნაცნობი „შშშ-ჩ!“-თი.

და ბიჭი გუმანით ხვდება, რაა ეს უცნაური „შშშ-ჩ!“ არა, მისთვის ეს „შშშ-ჩ!“ არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს. იგი, ალბათ, უბრალოდ, ზედამხედველების პაროლია (გაივლის ცოტა ხანი და ბიჭი იმასაც გაიგებს, რაში სჭირდებათ ეს პაროლი ზედამხედველებს: კგბ-ში პატიმრები არ შეიძლება ერთმანეთს შეხვდნენ. გაივლის კიდევ ცოტა ხანიც, ბიჭი „გაშინაურდება“ და აღარ დასჭირდება „შშშ-ჩ!“-ს დაძახებისას ზედამხედველის უხეში ხელით შეჩერება, რადგან ეცოდინება, რომ საპასუხო „შშშ-ჩ!“-მდე ადგილზე უნდა იდგნენ, რათა შემთხვევით ვინმეს არ შეეჯახონ).

ბიჭი ისევ საკანშია. ლოგინზე ზის და ისევ რაღაც გაურკვეველს ელოდება. საკანს ცოტა ხანში მოჭედილი ნაბიჯები უახლოვდება და თან რაღაც დიდი ჭურჭლის ბრახუნიც მოჰყვება. იღება კარში ჩატანებული პატარა კარი: აწვდიან ბალანდას და შავი პურის ნაჭერს. პატიმარი დააპურეს. კარგა ხნის შემდეგ, კარი ისევ ისეთივე ხმაურით იღება. ეხლა? ეხლა რა მოხდება? დასაკითხად წაიყვანენ? მაგრამ ბიჭი უკვე ნაცნობი „შშშ-ჩ!“-ს თანხლებით ქვევით ჩაჰყავთ. ესე იგი, გამომძიებელთან არა. აბა, მაშ სად? და ბიჭს ისევ ის სახლში განცდილი წამიერი შიში ეუფლება, მხოლოდ წამიერი.

ბოლოს ერთ ოთახში შეჰყავთ. ოთახს ბეტონის იატაკი და თაროებით გაჭედილი ბეტონისავე კედლები აქვს. შუაში ფოტოაპარატი. აპარატის წინ სკამი. სვამენ სკამზე. მკერდთან ციფრებიან პატარა აბრას უმაგრებენ და უღებენ სურათებს: პირდაპირ, პროფილში, ანფასში... ოთახში მოფუსფუსეები ხმას არ იღებენ. მხოლოდ აპარატის ჩხაკუნი ისმის. მერე ზომავენ სიგრძეში, სიგანეში. ყურადღებით უთვალიერებენ სახეს, ხელებს, ტანს (ბიჭი ისევ ტიტველია) და სპეციალურ ბლანკზე გადააქვთ განსაკუთრებული ნიშნების აღწერილობა (იქამდე ხალებიც კი დაუთვალეს). მერე ბიჭი კუთხეში მდგომ მაგიდასთან მიჰყავთ, იღებენ ბიჭის ხელებს, — ჯერ მარჯვენას, შემდეგ მარცხენას, — და რიგრიგობით აჭერინებენ თითებს, ჯერ რაღაც ტუშის მსგავსი სითხით გაჟღენთილ საფენზე, მერე დანომრილ უჯრედებიან მუყაოზე (გაივლის დრო და ბიჭი მეორედ დაჭერისას გაიგებს, რომ ანაბეჭდების აღებას პატიმრები „პიანინოზე დაკვრას“ უძახიან — პატიმრული იუმორი).

„მორჩა!“ — გაელვებული აზრი. „კარგა ხანს ჩავრჩი“. და მაშინვე: „სურათები როდის ექნება?“—თავისთავთან გახუმრება, ოღონდ გულში, რადგან ბიჭს არავითარი სურვილი არა აქვს, ვინმე იქაურთან კონტაქტი დაამყაროს.

მერე ბიჭი კიდევ ერთი სართულით დაბლა ჩაჰყავთ, დიდ, რკინის კარიან ოთახში შეჰყავთ და გარედან კეტავენ. კედლის გასწვრივ რამდენიმე შხაპი და ყურებში აწივლებული [illegible] უცბად, ერთბაშად, შხაპიდან წყალი წამოვა ხმაურით. ბიჭი შეკრთება. მერე ბიჭი იწყებს ბანაობას. „ვირის აბანოში აბანო“, — კვლავ თავის თავთან გახუმრება. მერე ბიჭი უკან აჰყავთ და ისევ საიმედოდ კეტავენ საკანში (ბიჭს ყოველი შემთხვევისათვის, უფრო კედელზე ხაზების საკაწრად, აბანოდან ჩუმად ამოაქვს შემთხვევით ნაპოვნი ჟანგიანი ლურსმანი).

●

ბიჭი გულაღმა წევს. ძალაუნებურად გაჩახჩახებულ ნათურას მიშტერებია („დღისით მაინც ჩააქრონ!“) და ისევ, რაღაც გაურკვეველს ელოდება... გაურკვეველს, რომელიც ბოლოს და ბოლოს, თანდათანობით, ნელი-ნელ იკვეთება, ყველა სხვა ერთმანეთში არეულ და თავისით მოძალებულ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფიქრს აუფერულებს, შეგნებიდან დევნის და საკმაოდ გარკვეულ ერთ ეჭვიან კითხვად ყალიბდება: „რატომ გამომძიებელთან არ აჰყავთ?“ „რატომ?“ „რატომ?“ „რატომ?“ — გაუსაძლის პულსად იქცევა კითხვა. და ბიჭი ცდილობს, როგორმე ეგებ დაიძინოს და თავიდან მოიშოროს აუტანელი კითხვა. კედლისკენ ტრიალდება, თავზე იფარებს გადასაფარებელსა და პალტოს, მაგრამ არაფერი გამოსდის. ისევ და ისევ: „რატომ?“ „რატომ?“ „რატომ?“... და ბიჭის სულში საზიზღარი სიმარტოვის გრძნობა ისადგურებს, უფრო სწორად, მიტოვების, დავიწყების გრძნობა.

და, უცბად, კედლის მიღმიდან ყრუ, მაგრამ გამოკვეთილი: კაკ-კაკ! კაკ-კაკ! კაკ-კაკ-კაკ! კაკ-კაკ! რა არის ეს? ხსნა? საიდან?! ჰო! ჰო! ეს ხომ მათი პაროლია! მათი პაროლი! ესე იგი, ბიჭი ამ სართულზე მარტო არაა. და კიდევ ერთი: საკნის კედლები ბეტონისაა, კაკუნი კი ყრუა! და, ესე იგი, კიდევ უფრო კონკრეტდება — დამკაკუნებელი ერთი საკნის იქითაა, რადგან ბიჭმა დილით, გაყვანისას, უკვე მოასწრო იმის აღნუსხვა, რომ მისი (ჰმ! მისი!) საკნის მარცხნივ, გრძელი კორიდორის მოსახვევამდე, სულ ორი საკანია (გაივლის გარკვეული დრო და ბიჭი იმასაც გაიგებს, ვინ ზის იქ: მერაბი, ჰო, მერაბი, რადგან ერთ ღამეს, სწორედ იქიდან გაისმება მერაბის ომახიანი ხმა: „არწივი ვნახე დაჭრილი...“). ბიჭს გული მანამდე განუცდელი სიხარულით ევსება, ცივ კედელს მჭიდროდ ეკვრის და გადასაფარებლისქვეშიდან ხანწრაფად კაკუნითვე პასუხობს. სადღაც უკვალოდ იკარგება სიმარტოვის გრძნობა. სიხარულს სიძლიერისა და კიდევ... ჰო, კიდევ დიდი სიამაყის გრძნობა ემატება: ვიწრო საკანი „გმირული სიმფონიით“ იჭედება (პაროლი „გმირული სიმფონიიდან“ იყო — ჩელოების მთავარი თემა), კედლებს ჯერ განზე სწევს, მერე ანგრევს და ირგვლივ ყველაფერს შეუდარებელი თავისუფლების სამყაროსეული შეგრძნების გარსში ახვევს. ბიჭი კარგადაა, ძალიან კარგად! ბურანში ჩაძირული და კარგად! ბურანში იძირება ის აკვიატებული კითხვაც და იკარგება, იძირება და იკარგება, რადგან ბიჭი მთელი სხეულით ხვდება, რომ დღეს წესით გამომძიებელთან არც უნდა აეყვანათ (და შეიძლება არც მომდევნო დღეებში აიყვანონ), რადგან იქ, ზევით, მისი გატეხვა უნდოდათ! ჰო, უნდოდათ ბიჭს თავი მიტოვებულად და სასოწარკვეთილად ეგრძნო და მხოლოდ ამის შემდეგ აეყვანათ დასაკითხად!

მერე ბიჭი მეორე საწოლზე გადაწვა, ისევ ცივ კედელს მიეკრო, პალტო გადაიფარა და ქვეშიდან მალულად დააკაკუნა. მერე კიდევ და მერე ისევ კიდევ და კიდევ. სიყრუე და სხვა არაფერი. მაგრამ ბიჭს გუნება მაინცდამაინც არ გაფუჭებია, რადგან იცოდა, რომ მარჯვნივ გაცილებით მეტი საკანი იყო და მისიანები ალბათ სადღაც იქით, სადღაც შორს იყვნენ. რაც მთავარია, ბიჭი დარწმუნებული იყო, რომ ისინი იქ იყვნენ. და ეს ბიჭს ძალას ჰმატებდა (და მართლაც, ბიჭს სწორედ იქიდან შემოესმება ზვიადის — „როგორა ხართ, ბიჭებო? გამაგრდით! გამაგრდით!“ მერე კი, სამი თვის შემდეგ, იქიდანვე მიიპატიჟებს ზვიადი სიცილით ბიჭს თავის საკანში, „კოლხურ კოშკში“ დაწურულ ჭიქა ღვინოზე, როცა ბიჭი 31 მარტს ზვიადს მის მეთვრამეტე დაბადების დღეს მიულოცავს აჭედილი ფანჯრიდან... იმავე მხრიდან გაისმება „კამპანელას“ სტვენაც და ბიჭს მაშინვე გაახსენდება, რომ მათ დაპატიმრებამდე რამდენიმე ხნით ადრე თამაზი მუსიკალურში „კამპანელას“ უკრავდა... მერე და მერე კი რაღაცნაირად სხვებიც შეეხმიანებიან ერთმანეთს და აღარ იქნება ისე ძნელი გასაძლები).

●

ბიჭს გასაღების ჩხარუნი აღვიძებს. კარში უკვე სხვა ზედამხედველი დგას. ძველი შეცვლილა, გუშინდელი სახლში წასულა, სადღაც შორს, სადღაც ციხის გარეთ, სადაც ბიჭს უკვე აღარ უშვებენ. „Оправка!“ —ომახიანად იძახის ახალი ზედამხედველი, ბიჭი უარს ეუბნება, რადგან ბიჭს მთელი დღე არაფერი უჭამია. მაგრამ, რაც მთავარია: ბიჭს ურჩევნია, ისევ კედლისკენ გადატრიალდეს, ხელი ჩუმად ჩააცუროს და ისევ: „კაკ-კაკ“... და ისევ მიეახლოს ბედნიერებას, რომელსაც სისრულისთვის აკლია ერთი სიგარეტის გაბოლება, მხოლოდ ერთის, მაგრამ ბიჭი ზედამხედველს არ სთხოვს სიგარეტს (სხვათაშორის, ბიჭს არც მერე უთხოვია სიგარეტი ვინმესთვის. გამომძიებელთანაც რატომღაც თავაზიანად იცრუა, როცა პაპიროსი შესთავაზა „მიღებული წესის მიხედვით“, რომ არ ეწეოდა და, მისდა გასაკვირად, გაწითლდა ამ უბრალო ტყუილზე, მაშინ, როცა...).

თითქმის მთელი დღე მიდი-მოდიოდა „კაკ-კაკ“ საკნიდან საკანში, შვების, სიმშვიდის მომნიჭებელი „კაკ-კაკ“ და ბიჭი უცნაური, ციხისეული ბედნიერებით ივსებოდა: მისი უახლოესი მეგობარი, რომელიც „ერთი სახლის გადაღმა ცხოვრობდა“, „შინ“ იყო. და ამ ბედნიერების განცდას იმის შეგრძნებაც აძლიერებდა, რომ ნამდვილად ისევე ბედნიერი იყო კაკუნისას „მისი ერთი სახლის გადაღმა“ მეგობარიც (ამაში მას ეჭვიც არ ეპარებოდა). ბიჭები ერთად იყვნენ.

(მოგვიანებით ბიჭები შეეცდებიან გარკვეულ სისტემას დაუქვემდებარონ კაკუნი და აამეტყველონ: ერთი „კაკ“-„ა“, ორი-„ბ“ და ა. შ. „-შკებით“ ლაპარაკი ჯერ არ იციან. ამას მერე, მეორედ დაჭერისას ისწავლიან ორთაჭალის ციხეში. და კიდეც რომ სცოდნოდათ, „კრუშკებით“ ლაპარაკი მაინც გამორიცხული იყო შინაგანი ციხის „შშშ-ჩ!“-თი გარინდულ სამყაროში).

●

ბიჭი არც იმ დღეს აუყვანიათ გამომძიებელთან, მაგრამ ამას უკვე აღარ გამოუყვანია წონასწორობიდან.

სამაგიეროდ, მეორე დღეს, ნაშუადღევს, გასეირნებაზე ჩაიყვანეს. „ეგება ბიჭები ვნახო...“ გულუბრყვილო გაფიქრება მეფისდროინდელი ციხის ამსახველი საბჭოთა კინოკადრების გავლენით. ხა! ხა! ხა!

საიმედოდ იზოლირებული ციხის შიდა ეზოში ერთმანეთზე მჭიდროდ მიკრული (ისე მჭიდროდ, რომ ერთი ბეწო უბრალო ღრიჭოც არაა დატოვებული) სამ მეტრამდე სიმაღლის მსხვილი ფიცრებით შემოფარგლული 10 კვ. მეტრამდე კოლოფი. დეკემბრის სუსხი და კოლოფის თავზე ოთხკუთხედი, მაგრამ მაინც უსასრულო ცა, რომელსაც საიმედოდ დარაჯობს საგუშაგო კოშკზე წამოჭიმული თოფიანი ზედამხედველი თბილი ქურქით და პირში გაჩხერილი პაპიროსიანი არაფრის მთქმელი სახით. და კიდევ: სულ სხვანაირი განცდა იმწლევანდელი პირველი თოვლისა, ზათელილი, ატალახებული თოვლისა (ალბათ მანამდე სხვები „გასეირნეს“... (კედლის კუთხეში ძლივს შეგროვილი ნარჩენი თოვლისგან გაკეთებული გუნდა, რომელსაც ვერავის ესვრის და რომელიც, უაზროდ ადნება ხელში. და ოთხკუთხა, შემოფარგლული ციდან ჩამოცვენილი უნიათო ფიფქები თითქოსდა თავს არიდებენ სასეირნო კოლოფს. მერე გაზაფხულის პირველი წვიმა და ნაწვიმარ გუბეში ისევ იმ ოთხკუთხა ცის მოდარაჯე ზედამხედველის ანარეკლი, რომელსაც წინ სილის საათი უდგას. და ყველაფერი ეს კიდევ უფრო ამძაფრებს პატიმრობის შეგრძნებას — ციხეში ციხე (მაგრამ ბიჭი მაინც არ აცდენდა „გასეირნებას“. — სხვა თუ არაფერი, ნახევარი საათი მაინც გადიოდა, ნახევარი საათი, რომელიც ისე გრძელი იყო იქ).

●

დაღამებისას კი, სადღაც ძალიან შორიდან და სადღაც ქვევიდან რაღაც უცნაური, მოგუდული ბრახუნი შემოესმა — თითქოსდა სადღაც ხიმინჯებს არჭობდნენ: „დგუფ!“, „დგუფ!“ „ნეტავი რაა?“ — ამის გაფიქრება და ისევ „დგუფ!“ და ასე რამდენიმე საათი, რადგან დაძაბულმა ბიჭმა დიდხანს ვეღარ დაიძინა. იდგა სამარისებური სიჩუმე და შორეული „დგუფ!“ და „დგუფ!“ კი მეორდებოდა და მეორდებოდა, თანდათან უახლოვდებოდა და უკვე ურონსავით ურტყამდა ბიჭს თავში (ბიჭმა ბოლომდე ვერ გაარკვია, რა იყო ეს „დგუფები“: სადღაც ქვევით, ისედაც მიწაში წასული შინაგანი ციხის ქვევით, რაღაცას აშენებდნენ, სპეციალურ ტირში ქვეყნის დამცველი ერთგული მუშაკები იწაფებოდნენ — ბიჭმა იცოდა, რომ კგბ-ს შენობაში სავარჯიშო ტირი იყო, თუ რაღაც კიდევ სხვა...). და ყველაზე აუტანელი ის იყო, რომ თვითეული „დგუფის“ შემდეგ ბიჭი მთელი ტანით რაღაცის მოხდენას ელოდებოდა. მაგრამ ეს მოლოდინი მას ისე აღარ ძაბავდა, რადგან იცოდა, რომ მარტო არ იყო და სადაცაა კაკუნი შემოესმებოდა.



## პოეტის ერთი ლექსი

## თეიმურაზ ლანჩავა

### გვირგვინი დაფნის

ზვიად გამსახურდიას

მღვრიე ტალღებზე მოტორტმანებს,
მოცურავს ნავი.
აწვდილი ცისკენ მოსჩანს ქიმი
გაცრეცილ აფრის,
ღმერთო, უშველე, — შენ ჩურჩულებ,
მე ვამბობ: — ამინ!
მენიჩბისათვის მოწნული გვაქვს
გვირგვინი დაფნის.
ახლოა ძლიერ მოლოდინის ჯვარცმული
ზვედრი.
რჩება ნავს იქით იისფერი, დაღლილი
სივრცე,
თავნებას, მაგრამ ულამაზეს სურვილებს
ვზედნი,
რომ გადარჩენილ ზღვასთან მებრძოლს
საჩუქრად მივცე.
სულ სხვაა მიწა ჯადოსნური,
ფერებით ვრცელით,
ატყვევებს უკვდავს წამიერის
ღვთიური გეში.
ცა იცრემლება ღრუბლიანი, დაღლილ
ბრმის ცრემლით,
დროს ჩვენი სული მათრახივით
უჭირავს ხელში,
აქეთ და იქით უტლაშუნებს, სცემს,
აწიოკებს,
მიერეკება დაღლილ ვნებებს, შორი-შორ
ფანტავს,
დუმს მიწიერი მოდრეკილი და
დაჩოქილი,
ჰგავს მოლოდინი ბნელს მაცქერალ,
გატრუნულ კატას...
მღვრიე ტალღებზე მოტორტმანებს,
მოცურავს ნავი,
აწვდილი ცისკენ, მოსჩანს ქიმი
გაცრეცილ აფრის,
— ღმერთო, უშველე! — შენ ჩურჩულებ,
მე ვამბობ: — ამინ!
მენიჩბისათვის მოწნული გვაქვს
გვირგვინი დაფნის.



## 1903

# ბიორნსტერნე ბიორნსონი

მალიკო ხელაშვილი

„დიახ, ჩვენ გვიყვარს ეს ქვეყანა“ — ასე იწყება ნორვეგიის ეროვნული ჰიმნი, რომლის ავტორია ნორვეგიის უერთგულესი შვილი — პოეტი, ბელეტრისტი, თეატრალური კრიტიკოსი, დრამატურგი, პუბლიცისტი ბიორნსტერნე ბიორნსონი. გეორგ ბრანდესის სიტყვით, იგი „პოეტიც არის და კლანის თავიც, მის პიროვნებაში ერთიანდება ძველი ნორვეგიის ორი მეტად რელიეფური ფიგურა: ბელადი და სკალდი (სკანდინავიის მგოსანი)“. დაიბადა 1832 წელს, დოვრეფერლდის ხეობაში, პასტორის ოჯახში. ბუნება აქ უკაცრიელი, შიშველია— მკაცრი ამინდი, გარშემო მთები და უფსკრულები. ექვსი წლისა იყო, როცა მამამისს რუმსდალენის მრევლი ჩააბარეს. ეს მხარე ნორვეგიაში ცნობილია თავისი სილამაზით — აზიდული მთების ათასნაირი მოხაზულობა, რაც უფრო და უფრო უცნაური ფორმისა ხდება, როცა ხეობა დაბლა ეშვება, ფიორდებისკენ, „საითაც უნდა გაიხედო, მხოლოდ მთებია, ერთი მთის მწვერვალს მეორის მხარზე მიუდვია თავი და ფიქრობ — აი, ახლა იგრიალებს და აიწყვეტს ის მთა, მერე კიდევ სხვა და — გაწყდება ჯაჭვი მთების ქედისა, მაგრამ არა, გარშემო მხოლოდ სიჩუმე მეფობს...“ ამ მხარეში ხალხიც გულღია, მხიარულია და ამავე დროს, თავისებური — ფიორდიდან მქროლავი და ხეობაში მოთარეშე დაუცხრომელი ქარის მსგავსი. აქ ბიორნსტერნე ბევრს კითხულობდა — ისტორიულ ამბებს, ასბერნსონისა და ლანდსტადის მიერ შეკრებილ ხალხურ ზღაპრებსა და ბალადებს, საგებს. 17 წლისა ქრისტიანიაში გადავიდა, დაუმეგობრდა ოსმუნდ ვინიეს და ერნსტ სარსს და დაიწყო დანიური ლიტერატურის შესწავლა, კითხულობდა ჰეიბერგს, ზიბერნს, კირკეგორს, მოგვიანებით — გრუნდტვიგის ფილოსოფიას; დანიელი თეოლოგის „სიცოცხლის სიყვარულის“ მოძღვრებაში ჰპოვა ის, რასაც მერეც, როცა მის გავლენას თავი დააღწია, უწოდებდა ადამიანურობასა და სილამაზეს უმაღლეს გამოვლენაში. ქრისტიანიის თეატრმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბიორნსონზე, დაახლოებით ამ პერიოდში გახდა იგი თეატრალური კრიტიკოსი.

ცნობილია, რომ ბიორნსონი სულაც არ თვლიდა თავს მხოლოდ პოეტად თავის ქვეყანაში, მან შესანიშნავად იცის, რომ იგი ნორვეგიას წარმოადგენს და მართალიც არის: ეს მან შექმნა თავისი ქვეყნისთვის ეროვნული ჰიმნი და თავადაც იგი ხორცშესხმაა ნორვეგიული ხასიათისა, მაგრამ, რაც მთავარია, გრძნობს რომ აღმზრდელია თავისი ხალხისა და იგი მართლაც არის აღმზრდელი, რასაც ბიორნსონი მოკრძალებით და სიხარულით ასრულებს თავის წიგნებში, ქმედებაში. „მე მინდა ცხოვრება ნორვეგიაში. ავიტან ცემას, გვემასაც და თუ საჭიროა, სამაგიეროსაც მივუზღავ, მაგრამ მინდა სიმღერა ნორვეგიაში და ნორვეგიაში მინდა მოვკვდე“. ის გაფთრებული მტერი იყო ე. წ. „კავშირის პროექტისა“, რაც გულისხმობდა უფრო მჭიდრო კავშირს ორ სახელმწიფოს — ნორვეგიასა და შვედეთს შორის. 1814 წლიდან იწყება ბერნადოტების დინასტია, მეფე ყოველთვის სტოკჰოლმში ცხოვრობდა და არა ოსლოში. ამ ორი ქვეყნის ბედი ერთმანეთს შეერწყა, რითაც ნორვეგიის უფლებების შეზღუდვა მოხდა. შვედეთთან პოლიტიკურად უფრო მეტად დაახლოების ცდაში ნორვეგიელები ხიფათს ხედავდნენ. როცა 1818 წელს ბერგენში „კავშირის პროექტისთვის“ უნდა მიეცათ ხმა, ბიორნსონის გამოხვლების შემდეგ ამომრჩეველთა ხმები ხაოცრად შემცირდა. ბიორნსონის ერთ პიესაში ალეგორიად შეიძლება მიჩნეულ იქნას: უფროსი ძმა, პოლიტიკური და ლიტერატურული ბრძოლით დაღლილი — ვერგელანდია, მშფოთვარე ცხოვრებისა და ბობოქარი შეხლა-შემოხლის მერე დიდხანს რომ იწვა სასიკვდილო სარეცელზე; უმცროსი ძმა, ვის მხრებსაც მემკვიდრეობით დააწვა მთელი ბრძოლა, თავად ბიორნსონია („არის ძალა ჰარალდში“), ხოლო მესამე ძმა და მისი ცოლი, ვინც სცენაზე არ გამოდის და დიდ როლს კი თამაშობს — ნორვეგიელი ხალხია.

თავის დროზე ბრანდესი ამბობდა, ბიორნსონის პიროვნების კარგად გააზრებისთვის კარგი იქნება გვახსოვდეს, რომ ახალი დროის ლიტერატურასა და ხელოვნებაში სამი მთავარი ტიპი შეიმჩნევა:

პირველი, ყველაზე იშვიათი და ალბათ, ყველაზე არისტოკრატიული — ის, ვისთვისაც ძირითადად ერთი რამეა არსებითი: თავის თავში მარადიული ჩაღრმავება. ეს არის მისი ხასიათი, მისი კრედო (ლეონარდო, მიქელანჯელო, გოეთე). ისინი ძნელად იმეტებენ გამოსაცემად თავის ქმნილებას. ცნობილია, რა დიდხანს მუშაობდა ლეონარდო „La Joconda“-ზე და მაინც ფიქრობდა, რომ ცოტა რამის დამთავრება შეძლო; რამდენ ქანდაკებაზე თქვა უარი მიქელანჯელომ და დაუმთავრებელი დატოვა. რამდენჯერ გადაწერა გოეთემ „ეგმონტი და იფიგენია“. სამოცი წელი ქმნიდა „ფაუსტს“. ასეთი გონება მუდამ ერთსა და იმავე ქმნილებას დასტრიალებს.

მეორე ტიპს ეკუთვნის ის, ვისთვისაც მთავარია, რომ რაც შექმნა — დარჩეს ისე, და თვლის, რომ დიახაც დაასრულა წიგნი („რობინზონ კრუზო“, „პოლი და ვირჟინი“, „მანონ ლესკო“), ჰენრიკ იბსენი ამ ტიპის მოღვაწეებს მიეკუთვნება.

მესამე ტიპისთვის ყველაფერი ქმედებაში იყრის თავს. ვოლტერი ამ ტიპის დიდი მაგალითია. ალბათ, ბიორნსონისთვის რომ გეკითხათ, რა იქნებოდა მისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება — საუცხოო, მომავალი თაობებისთვის ძვირფასი წიგნის დატოვება თუ ის, რომ ნორვეგიელ ხალხს სამმაგად მეტი ცოდნა და გონიერება მისცემოდა, ვიდრე მას ჰქონდა ბიორნსონამდე, ყოველთვის ამას აირჩევდა, ნორვეგიელი ხალხის პროგრესი იქნებოდა ბიორნსონისთვის ბედნიერება. წიგნი ამისთვის სჭირდება მას. პოლიტიკური მოღვაწეობა, გაზეთი, ორატორობა, ბრძოლა, წერა... 1852 წლის მერე იმდენ ძალას აქსოვდა ურთიერთობებსა და საქმეებს — რასაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა პოეტურ შემოქმედებასთან, რომ მთელ ათწლეულში ორი თუ სამი წიგნი გამოსცა, მაგრამ ისეთ პოეტურ სიმაღლეზე ავიდა, რისთვისაც ბევრს არ მიეღწია სკანდინავიაში. ნორვეგია იყო მისთვის უპირველესი.

მას ყოველთვის ჰქონდა იდეა, რისთვისაც მთელი თავისი მჭევრმეტყველებით იბრძოდა. ერთი იდეისთვის რომ დაამთავრებდა ბრძოლას, მერე სხვას მიადგებოდა, ამ იდეებს კი თავისთავად ერთმანეთში საბრძოლო და საომარი არა ჰქონდათ რა, რაც ბიორნსონის ღირსება იყო. ხანდახან მთელ ქვეყანას მოივლიდა ერთი ლექციით, ასე მაგალითად, ლექციას ზნეობრივ სისუფთავესა და ქორწინებაზე, იგი კითხულობდა დანიის, ნორვეგიის, შვედეთისა და ფინეთის ყველა დიდსა და პატარა ქალაქში. თავის ლექციებში ბიორნსონი ეხებოდა: რესპუბლიკის საკითხს, საყოველთაო მშვიდობას, ზნეობას, „სუფთა დროშას“, ნორვეგიის შეიარაღებას შვედეთის წინააღმდეგ, ფიზიოლოგიას ქალთა სასწავლებლებში, შვედეთზე თავდასხმას რუსულ გაზეთებში, ნორვეგიის კონსულებსა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრს, იგი იბრძოდა დრეიფუსის თავისუფლებისთვის, ნორვეგიული ენის სიწმინდისთვის, ხოტბას ასხამდა კონგრესს ჰააგაში...

„როდის დგება ჭეშმარიტი დილა?“ კითხულობს თავის სიმღერაში რაგნი, ყველაზე პოეტური ქალის სახე ბიორნსონის შემოქმედებაში. „როცა უამინდობასა და ხევდაში, მბჟუტავი შუქი შემოაღწევს შენს სულში და მზის სხივს დაბადებს, როცა მზადა ხარ მთელი სამყარო მიიკრა გულზე და კეთილი იყო ყველას მიმართ, აი ის არის ჭეშმარიტი დილა“. ხოლო როცა რაგნი, სამშობლოში დაბრუნებისას, ფიჭვის ტყეზე გავლით კითხულობს, როგორი ვიყო, პასუხად ესმის: „იყავ კეთილი“.

მაგრამ ბიორნსონის მიერ ნაქადაგარი სიყვარული პასიური არ არის. მისი გმირები გულხელდაკრეფილი არ ელიან, რომ მტერს შეძრავს მათი სათნოება, რისხვაც ასევე ძლიერია ბიორნსონთან. ამ რისხვას მისი გმირები მიჰყავს თავაწყვეტილ ქმედებამდე, შურისძიებამდე, რასაც მერე მწარედ ნანობენ.

ბიორნსონთან ორი ძალა ვლინდება, ერთი დაუოკებელი, მძაფრი, მხურვალე და მეორე — თვინიერი, მშვიდი, ორი ანტითეზა, რაც მის მოთხრობებსა და დრამებში იხატება: კალემი და რაგნი, ტორბიურნი და სიუნევე, ავი სიგურდი და სიგურდის დედა... დაუოკებელი ძალა უფრო ძლიერ ძალას — სათნოებას და სიყვარულს ემორჩილება. წიგნში „ღვთიური გზით“ მოთხრობილია ერთ მოხუც ქალზე, რომელიც ოცდაათი წელი ციხეში ცხოვრობს, მიღებულია ბრძანება მის ახალ ციხეში გადაყვანაზე, სადაც უფროსად კვაკერი ქალია. მოხუც ქალს არა და არ სურს თავისი კუთხის დატოვება. გაშმაგებულს ძალით ჩასვამენ ეტლში და გათოკილს მიიყვანენ ახალ ადგილსამყოფელში. ციხის უფროსი ქალი ზღურბლზე დახვდება მას: „შეხსენით თოკი!“ ამბობს იგი.

„მაგრამ, ეს სახიფათოა“.

„შეუხსენით!..“ და ციხის უფროსმა მუხლი მოიყარა მოხუცი პატიმრის წინაშე, მოეხვია, აკოცა და ვით „დისაგანცა უფრო დესს“, ისე მიესალმა. ახლა მოხუცი ქალი დავარდა მუხლებზე და შეეკითხა: განა მართლა ფიქრობ, რომ შეიძლება ჩემში იყოს რაიმე კარგი? ამის შემდეგ მორჩილთა შორის საუკეთესო გახდა მოხუცი პატიმარი.

ბიორნსონის ენა მშფოთვარე, დაუოკებელი იმპროვიზაციაა, იგი ეპიკური სიმშვიდით კი არ გადმოსცემს იმას, რაც ნახა, რაც გაიგონა, რაც შექმნილია პოეტის წარმოსახვით, — არა, ეს არის მთხრობელი ორატორი, მჭევრმეტყველი, მქადაგებელი იმ იდეათა, რომელთა ერთგულია მთელი სულით, ბიორნსონის ენა არაჩვეულებრივად კოლორიტული და პოეტურია, ეს ენა მიიღო ახალმა თაობამ და გარდა ამისა, როგორც ერთმა ნორვეგიელმა მწერალმა შესანიშნავად თქვა: ბიორნსონის ენა მომავლის ენაა.

მას კარგად ესმოდა, რომ გასაკეთებელი ბევრი იყო... „სკანდინაველებს — დანიელებსა და ნორვეგიელებს ფერადი სიზმრები ესიზმრებოდათ, რომ ორივე ქვეყანა მარილია ევროპისა — რომ სკანდინაველები თავისი იდეალიზმით, თავისი გრუნდტვიგისეული ან კირკეგორისეული იდეალებით სხვა ხალხებს გააახლებენ და ამით გააახალგაზრდავებენ, რომ სკანდინავია ის ძალაა, რომელიც დადგება დრო და გაიელვებს მთელ მსოფლიოში. მაგრამ სრულიად გაუგებარი, საიდუმლო მიზეზების გამო წლების მანძილზე იგი სხვისი სუფრიდან იღებდა მარილს. სკანდინაველებს მერე ისიც ესიზმრათ, რომ დანიაცა და ნორვეგიაც ძლიერი და თავისუფალი ჩრდილოეთია, რომ — უცებ გაიღვიძეს და დაინახეს არა თავისი თავისუფლება, არამედ უძლურება...“ და ბიორნსონი იღვწის, დაუღალავად იღვწის იმისთვის, რომ მართლა ძლიერი იყოს მთელი სკანდინავია.

თავისი დიდი წინამორბედის, ვერგელანდის ძეგლის გახსნაზე 1881 წლის 17 მაისს ბიორნსონმა წარმოთქვა: „თქვენ ალბათ, ყველას გაგიგიათ, რომ ჰენრიკ ვერგელანდს ჯიბით თესლები დაჰქონდა და სიარულისას მიმოაბნევდა, მეგობრებსაც ურჩევდა, ასე მოიქეცითო, „იმიტომ, რომ არავინ იცის, რა შეიძლება აღმოცენდეს“, ამბობდა იგი. ამ სიტყვებში ისეთი ამაღელვებელი, გულწრფელი და პოეტური სიყვარულია სამშობლოსი, რომ იმ შთაბეჭდილების მიხედვით, რასაც ახდენს, შეიძლება ითქვას, რომ ვერგელანდის უშესანიშნავეს ლექსთა შორის იმკვიდრებს ადგილს“. ბრანდესი ამ-



ბობს, რომ თავად ბიორნსონზეც შეიძლება ითქვას ეს სიტყვები; ბრანდესი მასაც ნორვეგიის დიდ მთესველს უწოდებს. „ეს ქვეყანა, როგორც ცნობილია, კლდიანია, მკაცრი და უნაყოფო. თესლი ხშირად ეცემა ქვას და ქარს მიაქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბიორნსონი მაინც დაუღალავად მიმოაბნევს თესლს. მის მიერ მიმობნეული თესლიდან უკვე ბევრი რამ აღმოცენდა. მისი დარგული ხეები გაყვავდა, ხოლო რაც შეეხება ნაყოფს, მუშაობისას იგი მხოლოდ ერთ თაობაზე როდი ფიქრობს“.

...მორიდებულობითა და გულჩახვეული ხასიათით მეტად ეროვნული ხასიათია ჰენრიკ იბსენი. მაგრამ ის, რომ გულუბრყვილობა, სიცოცხლის სიყვარული და მხიარულებაც ახასიათებთ ნორვეგიელებს, ეს დაადასტურა ვერგელანდმა; ბიორნსონი კი თავის ხელოვნებასა და პოეტურ სახეებში აღმოაჩენს ნორვეგიელთა სიტყვაძუნწობას, თავდაჭერილობას, სევდას და მგრძნობიარე ნორვეგიულ პატრიოტიზმს.

ბიორნსონზე ხშირად ისმოდა ნორვეგიაში: თითქოს გრანიტში გამოკვეთილი, ძლიერია სულითაც და გარეგნობითაცო, და ახსნიდნენ, რომ ნორვეგიულად Björn დათვს ნიშნავს, Björnson — დათვის ბელს, და Björnsterne კი — დიდი დათვის თანავარსკვლავედს. მახვილი მზერა ჰქონდა, გარეგნობა ადასტურებდა მის წარმომავლობას პასტორის მოდგმიდან, მქადაგებლობის სიყვარული თითქოსდა მემკვიდრეობით გადმოეცა; იგი მართლაც მისიონერად დაიბადა. ვერ შეაშინეს. ადრეულ ახალგაზრდობაში თეატრალური კრიტიკოსისა და პოლიტიკოსის სახელით შევიდა ლიტერატურაში. ტორბიერნის („სიუნევე სოლბაკენ“) მსგავსად სიჭაბუკიდან მოსდევდა გზნება და მებრძოლის ჟინი. იბრძოდა როგორც სიგურდი, უწინარესად და უმთავრესად იმიტომ, რომ მოესინჯა თავის ძალები, საოცარი ძალით ფლობდა ხელოვნებას — მიექცია საყოველთაო ყურადღება, მზესავით ნათელი ტემპერამენტის წყალობით თავს უშესანიშნავესად გრძნობს დღის შუქზე, მისთვის უცნობია შიში სინათლისა, რაც დაბადებითვე თან დაჰყვება ბევრ თავშეკავებულ და მორიდებულ შემოქმედს. იბსენმა თავის „სინათლის შიში“ აღწერა ეს გრძნობა: „დღის შესანიშნავი მოვლენებისა და ცხოვრების ხმაურის გამო სიცივეს ვგრძნობ გულში, სიბნელის საფარის ნაკეცებს ვეფარები... თუ რაიმეს გაკეთება მიწერია ცხოვრებაში, ეს იქნება გმირობა — ჩადენილი ბნელში“. იმაზე უფრო უცხო არა არის რა ბიორნსონის ხასიათისთვის, ვიდრე ის, რაც იბსენის ამ შესანიშნავი და ვაჟკაცური სიტყვებით ითქმება და რაც წინ უსწრებდა „მოჩვენებებს“...

...მკაცრი და დიადი ბუნება ნორვეგიისა, ბევრი ადგილი ლამის დანტეს „ჯოჯოხეთის“ ილუსტრაცია, უწესრიგოდ მიჯრილი მთები, ხეობები, უფსკრულები თოვლის საფარით, გრძელი და ცივი ზამთრები, რის გამოც მთის ბინადარი მოწყვეტილი იყო მთელ სამყაროს; ზღვის სტიქიას შეჭიდებული და ნორმანებისთვის მებრძოლი ძლიერი ბელადებისა და მეფეთა სახეები: ეივინ, სვერე, ჰარალდ, ჰოკონი... და ერთგულება — ერთგულებას ეძებს და ხედავს გარშემო — ხალხშიც, ბუნებაშიც: „მთელი თექვსმეტი წლიწადი მადლიერი იყო ღვთისა, რომ ავად გახდა, რადგან ახლა უფრო იგრძნო სიხარული და სიამე დედობისა. მოსვლა-წასვლისას მადლობას ეუბნებოდა შვილებს და ბოლო ამოსუნთქვამდეც ასე — მადლობა უთხრა მათ და სარძლოსაც, ვინც უვლიდა. როცა მიიცვალა, ექვსმა ვაჟიშვილმა მიაცილა. წინ მნათე მიდიოდა და სულთათანასაც ის იწყებდა, უკან კი მრევლი მიჰყვებოდა, და როცა ვაჟიშვილებმა მიწა მიაყარეს და ბორცვი აღმართეს, მთელი პროცესია ეკლესიისკენ გაემართა, რადგან იმავე დღეს უმცროს ვაჟს ჯვარი უნდა დაეწერა თავის სატრფოზე, ვინც თექვსმეტი წელი უვლიდა მათ დედას. ძმებს ასე სურდათ, რადგან სიკვდილ-სიცოცხლე რას გაუყვია; ტაძარში მღვდელი ერთგულებაზე ქადაგებდა და მე, შემთხვევით რომ ვესწრებოდი მთელ იმ ამბავს, ეკლესიიდან გამოსვლისას მომეჩვენა, რომ მთებიც, ზღვაცა და მთელი ბუნების სიდიადეც ყველა იმ ერთ სიტყვას ეჩურჩულებოდა — ერთგულებას...“ („ერთგულება“).

დიდება თვითონ მივიდა ბიორნსონთან.

„სიუნევე სოლბაკენის“ მერე იგი ბერგენში მიიწვიეს, სადაც ორ წელიწადს უძღვებოდა თეატრს, 1865-69 წლებში კი მას ქრისტიანიის თეატრი ებარა.

ბიორნსონის შემოქმედება წმინდა პოეტურია, ბიორნსონი აღემატა ყველა სკანდინაველ პოეტს თავისი მრავალმხრივი ნიჭით.

იგი მეცხრამეტე საუკუნის იდეათა და მისწრაფებათა ხორცშესხმაა, ეს იდეები კი „პოეზიისთვის იგივეა, რაც სისხლის მიმოქცევა ადამიანის სხეულში. პოეზიისთვის ერთადერთი მოთხოვნა უნდა არსებობდეს: ვენები მხოლოდ ლურჯი კანქვეშა ძარღვები იყოს და არა შავი და გაბერილი“.

დრამაში „ბრძოლებშუა“, იგი მეთორმეტე საუკუნის ნორვეგიის ამბებს აღწერს. ეს იყო პირველი ცდა შუასაუკუნეების ნორვეგიის ეპოქის წარმოჩენისა. ისტორიული დრამები: „მკვლობელი ჰულდა“ და „მეფე სვერე“, მწვავე ფსიქოლოგიურ დრამაზეა აგებული. მოთხრობები „სიუნევე სოლბაკენ“, „არნე“, „ტრონდი“, „დათვებზე მონადირეები“, „ერთგულება“, „აბესალომის თმები“ პატრიარქალურ ყოფაზეა. მისი შემოქმედების ადრეული პერიოდი ე. წ. სკანდინავიზმის მოძრაობით, ძველი დროისა და ხელოვნების თავისთავადობის იდეალიზაციით ხასიათდება. დრამები „მეფე“, „ახალი სისტემა“ და „მტვერი“ რელიგიური აღზრდის თემას ეხება. მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე იბრძოდა ბიორნსონი ნორვეგიის დამოუკიდებლობისათვის, ამ თემაზეა მისი ლექსები — მიძღვნილი ჰენრიკ იბსენის, ფრიტიოფ ნანსენის, ედვარდ გრიგისადმი, აგრეთვე „სადღეგრძელო ეიდსვოლელებისადმი“ (ეიდსვოლში 1814 წელს მიღებულ იქნა ნორვეგიის კონსტიტუცია).

ბიორნსონმა ცოლად შეირთო მსახიობი კაროლინ რეიმერსი. მათი ერთ-ერთი ვაჟი თეატრის წამყვანი მსახიობი და პროდიუსერი გახდა, მათი ქალიშვილი იბსენის ვაჟიშვილს გაჰყვა ცოლად. ბიორნსტერნე ბიორნსონი გარდაიცვალა 1916 წელს.

ბიორნსონის იდეურ და ესთეტიკურ ტრადიციებს მიჰყვა სიტყვის ისეთი ოსტატი, როგორც არის მარტინ ანდერსენ ნექსე, აგრეთვე ნურდალ გრიგი. თავისუფლებისა და კეთილდღეობისთვის იბრძოდა, ამისთვის მოითხოვდა ნორვეგიაში რესპუბლიკურ წყობას. „ბიორნსონის სახელის ხსენება ნიშნავს, რომ ნორვეგიის დროშა გაშალე“ — ხშირად ისმის ნორვეგიაში.

# ორი ეპოქის მიჯნაზე

## რობერტ პარსონსი

წინამდებარე გამოკვლევაში ყურადღება კონცენტრირებულია XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე ქართველთა კოლექტიური თვითშეგნების ჩამოყალიბებაზე. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ მანამდე ქართველებს გააზრებული არ ჰქონდათ თავიანთი თანაარსებობის ფაქტი, ან რომ ამას მათთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. პირიქით, საქართველოს შედარებით მცირე მოცულობის პირობებში, XI-XIII საუკუნეების სოციალური და გეოგრაფიული მობილობის, ცენტრალური მმართველობის განმტკიცების, ქვეყნის ყველა მხარეში ქრისტიანობის გავრცელების, მეზობელი სახელმწიფოებისა და ხალხების შემოსევის საშიშროებით გამოწვეული მუდმივი სამხედრო მზადყოფნის გათვალისწინებით სარწმუნოდ ჩანს ის ვარაუდი, რომ ქართველებს ეთნიკური მთლიანობის ძლიერი შეგნება განუვითარდათ უკვე XIII საუკუნისთვის. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ პერიოდში შემოიღეს ქართველებმა ტერმინი „საქართველო“ მათ მიერ დასახლებული მთელი ტერიტორიის სახელწოდებად...

მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს უთუოდ შეგნებული ჰქონდათ საკუთარი ეთნიკური, კულტურული და ლინგვისტური ერთიანობა, მოსახლეობის არც ერთი ნაწილისათვის ეროვნულ თვითშეგნებას არ ჰქონდა ისეთი ყოვლისმომცველი მნიშვნელობა, როგორიც XIX საუკუნის მიწურულს ინტელიგენციისათვის შეიძინა. ფაქტიურად ერისადმი კუთვნილება იყო მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორი, და ხშირად არცკი იყო უველაზე ძლიერი ფაქტორი. სარწმუნოება სცდებოდა ეთნიკურ საზღვრებს, ზოგჯერ კი ადგილობრივ ხელისუფალთა სამსახური შეიძლება მეფისადმი სამსახურზე წინ მდგარიყო. საქართველოს მეფეებიც მრავალგზის იყენებდნენ არაქართველებს როგორც საგარეო ომებში, ისე ქართველი თავადაზნაურობის წინააღმდეგობის დასაძლევად. როგორიც არ უნდა ყოფილიყო ეროვნული თვითშეგნების მიღწეული დონე, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ამ ერთიანობის შეგრძნება XIV-XVIII საუკუნეებში შეილახა მონღოლების, თემურ-ლენგის, სპარსეთისა და თურქების განუწყვეტელი შემოსევების შედეგად.

საქართველოს „ოქროს ხანამ“ დაამტკიცა თავისი დიდი მნიშვნელობა XIX საუკუნეში ეროვნული თვითშეგნების ხელახალი აღორძინებისთვის, როცა ინტელიგენცია ცდილობდა ხელმეორედ აღმოეჩინა საქართველოს წარსული და შთაენერგა ქართველ თანამედროვეთათვის სიამაყის გრძნობა თავიანთი ისტორიისა და ეროვნული კუთვნილების გამო. შუა საუკუნეებში მიღწეული ეროვნული თვითშეგნება ჯერ მთლიანად არ გამქრალიყო, და ინტელიგენციამ მოახერხა გამოეყენებინა „ოქროს ხანისა“ და უფრო ადრეული პერიოდების ხალხური მეხსიერება, ქართველი გლეხობის ზეპირმეტყველებაში შემორჩენილი, ასევე — საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მუდმივი გამაერთიანებელი ზეგავლენა. „ოქროს ხანის“ არსებობა ამტკიცებდა, რომ საქართველო „ისტორიულ ერთა“ რიცხვს მიეკუთვნება და კანონიერი ადგილი აქვს მიჩენილი მსოფლიოს სხვა ერთა შორის. ინტელიგენციის ამოცანა ერის განვითარების კანონების აღმოჩენა და მისი მომავლის გასაღების პოვნა იყო.

საქართველოს პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა განვითარებამ, რაც რუსეთის იმპერიის მიერ მის ძალდატანებით შთანთქმასა და XIX საუკუნის რეფორმებს მოჰყვა, უდიდესი ზეგავლენა იქონია, მან გამოიწვია სივრცითი და სოციალური მობილობის ზრდა, ეკონომიკური ინტეგრაცია, ახალი კლასებისა და კლასობრივი კავშირების აღმოცენება, თავადაზნაურობის დეგრადაცია, ეროვნებათაშორისი კონფლიქტების გაჩენა, უპირატესად ქალაქებში, სადაც კლასისა და ეროვნების თანხვედრამ შეაჯახა ძირითადად სომხური წარმომავლობის ბურჟუაზია და ეროვნებით ქართველი მუშები.

ქართველებმა სტაბილობისა და ერის გადარჩენის ფასად დაკარგეს თვითმმართველობა, მიმდინარეობდა ქართული მართლმადიდებლობისა და პრაქტიკის რუსულით შეცვლა, ადმინისტრაციული სისტემის რუსიფიკაცია, ადგილობრივი ენისა და ჩვეულებების შეურაცხყოფა, დედაქალაქში რუსებისა და სომხების დომინირება. თბილისში ქართველთა დაბალი სტატუსი მართლაც რომ ასახავდა მათ დაქვემდებარებულ მდგომარეობას მთლიანად საქართველოში.

არავინ გრძნობდა ამას ინტელიგენციაზე უკეთ, რომლის რიცხვმაც და რადიკალიზმმაც საგრძნობლად იმატა 1860-იან წლებში რუსეთში უმაღლესი განათლების განვითარებასა და მის უნივერსიტეტებში „სტუდენტური მოძრაობის“ გავრცელებასთან ერთად. მისი წევრები განრისხებულნი და გამწარებულნი იყვნენ იმის გამო, რომ საქართველოს მიერ ერთიანობის მოპოვება იმავე დროს ემუქრებოდა მის თვითმყოფად არსებობას ცარისტული პოლიტიკის ასიმილაციონისტური ტენდენციების გამო; ისინი შეურაცხყოფილად გრძნობდნენ თავს იმის გამო, რომ საქართველოს განვითარება რუსეთის იმპერიის ფარგლებში იწვევდა რუსული კულტურის მიერ საქართველოს კულტურის შთანთქმას. ამდენად, არ არის გასაკვირი, რომ ქართველებზე გავლენა მოახდინა ნაციონალიზმის გავრცელებამ მთელს ევროპაში. იღებდნენ რა ნაციონალისტურ მტკიცებას, რომ ყველა ეთნიკური ერთობის უნიკალობა ითხოვდა პოლიტიკურ სეპარატიზმს, რათა თავიანთი საქმეები ეწარმოებინათ შინაგანი კანონების მიხედვით ისინი მივიდნენ იმ აზრამდე, რომ ეროვნული თვითგამორკვევის მოთხოვნა ბუნებრივი გავრცობაა ინდივიდუმის დემოკრატიული უფლებების ცნობის მოთხოვნისა.

მეტიც, თვითგამორკვევა აძლევდა ინტელიგენციას იმ პლატფორმის მონახაზს, რომელზეც მას შეეძლო დაეფუძნებინა საზოგადოების გარდაქმნის თავისი მისწრაფებები. ინტელიგენციას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული საქართველოს ჩამორჩენილობა, მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო და ტექნიკურმა მიღწევებმა და საწარმოო ნაყოფიერების უდიდესმა წინსვლამ. 1860-70-იანი წლების „თერგდალეულნი“ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საქართველო იმავე გზას უნდა გაჰყოლოდა, ოღონდ ეროვნული თავისებურების დაუკარგავად. ეროვნული აღორძინების გასაღებს ისინი მეცნიერებასა და განათლებაში ხედავდნენ, რის გარეშეც საქართველოს ბედი ჩამორჩენილობა და უმეცრება იქნებოდა. სწორედ ამ მიზნით წამოიწყეს მათ ბრძოლა ქართული ენის სტანდარტიზაციისა და წერა-კითხვის გავრცელებისათვის.

მიუხედავად დაუფარავი ლტოლვისა — მეტი გავლენა მოეპოვებინათ საკუთარი ბედის გადაწყვეტაში, ისევე როგორც ერის მომავლის მართვაშიც, ინტელიგენცია გარკვეულ ამბივალენტობას იჩენდა თვითგამორკვევის მიმართ, რაც შემდგომში სოციალ-დემოკრატებსაც გადაეცათ და რამაც უეჭველად მოახდინა ზემოქმედება ქართველი ხალხის დამოკიდებულებაზე. ამ საკითხის მიმართ ქართველები გამძაფრებით აღიქვამდნენ იმ საშიშროებას, რომელიც კიდევ ემუქრებოდა მათ სპარსეთისა და განსაკუთრებით კი ოტომანთა იმპერიის მხრიდან, ქართველებს ასევე კარგად ესმოდათ არა მარტო ის ფაქტი, რომ სწორედ რუსეთის მფარველობა იყო ძირეული წინაპირობა საქართველოს გაერთიანებისა და ნაწილობრივი ეკონომიკური გამოჯანსაღებისაც, არამედ ისიც, რომ რუსეთთან კავშირი იყო ერთადერთი გზა, დამაკავშირებელი ევროპულ კულტურასთან. ამდენად, არსებულ კავშირზე მთლიანად უარის თქმა ნიშნავდა საქართველოს კვლავ ბედის ანაბარად მიტოვებას შესაძლო თავდასხმების რისკის წინაშე, ახევე მივიწყებას ინტელიგენციის ოცნებისა, რომ საქართველო ზიარებოდა ევროპის ყველაზე მოწინავე ქვეყნების კულტურას და მეცნიერებას.

ამ დილემის წინაშე დამდგარ თერგდალეულებს გაცნობიერებული ჰქონდათ ისიც, რომ საქართველოს ეროვნული მომავალი არა მარტო მათ ხელში იმყოფებოდა, არამედ ნაწილობრივ მაინც იყო დამოკიდებული რუსეთის რადიკალური ინტელიგენციის უნარზე — მოესპო თვითმპყრობელობა და მთელ იმპერიაში გაეტარებინა დემოკრატიული რეფორმები.

ეროვნული საკითხისადმი მიდგომის ამ ერთგვარი გაურკვევლობის მიუხედავად „თერგდალეულთა“ გავლენა მაინც დიდი იყო, განსაკუთრებით ქალაქის მოსახლეობასა და თავადაზნაურობაში, რამაც გამოიწვია ინტერესი და ზრუნვა ქართული ეროვნული კულტურის მიმართ. იმ დროს, როდესაც ქართველი ინტელიგენცია და მუშათა კლასი ჩაგვრას განიცდიდა საკუთარ დედაქალაქში, როცა ქართველები ისჯებოდნენ თავიანთ ენაზე ლაპარაკებისთვისაც კი, როდესაც, განსაკუთრებით 1880-იან წლებში, ასიმილაცია ადმინისტრაციის დაუფარავად გაცხადებულ მიზნად იქცა, თერგდალეულთა გარჯა, რათა გაეხსნათ ქართული სკოლები, შეექმნათ ქართული სახელმძღვანელოები, ექვლიათ ქართული ისტორია, წეს-ჩვეულებები და ზეპირსიტყვიერება, აღმაფრენასა და სიამაყეს იწვევდა. აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე ეროვნული გათავისუფლების აღიარებულ ბელადებად იქცნენ, ხოლო აკაკის პატრიოტული პოეზია თანაბრად პოპულარული იყო საუკუნის მიჯნის თბილისელ მუშებსა და ინტელიგენციაში. რაც შეეხება ფესვდაკარგულ გლეხობას, რომელიც ქალაქის მშრომელთა უმრავლესობას შეადგენდა, თერგდალეულთა მიერ ხაზგასმული აზრები საერთო ენის, სარწმუნოების, წარმომავლობის, წეს-ჩვეულებათა და ისტორიის შესახებ, ერთგვარად უცვლიდა მათ ტრადიციული თემის დაკარგულ წევრობას.

ამასთან ერთად ეროვნული გრძნობების ეროვნულ მოძრაობად გადაზრდის ამოცანას, რაც ისედაც გართულებული იყო ეროვნული საკითხისადმი თერგდალეულთა ამბივალენტობით, კიდევ უფრო აფერხებდა 1870-80 წ.წ. თვით პატრიოტული ინტელიგენციის რიგებში ჩასახული უთანხმოება ქართველი ერის მომავლის თაობაზე. ასე, მაგალითად, ილია ჭავჭავაძე იხილავდა თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის ურთიერთობის იდეალურ ვარიანტს, რომელშიც პირველს მიჩენილი ჰქონდა ეროვნული სიბრძნის წყაროს როლი, ხოლო უკანასკნელს უნდა შეესრულებინა მიწის დამმუშავებლის ტრადიციული ფუნქცია, თუმცა კი წარმოების მეცნიერული ხერხების გამოყენებით. ილიას ეს ვარიანტი წარმოდგენილი ჰქონდა ერის განმსაზღვრელ მახასიათებლად, ხოლო სერგეი მესხი და სხვები არ ეთანხმებოდნენ, უმტკიცებდნენ, რომ თავადაზნაურობა უნაყოფო ძალას წარმოადგენდა. მართალია, ს. მესხი იზიარებდა ილიას მთავარ საზრუნავს, რომ საქართველოს ეროვნულ აღორძინებას ასცდენოდა ევროპის ინდუსტრიალიზაციის თანმხლები უარყოფითი მოვლენები და ტანჯვა, მაგრამ ამტკიცებდა, რომ ინდუსტრიალიზაცია, ადგილობრივი ბურჟუაზიის გაძლიერება პროგრესისაკენ მიმავალი ერთადერთი გზა იყო.

ინტელიგენციას ერთიანი აზრიც რომ ჰქონოდა სტრატეგიის თაობაზე, ფართო მასებზე დაყრდნობილი ეროვნული მოძრაობის შექმნა მაინც ძნელი იყო, რადგანაც თუმცა „თერგდალეულებმა“ მიაღწიეს პირველ წარმატებებს ერის მომავლით დაინტერესების ჩამოყალიბებაში, თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის ურთიერთობა სულ უფრო და უფრო ანტაგონისტურად ვითარდებოდა. ასეთ პირობებში ილია ჭავჭავაძის მოწოდება ეროვნული ერთიანობისაკენ ავლენდა მის უუნარობას — ხწორად შეეფასებინა ის სოციალური დაპირისპირების სიღრმე, რომელმაც ორ ბანაკად გაჰყო ქვეყანა.

თერგდალეულთა წინაშე მდგარი ძირითადი სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ როგორმე გადაელახათ საკუთარი იზოლაცია საზოგადოებაში. ევროპის სხვა ქვეყნებში ეროვნულმა ინტელიგენციამ ეს პრობლემა წარმატებით გადაჭრა ბურჟუაზიასთან ალიანსის მეშვეობით. ამ უკანასკნელის მონდომებამ, რომ გამოსულიყო ერის სახელით და მოსახლეობის მობილიზება მოეხდინა, ეთნიკური ცნობიერების პოლიტიზირებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

ამგვარი შესაძლებლობა საქართველოში არ არსებობდა, აქ სოციალური კლასი ეთნიკური დაყოფის შესაბამისად ჩამოყალიბებულიყო, ეს კი ხსენებული ალიანსის შექმნას ნაკლებად სავარაუდოს ხდიდა. ბურჟუაზია უმთავრესად სომხური იყო და თანაც ფრიად მტრულად განწყობილი ეროვნული ინტელიგენციის მიმართ თბილისში ქართული ჰეგემონიის აღდგენის მცდელობის გამო, მით უფრო, რომ თბილისი ამიერკავკასიის საწარმოო და სავაჭრო ცენტრი იყო. ბურჟუაზიულ მხარდაჭერას მოკლებულ და თანაც კონსერვატულად განწყობილ თავადაზნაურობასთან დაპირისპირებულ ინტელიგენციას თავისი იდეების გასავრცელებლად არ გააჩნდა მოკავშირე გლეხობაში. არც ადგილობრივი წარმოშობის ბურჟუაზიას და არც მუშათა კლასს მათი სიმცირის გამო ძალა არ შესწევდა მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანათ ამ საქმეში.

თუმცა ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ერთიანობის აღდგენა, მობილურობის ზრდა, — განსაკუთრებით 1864-71 წლების რეფორმებიდან მოყოლებული, — აგრეთვე გაუმჯობესებული კომუნიკაციები, ქალაქთან კონტაქტების გაზრდა და ინტელიგენციის განუწყვეტელი მცდელობა გაევრცელებინა წერა-კითხვა და გამოეღვიძებინა ეროვნული სიამაყის გრძნობა, დიდი როლი შეასრულეს გლეხობის ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებაში, ეს უკანასკნელი კვლავაც ინდიფერენტული რჩებოდა ეროვნული ერთობის ლოზუნგების მიმართ. მისი მთავარი საზრუნავი იყო მიწის მოპოვება და მემამულეზე დამოკიდებულების კიდევ უფრო შესუსტება.

სოფლის მაცხოვრებლები გურიიდან, სვანეთიდან, ხევსურეთიდან თუ კახეთიდან სულ უფრო აცნობიერებდნენ საერთო მახასიათებლებს, ისინი მაინც კვლავინდებურად უყურებდნენ თავის თავს როგორც პირველ რიგში გურულებს, სვანებს, ხევსურებს ან კახელებს, რასაც ჯერ კიდევ 1894 წელს ხაზს უსვამდა ნოე ჟორდანია, როდესაც ასაბუთებდა, რომ საქართველოში არსებობდა ერისთვის საჭირო ნედლი მასალა, მაგრამ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ სოფლის მოსახლეობას შორის განსხვავებანი უფრო მეტი იყო, ვიდრე მსგავსება. საუკუნეების მიჯნის საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული პროცესი, რომელიც ამტკიცებდა ეროვნულობას უფრო დიდი ეთნიკური ჯგუფის საერთო ინტერესების წინ წამოწევით, პროვინციული თუ სხვა ქვედაჯგუფებათა მიმართ ლოიალობის ერის მიმართ ლოიალობით შეცვლით.

იბადება კითხვა, როგორღა მოახერხა სოციალიზმმა საქართველოში გამარჯვება და მასობრივი სოციალ-დემოკრატიულ პარტიისათვის საფუძვლის შექმნა იქ, სადაც დამარცხდა ნაციონალიზმი?

თუმცა ქართველი სოციალ-დემოკრატები ემტერებოდნენ თერგდალეულთა მოწოდებას ეროვნული ერთობისაკენ, მაგრამ ისინი იზიარებდნენ ამ უკანასკნელთა ზრუნვას ენისა და კულტურის დასაცავად და აღიარებდნენ ეროვნულად განწყობილი ინტელიგენციის მუშაობის ამ ასპექტის აოპოლურობას. სოციალ-დემოკრატებმა თავიანთ პარტიულ პროგრამაში ჩართეს ინტელიგენციის მოთხოვნა ეროვნული კულტურის თაობაზე და ამას დაუმატეს ეროვნული თვითგამორკვევის პოლიტიკური უფლებაც. რადგან იცოდნენ, რომ, ჯერ ერთი, ქართველი ერის მოთხოვნები მოკრძალებული იყო და, მეორეც, ამ უფლების ცნობა მნიშვნელოვნად შეამცირებდა ხალხის მიერ ამ უფლების რეალიზაციის მოთხოვნის ალბათობას.

სოციალ-დემოკრატიამ მოახერხა გამოეყენებინა მჭიდრო კავშირი კლასობრივ დაყოფასა და ეროვნებას შორის. განსაკუთრებით თბილისში, სადაც ქართველობა ძირითადად კონცენტრირებული იყო ქალაქის მოსახლეობის ყველაზე ნაკლებად პრივილეგირებულ ფენაში (წვრილი ბურჟუაზია და მუშები). ხოლო ყველაზე პრივილეგირებულ ფენაში ჭარბობდნენ რუსები და სომხები, რაც ამძაფრებდა დედაქალაქში სოციალურ დაძაბულობას. იდეოლოგია, რომელიც მიზნად ისახავდა არა მარტო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ემანსიპაციას, არამედ მოასწავებდა აგრეთვე ბურჟუაზიის გარდუვალ ექსპროპრიაციას პროლეტარიატის მიერ, უეჭველად მიმზიდველი უნდა ყოფილიყო ქართველი მოსახლეობისათვის, რომელიც მოკლებული იყო მონაწილეობას ქალაქის მმართველობაში: სამუშაოც უარესი ჰქონდა და უღარიბეს უბნებში ცხოვრობდა.

თუმცა ქართველი სოციალ-დემოკრატები ხშირად გამოდიოდნენ ნაციონალიზმის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ, მოუწოდებდნენ სხვა ერების წარმომადგენლებს შეხულიყვნენ მათ პარტიაში და ეწინააღმდეგებოდნენ ცალკე ეროვნული ორგანიზაციების შექმნას იმ საფუძველზე, რომ ეს ძირს გამოუთხრიდა ამიერკავკასიაში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთიანობას და პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებას შეაფერხებდა, — ძნელია ეჭვის შეტანა იმ ფაქტში, რომ საქართველოში სოციალ-დემოკრატების წარმატება ნაწილობრივ მაინც გამოწვეული იყო ეროვნული არაკეთილმოსურნეობით, რასაც გრძნობდნენ სომხებისა და რუსების მიმართ ქალაქის მუშები და ინტელიგენციის დიდი ნაწილი.

სოციალ-დემოკრატიამ პროლეტარულ სოლიდარობაზე ყურადღების გამახვილებით მოახერხა ქართველი მუშებისათვის მიეცა თვითგაცნობიერებისა და კლასისადმი მიკუთვნების შეგრძნება, რითაც გამძაფრებულ ეთნიკურ, ენობრივ და კულტურულ განცდასთან ერთად მათ თემის დაკარგული მხარდაჭერის კომპენსაცია მისცა: მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ნაციონალიზმისაგან განსხვავებით, რომელმაც ყველა ქართველში გამოაღვიძა შიში ახალი იზოლაციისა ოტომანთა იმპერიის ახალი შემოტევისა, სოციალ-დემოკრატების მარქსისტული იდეოლოგია საერთაშორისო პროლეტარიატთან ერთობის და რუსეთის იმპერიის ჩაგრულ კლასებთან და ერებთან თანამშრომლობისაკენ მოუწოდებდა.

ქართველი ინტელიგენციის ახალ თაობას, რომელიც თერგდალეულთა მსგავსად, ოცნებობდა ნაციონალურად ორგანიზებულ და დემოკრატიულ ისეთ საქართველოზე, რომლის სამეცნიერო და კულტურული სტანდარტები ევროპის მოწინავე ქვეყნების სტანდარტებს შეედრებოდა, მარქსიზმი სთავაზობდა მეცნიერულ კანონებზე დაფუძნებულ რევოლუციის თეორიას, რომელიც აღუთქვამდა ხსენებული მიზნების ახლო მომავალში მიღწევას. ეს იყო იდეოლოგია, რომელიც არა მარტო იხილავდა სოციალური უთანასწორობის საკითხს, რაც ეროვნული საკითხის მსგავსად 1860-იანი წლებიდან მოყოლებული ინტელექტუალური დებატების ფოკუსში იმყოფებოდა, არამედ კლასთა ბრძოლის თეორიის მეშვეობით ამ პრობლემის გადაწყვეტის გზასაც უჩვენებდა.

ჰქონდათ რა გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ ინტელიგენციის წინა თაობამ ვერ მოიპოვა გლეხობის მხარდაჭერა, სოციალ-დემოკრატებმა. რომელთა ლიდერების დიდი ნაწილი წარმოშობით აზნაურთა გვარებიდან იყო და კარგად იცნობდა სოფლის მოსახლეობის საფიქრალსა და მისწრაფებებს, მოითხოვეს მიწის გადანაწილება გლეხობის სასარგებლოდ. გლეხობის მხარდაჭერის მოპოვებისთვის გადამწყვეტი აი რა იყო: ქართველმა მენშევიკებმა აღიარეს არა მარ-

(დასასრული მე-12 გვ.)

* იბეჭდება მცირე შემოკლებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტო ის, რომ მიწის ნაციონალიზაცია ცუდად მოერგებოდა საქართველოს პირობებს, არამედ ისიც, რომ მათი რუსი პარტნიორების მიერ პროგრამაში შეტანილი მუნიციპალიზაციაც, თუ მას არ მოჰყვებოდა მნიშვნელოვანი პრივატიზაციაც, ფრიად არაპოპულარული იქნებოდა ქვეყანაში, სადაც ინდივიდუალური საკუთრება დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული ტრადიცია იყო.

სოციალ-დემოკრატთა გამარჯვებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს სხვა ფაქტორებმაც, მათ შორის პარტიის ორგანიზაციის პრინციპებმა. მათ უარყვეს ლენინური წარმოდგენა მცირე, მჭიდროდ შეკრული და ძირითადად პროფესიონალი რევოლუციონერებისაგან შედგენილი პარტიული უჯრედების თაობაზე; საქართველოს სოციალ-დემოკრატია იქცა მასობრივ მოძრაობად, რომელშიც ჩაბმული იყო ყველა სოციალური ფენა და რომლის პარტიული ორგანიზაციები ემყარებოდა დემოკრატიულ კონტროლს ქვემოდან და გადაწყვეტილებების მიღებას, მუშათა კლასის ჭეშმარიტ ჩართვას მის საქმიანობაში, როგორც ლეგალური, ისევე იატაკქვეშური ფორმების გამოყენებას. პარტიის ორგანიზაციის ღია სტრუქტურამ და მუშათა სიმრავლემ მის რიგებში დიდად შეუწყო ხელი მისი რაოდენობრივი ზრდის ამოცანის გადაწყვეტას, რაც მოჰყვა სოციალ-დემოკრატიის პოპულარობის მკვეთრ ზრდას 1903-1905 წლებში. ქართველ სოციალ-დემოკრატების მკაფიოდ ჩამოყალიბებული სახე, პარტიის ორგანიზაციის ბუნება და მის ხელმძღვანელობაში მუშათა ჩართვა განსაზღვრავს მათ წარმატებას ბოლშევიკებთან ბრძოლაში პარტიაზე კონტროლის გამო.

სოციალ-დემოკრატიას სხვა ფაქტორებთან ერთად ხელი შეუწყო ქალაქებში საწარმოო ძალების სტრუქტურის შეცვლამ, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი პირობა გახდა, ჯერ ერთი, იმის შედეგად, რომ დამკვიდრდა მუშახელის მოკლე ვადით დაქირავების პრაქტიკა, ხოლო ბევრი მშრომელი სეზონური სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს თავიანთ სოფლებში მიდიოდა და, მეორეც — მეოცე საუკუნის დასაწყისში ადმინისტრაციამ დაამკვიდრა წესი, რომლის თანახმად ურჩ მუშებს სოფლად ასახლებდნენ ხოლმე. მუშახელის ამ განუწყვეტელ მიმოქცევას ქალაქსა და სოფელს შორის, რასაც დაემატა გაუმჯობესებული კომუნიკაციები და ქვეყნის სიმცირე, მოჰყვა სოციალ-დემოკრატთა გავლენის სოფელში შეღწევა. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა გურიაში, რომელიც მუშახელის ძირითადი წყარო იყო საუკუნის დამდეგს ბათუმის სწრაფად მზარდი ინდუსტრიისათვის.

ქართველი სოციალ-დემოკრატიის მგრძნობიარობამ (განსაკუთრებით · ეს ალბათ პირადად ნოე ჟორდანიაზე ითქმის) მოსახლეობის ცვალებადი განწყობილებების მიმართ, რაც აღნიშნა ცნობილმა ევროპელმა სოციალისტმა ვ. ვოიტინსკიმ თავის წიგნში „ქართული დემოკრატია", მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ პარტიის წარმატებაში.

პარტიის ხელმძღვანელობის ეს მხარე განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 1906-1917 მძიმე წლებში. ეროვნული თვითშეგნების გაღვივების (რაც მოჰყვა 1905 წლის რევოლუციას), ველიკორუსული შოვინიზმისა და რეაქციის შემდგომი გაძლიერების პასუხად ქართველმა მენშევიკებმა შეცვალეს ეროვნული საკითხისადმი თავიანთი მიდგომა და განსხვავებით ამ საკითხზე საერთო მენშევიკური პოზიციისა, იწყეს ეროვნული კულტურული ავტონომიის მოთხოვნა. ჟორდანიას პოზიციის ეს ცვლილება ნათლად გამოჩნდა უკვე 1908 წელს მის პამფლეტში — „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი", თუმცა ეროვნული კულტურული ავტონომიის მოთხოვნა კავკასიის სოციალ-დემოკრატთა პროგრამაში მხოლოდ 1912 წლიდან შევიდა.

მიუხედავად ამგვარი ცვლილებისა, ჟორდანია ძველებურად მტკიცედ ინარჩუნებდა თავის აზრს ტერიტორიული ავტონომიის საკითხთან დაკავშირებით, ასაბუთებდა, რომ ქართველი ერის „ისტორიული გზა" იმაში მდგომარეობდა, რომ უარეყო ნაციონალური პოლიტიკა და დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ კულტურული, და არა პოლიტიკური ავტონომიით. იგი არა მარტო ამტკიცებდა დემოკრატიულ რუსეთთან მჭიდრო კავშირის საჭიროებას, არამედ იმ აზრსაც გამოთქვამდა, რომ ამიერკავკასიის ერები იმდენად არეული იყო ერთმანეთში და იმდენად ძლიერი იყო მათი ეკონომიკური ინტეგრაცია, რომ მათი გამოყოფა ეროვნული ერთეულების სახით თითქმის შეუძლებელი იქნებოდა. მეტიც, ნებისმიერი ადმინისტრაციული დაყოფა ეროვნული პრინციპით შეანელებდა ეკონომიკურ პროგრესს, შეაფერხებდა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას და ხელს შეუწყობდა ნაციონალიზმის ტრიუმფს.

საკითხის ჟორდანიასეული გადაწყვეტა — ცენტრალიზებული რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში ამიერკავკასიისათვის თვითმმართველობის შეზღუდული ფორმის დამკვიდრება, ხოლო ეროვნული კულტურის მართვის გადაცემა საგანგებოდ ამ მიზნისათვის შექმნილი ორგანოებისთვის — ქართველ ხალხს სთავაზობდა პროგრამას, რომელიც ითვალისწინებდა მაჰმადიანი მეზობლების თავდასხმისაგან ხელშეუხებლობის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მოთხოვნილებას და ამასთან ერთად ითვალისწინებდა ლტოლვასაც მეტი ეროვნული თავისუფლებისაკენ.

მიუხედავად გარკვეული მოძრაობისა უფრო ფედერალისტური მიდგომისაკენ, რაც მოხდა 1917 წლის შემოდგომით, ქართველ სოციალ-დემოკრატთა დაბეჯითებული მოთხოვნა რუსეთთან კავშირისა, ხოლო ეროვნული საკითხის გააზრება როგორც პირველ რიგში კულტურის საკითხისა, მნიშვნელოვანია პარტიის ხელმძღვანელობაში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაბნეულობის გასაგებად. სოციალ-დემოკრატთა ყველა სამომავლო გეგმა საქართველოსთვის ეყრდნობოდა რწმენას, რომ რუსეთის რევოლუციამ უნდა განვლოს ბურჟუაზიული დემოკრატიის პერიოდი, რათა ნელნელა მომწიფდეს პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნისათვის. ამის ნაცვლად მოულოდნელმა გადატრიალებამ პეტროგრადში ძალაუფლებასთან მიიყვანა პარტია, რომლის წარმოდგენები რევოლუციის შემდგომდროინდელ განვითარებისას სახელმწიფოს მოწყობის თაობაზე რადიკალურად განსხვავდებოდა სოციალ-დემოკრატების წარმოდგენებისაგან.

ქართველი მენშევიკების მიერ ოქტომბრის რევოლუციის ლეგიტიმურობის ცნობას ხელს უშლიდა მათი დიდი ხნის უთანხმოება ბოლშევიკებთან ახლო მომავალში რუსეთში სოციალისტური რევოლუციის შესაძლებლობის ან თუნდაც სასურველობის თაობაზე, აგრეთვე მათი უარყოფითი დამოკიდებულება ბოლშევიკების მიერ შიდაპარტიული დემოკრატიისა და ორგანიზაციის საკითხების გადაწყვეტისადმი; ამავე დროს ისინი ვერ ელოდნენ რუსეთთან კავშირს; ასე გაუბედავად და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ სოციალ-დემოკრატები დამოუკიდებლობისაკენ.

სოციალ-დემოკრატთა პოზიციამ ეროვნულ საკითხში გარკვეულად შეაფერხა მათი ფსიქოლოგიურად მომზადება დამოუკიდებლობისათვის. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნასაც, რომ ვერავინ შეეძლო სერიოზულად წარმოედგინა 1917 წლის შემოდგომითაც კი, თუ დამოუკიდებლობას ასე მალე მიაღწევდნენ. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე მენშევიკებმა, თუმცა ეს უფრო მეტად საჭიროებით იყო გამოწვეული და არა რწმენით, თავი ანებეს მოკრძალებას ეროვნულ საკითხში და სახელმწიფოს შენების საქმიანობაში ჩაებნენ. დამოუკიდებლობის დეკლარაციის მომზადებისას მიცემულ ინსტრუქციაში. ნ. ჟორდანია ხაზგასმით მოითხოვდა, რომ აქცენტი გაეკეთებინათ ეროვნულ ერთობაზე, და არა სოციალურ რეფორმაზე.

დღეს შეუძლებელია გავარკვიოთ შეცვალა თუ არა დამოუკიდებლობამ მენშევიკების თეორიული თვალსაზრისი ეროვნულ საკითხზე, ვინაიდან 1918-21 წლებში თითქმის ყველა სფეროში მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები განისაზღვრებოდა მოვლენებით, რომელთა მართვა მათ შესაძლებლობებს აღემატებოდა, და უფრო მომენტის მოთხოვნილებაზე რეაგირება იყო, ვიდრე წინასწარ დასახული სოციალური რეფორმის გეგმის განხორციელება. ამგვარად, 1918 წლის გადაწყვეტილება, რომ წინ წამოწეულიყო ეროვნული ერთობის საკითხი, ხოლო სოციალური რევოლუციის საკითხი ჩრდილში დარჩენილიყო, გამოხატავდა არა მარტო პარტიის თვალსაზრისს, რომ საქართველოს ჯერ უნდა გაევლო კაპიტალისტური განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი გზა, სანამ მომწიფდებოდა პირობები სოციალიზმისთვის, არამედ გამოხატავდა პარტიის საჭიროებასაც: განსაკუთრებით რუსეთის მოძრაობისაგან მოწყვეტის, ეკონომიკური კრიზისისა და მრავალი მხრიდან შემოსევის საშიშროების პირობებში თავიდან აეცილებინა სამოქალაქო ომი და მიეღწია ეროვნული კონსენსუსისთვის.

სოციალ-დემოკრატთა მცდელობა — შეეკრა ერთიანი სახელმწიფო, განსაკუთრებით აქცენტის გადატანა ეროვნულ ერთობაზე ეროვნულ უმცირესობათა მიერ აღიქმებოდა არა იმდენად სახელმწიფოსადმი ერთგულების მოთხოვნად, არამედ ლოიალობად ქართველი ერის მიმართ; ამგვარ აღქმას განამტკიცებდა ის შეუწყნარებლობა, რომლითაც მთავრობა პასუხობდა უმცირესობებით დასახლებულ არეებში ნებისმიერ არეულობას; ან ქართველების დანიშვნა სამხრეთ ოსეთის საკვანძო თანამდებობებზე და ქართველების ჩამოსახლების პოლიტიკა არაქართველი უმცირესობებით დასახლებულ სტრატეგიულ რაიონებში. სწორედ ამ ფაქტორებმა განსაზღვრეს ის, რომ ოსებმა, რომლებიც გულგრილნი დატოვა მთავრობის მოწოდებებმა ეროვნული ერთობისა და ეროვნული ინტერესების დასაცავად, ავტონომიის უფლება მოითხოვეს.

პირუკუ, მძაფრი კრიზისის პირობებში სახელმწიფოსადმი გამოვლენილმა ამგვარმა არალოიალობამ თავისი წვლილი შეიტანა ქსენოფობიური ნაციონალიზმის აღზევებაში, რისი ნიშნები გამოჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობის ბოლო ეტაპზე და რომლის მიმართაც არც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წამყვან წევრებს ჰქონდათ იმუნიტეტი. ამგვარი მოვლენების განხილვისას, რა თქმა უნდა, აუცილებელია გვახსოვდეს ის პოლიტიკური კონტექსტი, რომელშიც უხდებოდა მოქმედება მთავრობას.

მიუხედავად იმისა, რომ 1917 წელს მოხდა ეროვნული გრძნობების მობილიზება უფრო დიდი მიზნისთვის, ვიდრე მხოლოდ კულტურული ავტონომიაა, ეროვნულმა იდეამ საქართველოს მოსახლეობის ფართო მასებში ყოვლისმომცველი მნიშვნელობა არ მოიპოვა. ეს ფაქტი განსაკუთრებით ცხადად გამოვლინდა 1918-21 წლებში, როდესაც მთავრობის მოწოდებებს ეროვნული ერთობისაკენ ქვეყნის წინაშე მდგარი განუზომელი სიძნელეების პირობებში, გლეხობის ინდიფერენტულობა დახვდა. ამან, ისევე როგორც ომიანობის პირობებში ახალი სახელმწიფოს აღშენების მცდელობამ, მოსახლეობის მრავალეროვნულმა შემადგენლობამ, ეკონომიკური კრიზისის სიმძლავრემ, საერთაშორისო მხარდაჭერის უკმარობამ და გადარჩენისათვის საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის უთანასწორო ხასიათმა საბოლოოდ მოუსპეს ქართველ სოციალ-დემოკრატებს თავიანთი პოლიტიკის გასატარებლად საჭირო საარსებო პირობები.

ინგლისურიდან თარგმნა
**ხათუნა ჩხეიძემ**

# ხორხე ლუის ბორხესი

## ყვითელი ვარდი

არც იმ საღამოს და არც დილით არ გარდაცვლილა სახელგანთქმული ჯამბატისტა მარინო, რომელიც მრავლისმეტყველმა დიდებამ (გავიხსენოთ მისი საყვარელი გამოთქმა) ახალ ჰომეროსად და ახალ დანტედ შერაცხა; ოღონდ წყნარი და უბრალო შემთხვევით აღინიშნა იმჟამად მისი ცხოვრების დასასრული. საუკუნეგამოვლილი და ერთსულოვანი აღიარებით გვირგვინდადგმული, იგი ჩაიხავლა ფართო ესპანური საწოლის ბალდახინქვეშ. შესაძლებელია წარმოვიდგინოთ იქვე მდებარე დაჩრდილული აივანი ჟამყოველ ჩამავალი მზის შემყურე, ცოტათი უფრო ქვემოთ — მარმარილო, აგრეთვე დაფნები, ბაღი და კიდევ გაორმაგებული საფეხურები აუზის კრიალა კვადრატში.

ქალი ყვითელ ვარდს დებდა წყალში. კაცი ნელა ამოძრავებდა ტუჩებს, თან ჩვეულებრივ რითმებს თხზავდა, რომლებიც, მართალი რომ ვთქვათ, თავადვე გვარიანად მობეზრებოდა.

ბაღის სიდიადე, ფერთა საოცრება,
გემმა გაზაფხულის, მზერა აპრილისა...

და უეცრად გაკაშკაშდა ყოველივე. მარინომ იხილა ვარდი ისეთივე, როგორსაც ხედავდა მას ადამი სამოთხის წალკოტში და მიხვდა, რომ საკუთარ მარადიულობაში სუფევდა ის ვარდი და არა პოეტის სტრიქონებში. ჩვენ შეგვიძლია მოვხაზოთ, აღვწეროთ, ხოლო ათინათის შექმნა არ ხელგვეწიფება. ლამაზი, გაბლენძილი წიგნები, რომელთაგანაც ოქრო ილვრება ბინდჩაკრულ დარბაზში, სამყაროს სარკეს კი არ წარმოადგენენ (როგორც ფიქრობდა თავმომწონედ), არამედ რაღაც ისეთს, რაიც სამყაროს ებოძა. ესაა და ეს.

ამ აზრმა გააცისკროვნა მარინო თავისი სიკვდილის წინ. ვინ იცის, იქნებ ამავე აზრმა გაანათა დანტე და, შესაძლოა, ჰომეროსიც.

## დელია ელენა სან-მარკო

ჩვენ ონსეს მოედნის ერთ-ერთ კუთხეში დავემშვიდობეთ ერთმანეთს. მოპირდაპირე ტროტუარზე გადასულმა უკან მოვიხედე; თქვენ შემოტრიალდით და ხელი დამიქნიეთ გამოსალმების ნიშნად.

ადამიანთა და მანქანათა მდინარე მოღელავდა ჩვენს შორის; დაჰკრა, ვგონებ, ნაშუადღევის ხუთმა. აბა რა ვიცოდი, მდინარე იგი აღკვეთილ და მწუხარე აქერონად გადამექცეოდა თურმე.

მეტად ჩვენ აღარ შევხვედრივართ ერთმანეთს. ერთი წლის შემდეგ კი, თქვენ გარდაიცვალეთ.

მე ახლა ვძაბავ მეხსიერებას, ვხედავ იმ გაელვებას და მეჩვენება: — იგი არ ყოფილა ნამდვილი; ჩვეულებრივ დამშვიდობებას ხომ საუკუნო განშორება მოჰყვა თან.

გუშინ, ნავახშმევს, არ გამოვსულვარ სახლიდან. უკეთ რომ გამეაზრებინა ყოველივე, კვლავ გადავიკითხე უკანასკნელი დამოძღვრა პლატონის მიერ, თავისი მასწავლებლის ბაგით ნათქვამი. გავიხსენე, რომ სულს ძალუძს ამაღლდეს ხორცის დამთრგუნველ სიკვდილზე.

და ახლა აღარ ვუწყი, თუ სადაა ჭეშმარიტება — ჩემს მიერ გამოტანილ დამღუპველ დასკვნაში თუ ჩვენი მაშინდელი დაცილების უდრტვინველ შეუცნობლობაში.

აკი თუ სულები არ კვდებიან, რაღა საჭიროა ღელვა განშორებათა ჟამს.

ერთმანეთთან დამშვიდობება კი ნიშნავს, არად ჩავაგდოთ გაყრა და ვიფიქროთ: „დღეს უბრალოდ ვთამაშობთ განშორებას, ხვალ კი კვლავ ვიხილავთ ერთმანეთს".

ადამიანებმა გამოიგონეს სიტყვა „ნახვამდის", რამეთუ მაინც სწამთ თავიანთი უკვდავება, თუმცაღა შეგნებული აქვთ წარმავლობაც და ეფემერულობაც.

დელია, ჩვენ განვაგრძობთ ოდესმე — გარნა რომელი მდინარის პირად — ამ მილმურ საუბარს და ვკითხავთ საკუთარ თავს: მართალია, რომ ოდესღაც, პამპებში ჩაკარგულ ქალაქში, არსებობდნენ ბორხესი და დელია?

თარგმნა **იოსებ ბარათაშვილმა**

ბუნების სიმშვენიერითა და სილამაზით განთქმულ ვანის არემიდამოშიც კი გამოირჩეოდა საქართველოს ამ კუთხის შუაგულში აღმართული დიდებული ძელქვები, რომლებიც ამოძირკვა საბჭოური წყობის პროდუქტმა, რაიკომის ხელმძღვანელობამ.

სიდარბაისლითა და ვაჟკაცობით ცნობილ ვანის მკვიდრთა შორისაც კი გამოირჩეოდა თავისი რაინდული ღირსებებით ჭეშმარიტი მამულიშვილი და ბრწყინვალე ვაჟკაცი ამბერკი ადეიშვილი, რომელიც იმსხვერპლა საბჭოური წყობის პროდუქტმა, შინსახკომის აპარატმა.

ძელქვების დაგრაგნილი ტოტების ჩრდილი გახლდათ ვანის თავკაცთა შეყრის ადგილი საქვეყნო საქმეთა განსახჯელად.

ამბერკი ადეიშვილის ჭეშმარიტად მამულიშვილური გული იზიდავდა სამშობლოზე მოფიქრალ ყოველ ვანელ პატრიოტს.

საქართველოს მიერ თავის დამპყრობთა მიმართ გამოცხადებული უმძაფრესი პროტესტის, 1924 წლის აჯანყების ჟამსაც, სწორედ ეს პიროვნება მოგვევლინა ვანელ მეამბოხეთა მეთაურად.

ამბერკი ადეიშვილი არც მანამდე მჯდარა გულხელდაკრეფილი. 1921 წელს მას ჟორდანიამ მოსწერა წერილი და შესთავაზა ბათუმიდან საფრანგეთში წასვლა, მაგრამ ამბერკი ადეიშვილმა სამშობლოში დარჩენა არჩია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მილიციელის მაზარა (იგი მსახურობდა ქუთაისის მილიციის უფროსად) მას არ გაუცვლია წითელარმიელის თუ ჩეკისტის ყოვლად ულირსსა და უკადრის სამოსელზე. სიმამაცით გამორჩეული და საოცრად სხარტი ამბერკი თავის თანამზრახველებთან ერთად ამოლებულ ხმლად იქცა, როგორც მომხდურ უცხო ტომის ნაშიერთა, ასევე რენეგატ ქართველთათვის.

ხელისუფლება ბევრს ეცადა მის დაჭერას, მაგრამ ამბერკი ალყიდან თუ მდევართა მიერ დაგებულ სხვაგვარ ხაფანგიდან დასხლტომის დიდოსტატი გახლდათ.

მის მრავალ თავგადასავლთაგან სიმბოლურად მოვიტანთ ორიოდ მაგალითს:

ერთხელ ამბერკი მის ბიძაშვილ აგაბო ადეიშვილთან იმალებოდა. იგი გასცეს და სახლს გარშემოერტყნენ ჩეკისტები. ეს მღვდლის ოჯახი გახლდათ. ამიტომაც ამბერკიმ არ იკადრა სროლის ატეხა, ფანჯრიდან გადახტა და თვალთაგან დაეკარგა შინსახკომელებს.

რაკილა მისი შეპყრობა ვერ მოხერხდა, სათანადო ორგანოებში გადაწყვიტეს მოეკლათ იგი. ამბერკის მოთვალთვალედ მიუჩინეს ქალი, რომელიც თეთრ ხიდზე ვითომდა შემთხვევით გადაეყარა მას და რამდენჯერმე ხმამაღლა შესძახა „ოჰ, ამბერკი, ამბერკი!". ამით მან ჩასაფრებულ ჩეკისტებს მიანიშნა სამიზნეზე. ამბერკი მყის მიხვდა ყველაფერს, ელვის უსწრაფესად დააძრო მაუზერი და ესროლა ამ გამცემ ქალს. საპასუხოდ ესროლეს მასაც. დაჭრილი ამბერკი გადაეშვა რიონში, ცურვით ბაშში ჩავიდა და მივიდა თავის ბიცოლა პელაგიასთან, რომელმაც იგი ტყეში დამალა და იქ დაჰქონდა მისთვის საჭმელი.

ასეთ გაუსაძლის ვითარებაში ვიდოდნენ დღენი, სამშობლოს ერთგული რაინდის ცხოვრებისა.

და აი, დაჰკრა 1924 წლის აჯანყების, საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი ამბოხების საათმა, რომლის ალამი პირველად იმერეთმა ააფრიალა. ვანელი მამულიშვილნი მეამბოხეთა ერთ-ერთ პირველ კოჰორტაში ჩადგნენ ამბერკი ადეიშვილის მეთაურობით.

აჯანყებამ ვანის რაიონში პირველად იფეთქა ყუმურში, ადეიშვილის მშობლიურ სოფელში. ამბერკის მიერ შედგენილმა რაზმმა დაახლოებით ექვსი ათეული კაცის რაოდენობით (რომელშიც შედიოდნენ სამხედრო პირნი, მასწავლებლები, თუ სხვადასხვა უწყებათა მოხელენი: ძმები ივანე და იასონ გიორგაძეები, კალისტრატე ზამთარაძე, მირონ და მიხეილ დევაძეები და სხვანი) აიღო გზად შემხვდური სოფლები და შემოვიდა ვანში.

რაზმი მიადგა რაიაღმასკომს. წინ წადგა ამბერკი და ამ დაწესებულებაში მომსახურეთ მოსთხოვა დანებებულიყვნენ. ამ დროს შენობაში შესასვლელ კიბეებზე გამოჩნდა ალექსანდრე კოლუაშვილი, კაცი რომელიც ჯერ (1918 წელს) იარაღს უმზადებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შიდა მტრებს, ქართველ ბოლშევიკებს, მერე მიეგნო თბილი ადგილისათვის, ირიცხებოდა ქუთაისის საგანგებო დანიშნულების ლეგიონში მეკუჭნავედ, ახლა კი თემის აღმასკომის თავმჯდომარედ დაეწინაურებინათ. მან იძრო რევოლვერი და ესროლა ამბერკის. ამ უკანასკნელს კისრიდან სისხლი წასკდა და დაეცა. მაშინ ამბერკის დამ ვერამ (ვერიჩქამ), ვინც ძმას ტოლს არ უდებდა ვაჟკაცობაში და ვისაც ამბერკი მკვდარი ეგონა, მსწრაფლ ახალა ტყვია კოლუაშვილს და უსულოდ დასცა ძირს. იმ წამს წამოდგა ამბერკიც, რომელიც მსუბუქად დაჭრილი გამოდგა. მას კისერი შეუხვიეს და კომკავშირელ-პარტიულებთან მოკლე ბრძოლების მერე აიღეს ვანი.

ამბოხებულებმა დაიჭირეს აქტიური კომკავშირლები, მილიციელები, საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები და ჩაამწყვდიეს ისინი ბიბლიოთეკებსა, კოოპერატივების შენობებსა და ეკლესიებში. დააპატიმრეს მუხიანის სადგურში დრეზინით მიმავალი ბობოლა კომუნისტები: ვანო სტურუა, ალექსანდრე ჩიჩელაშვილი და რუბენი. ამოიყვანეს ისინი დაბაში და ჩაკეტეს სოფლის ეკლესიაში. ვანის აჯანყების დიდმნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სწორედ ვანელ მეამბოხეებთან იმყოფება ემიგრაციიდან შემოსული, გამოჩენილი მოღვაწე ვლასა მგელაძე. იგი ჩამოართმევს რუბენს საბუთს, დასტურმყოფელს იმისა, რომ აჯანყება სრულიად სახალხო იყო და მერე ფაქსიმილეს გამოაქვეყნებს პარიზში.

ვანის თავზე აფრიალდა სამფეროვანი დროშა. ატყდა ეკლესიების ზარების რეკვა. გაიმართა მიტინგი.

შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა აჯანყების ერთ-ერთმა მეწინავემ ვალოდია ლორთქიფანიძემ. მან ჩვენი ქვეყნის მტრად მოვლენილი ქართველი ბოლშევიკები შეადარა ტარას ბულბას ასევე სამშობლოს მოღალატე შვილს და ბოლოს დასძინა: ღვთისგარეგანნო, თქვენც იგივე გეკუთვნით რაც ბულბას ულირს ძეს ანდრეისო.

სამი დღე ფრიალებდა სამფეროვანი დროშა ვანში. სამი დღის მანძილზე ჰქროდა ამ მიდამოებში თავისუფლების ნიავი და მისი სივრცე ლაჟვარდისფრად იყო შეღებილი. მერმე კი დადგა დიდი სიმძიმილის ჟამი.

გათენდა დემოკრატიის მესამე დღე. წელზევით შიშველი, კოხტად აღნაგი ამბერკი ადეიშვილი პირს იბანს, მას წყალს უსხამს ერთ-ერთი რაზმელი. მოკრძალებით ეახლებიან და შორიახლო დგებიან ახლად მოსული ახალგაზრდა მოჯანყენი.



— რამ მოგიყვანათ, რაშია საქმე? — კითხულობს ამბერკი, ვისაც გუმანი კარგს არაფერსამცნობს.

— ტალახაძის კურსანტები შემოვიდნენ სამტრედიაში, — არის პასუხი.

— რამდენი არიან?

— ასი კაცი.

— ხვალ ასივეს ნახავთ აქ ხელებგაკოჭილს.

ამ სიტყვებით ამბერკი ჯდება ჯიშიან ბედაურზე, თან იახლებს 15 კბილებამდე შეიარაღებულ მეომარს და ყველანი გაქუსლავენ სამტრედიისაკენ.

# ვანის ამბოხების მოთავე — ამბერკი ადეიშვილი

**ედიშერ გიორგაძე**

როდესაც 1924 წლის აჯანყებაზეა საუბარი, ახსენებენ კახეთის, გურიის, სვანეთისა და საქართველოს სხვა კუთხეების ცალკეულ ამბოხებებს. მაგრამ დღესდღეობით არ იყო ცნობილი შედგა თუ არა წითელ რაზმებსა და მოაჯანყეთა გენერალური ბრძოლა. და აი, მრავალ თვითმხილველთან საუბრით გაირკვა, რომ ეს ბრძოლა შედგა სწორედ სამტრედიაში.

ღამით რიონს ნავებით დაუყვნენ იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს გაერთიანებული რაზმები. წითელმა არმიამ იცოდა ამ მანევრის შესახებ და მისი ნაწილები გაწლაგდა მდინარის ნაპირთან. მაგრამ მოჯანყეებმაც კარგად უწყოდნენ მტერი რომ ელოდათ და ხელყუმბარებით მოსპეს წითლების პირველი მწკრივები. მალე ომში გაუწვრთნელმა, ოღონდ თავისუფლების გზნებით გამსჭვალულმა მეამბოხეებმა, კუდით ქვა ასროლინეს ტალახაძის ნაწილებს. ნაადრევი გამოდგა მათი სიხარული. სამტრედიაში უმალ შემოვიდა ჩონი (საგანგებო დანიშნულების ნაწილები) და დატრიალდა ნამდვილი ჯოჯოხეთი. ამ დაუნდობელმა ნაწილებმა თითქმის ერთიანად მოსპეს მოჯანყეთა ცუდად შეიარაღებული რაზმები, მერე კი მშვიდობიან მოსახლეობას დაერივნენ. ხოცავდნენ ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს. თავი მოუყარეს ლამის სამ ასეულ მღვდელს და რიონის პირას დახვრიტეს. შინსახკომელი შალვა ლეჟავა იგონებდა, კიდევ კარგი, მოვახერხე და არ გავერიე ამ საქმეში, ჩვენი რაზმელები სასულიერო პირებს რევოლვერით ხვრეტდნენ, მიზანში სროლაში ვარჯიშობდნენო.

ამ ბრძოლაში მონაწილეობდა ამბერკი ადეიშვილის რაზმი, რომელიც სხვა თითო-ოროლა გადარჩენილი მოჯანყეების დარად უბრუნდება მშობლიურ დაბას. ვანში ამოდიან ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული დამსჯელი რაზმები. მათ უერთდებათ ქუთაისის კომუნართა რაზმიც. გამთენიის ხანს ვანის მილიციაში დამწყვდეულ კომკავშირელთა და პარტიულთა დარაჯად მიჩენილ ისიდორე ძაგნიძეს მიუახლოვდა რამდენიმე კაცი. ესენი იყვნენ ქუთაისელ კომუნართა რაზმის მზვერავები.

— რას აკეთებ აქ? — შეეკითხნენ ისინი მცველად მიჩენილ ისიდორე ძაგნიძეს.

— კომუნისტებს ვდარაჯობ! — იყო პასუხი.

ისიდორე ძაგნიძე იმ წამს მიაყენეს კედელთან და დახვრიტეს. ეს იყო დამსჯელი რაზმის პირველი მსხვერპლი.

მერე კი შედგა სამეული ძველი ჩეკისტის, დავით ლორთქიფანიძის მეთაურობით და დაიწყო მოჯანყეთა უწყალო ჟლეტა!

დახვრიტეს ჟანაპოლისტე ლორთქიფანიძე, ალიოშა ახვლედიანი, ძმები გიორგაძეები, მრავალნი სხვანი. ძმები გიორგაძეების დახვრეტა ასე მოხდა: დასახვრეტად შეარჩიეს ერთ-ერთი ძმა ივანე, მაგრამ მეორე აღარ მოსცილდა. — დახვრიტეთ მეც, მოგვაბეზრა თავით, — იყვირა დავით ლორთქიფანიძის შემცვლელმა გიორგი ჩხენკელმა და იასონიც გაუყენეს თავისი ძმის კვალს.

აჯანყების ერთ-ერთი მონაწილე შალვა ჩიქოვანი იგონებს: „როცა ვანში ტყვიამფრქვევები აკაკანდა, რამდენიმე ახალგაზრდა გავიქეცით, ტყელვანს შევაფარეთ თავი. ღამე გავითენეთ ერთ სახლში, მაგრამ დილით დაგვადგნენ წითელი ბანტებით მორთული რაზმელები, დაგვაპატიმრეს და ჩაგვიყვანეს ვანში. იქ წვერმოშვებულმა ჩეკისტმა, რომელსაც რევოლვერი ედო მაგიდაზე მკითხა — 26 მაისი უქმე არის თუ არა. გარედან ისმოდა სროლის ხმა და ხალხის გმინვა. დავდრკი და დუმილი ვარჩიე. როგორ, მთელმა საქართველომ იცის და შენ ბაიბურში არა ხარო, მიყვირა და რევოლვერის ტარით ჯერ ნიკაპი ამიწია, მერე კი თავში ჩამარტყა და წიხლიც მომაყოლა. ჩემს თვალწინ გაჰყავდათ ხალხი დასახვრეტად საყანჩიაში. დახვრიტეს ყუბანეიშვილები, ხურციძეები, ნიჟარაძეები. დაპატიმრებული რცხილაძის შვილს სცემეს, ბომბების შენახვას აბრალებდნენ, მერე გაიყვანეს დასახვრეტად. მამა ჭკუაზე შეცდა. ქუთაისელი ჩეკისტი ალიოშა იმედაძე თავისი ხელით ხვრეტდა ხალხს. დროდადრო ქუჩაში გამოვარდებოდა რევოლვერით ხელში — ყველას მოგილებთ ბოლოს თქვე ძაღლიშვილებო, ყვიროდა.

ვანში მომხდარი ამბების გამო და ძველ ბოლშევიკთა (სტურუას, ჩიჩელაშვილის და რუბენის) დასახსნელად საგანგებოდ ჩამოდის ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე მამია ორახელაშვილი.

ჩონის რაზმელები და ჩეკისტები აჯანყების მონაწილეებზე ნადირობენ ყველა სოფლებში: ოფშკვითში, საპაიჭაოში, სულორში. ამ ბოლო სოფელში ჩეკისტებმა ვაშალომიძემ და კიკალიშვილმა მიაგნეს ამბოხებულ ჯგუფის ერთ-ერთი მოთავის, პროვიზორ პოლიკარპე ნაფეტვარიძის კვალს. პოლიკარპე გაექცა მათ და დააპირა მდინარე სულორის ფონში გასვლა, მაგრამ ვაშალომიძემ ესროლა და მოკლა.

განსაკუთრებული სისასტიკით დაერივნენ სამღვდელოებას. დაიჭირეს თითქმის ყველა მღვდელი თუ ვანის მთებზე აგებულ პატარა ეკლესიებში დაყუდებული ბერი. დახვრიტეს ცნობილი მოძღვარი ავალიანი.

მილიციის შენობაში გათამაშდა ასეთი საზარი სცენა:

ზის თავისთვის ჭმუნვამორეული მღვდელი. ლოყაზე ხელი აქვს აფარებული.

— რა დაგემართა, მამაო? — ეკითხება ჩეკისტი.

— კბილი მტკივა შვილო!

— გააღე პირი, მე ვიცი მაგის წამალი.

მღვდელი დანდობილად გახსნის ბაგეებს და ჩეკისტი შიგ პირში ჩაახლის ცხელ ტყვიას.

რამდენიმე ათეული კაცი ჩეკისტებმა თბილისში წაიყვანეს დასახვრეტად.

ტყეში დამალვა მოასწრო მხოლოდ თითო-ოროლა მეამბოხემ, მათ შორის აჯანყების თავკაცმა ამბერკი ადეიშვილმა. ამბერკის თან ახლდა ყოფილი სამხედრო პირი თვალაბეიშვილი. ერთ დღესაც ისინი გასცეს. ქუთაისიდან მოვლინებული ჩეკისტი ვალიკო გიგაური ორმოცკაციანი ცხენოსანი რაზმით გარსშემოერტყა იმ ადგილს, სადაც მათი ვარაუდით ეს ორნი იმალებოდნენ. გიგაურმა გორაზე დააყენა ტყვიამფრქვევი, მერე მოაყვანინა ამბერკი ადეიშვილის მამა და ჰკითხა, სად იმალება შენი შვილიო.

— ჯერ ერთი არ ვიცი, და რომ ვიცოდე კიდეც, როგორ ფიქრობთ, შვილს გავცემ? — მიუგო თეთრწვერა მოხუცმა.

— შენ რაღას გვეტყვი? — მიუბრუნდა გიგაური ასევე დაპატიმრებულ ამბერკის დას, ვერას (ვერიჩქას).

— ჰაი დედასა, რომ ხელფეხი შებოჭილი მაქვს, თორემ მე თქვენ გიჩვენებდით ხეირს. ძმას მე ვერ გავცემ, თუ კარგი ბიჭები ხართ, თქვენ თვითონ სცადეთ მისი დაჭერა, — თამამად შეესიტყვა ვერიჩქა.

მაშინ გიგაურმა ამბერკის მამა მიაგზავნა იმ სახლთან, რომელიც საეჭვოდ მიაჩნდა და დაავალა გადაეცა მოჯანყეთათვის, ალყა გაქვთ შემორტყმული და დაგვნებდითო.

მოხუცი მივიდა სახლთან, მაგრამ მალე მობრუნდა უკან და ნირშეუცვლელად უთხრა გიგაურს; იქ არავინ არის, გარდა დიასახლისისაო. ამ დროს, რა თქმა უნდა, იცოდა, თუ რას აპირებდა მისი შვილი.

ასე იგონებს ამ ამბავს მისი მონაწილე და განაგრძობს:

მაშინ უფროსმა გადაწყვიტა ალყის შიგნით შეეშვა სამი ყველაზე მამაცი და გამბედავი რაზმელი, მათ ყველა სახლი გულდაგულ უნდა გაეჩხრიკათ.

როდესაც ისინი რკალში შევიდნენ, ადეიშვილი და თვალაბეიშვილი გამოვარდნენ გარეთ ნაბდებით. ტყვიამფრქვევის პოსტიდან იყვირეს — გამოვიდნენ, გამოვიდნენო და შეიქმნა გამაყრუებელი სროლა. ზევიდან კაკანებს ტყვიამფრქვევი, ქვევით კი ყველა ისვრის. დევნილებს მოუძვრიათ ნაბდები და ისე დაუყუდებიათ, ვითომ კაცებიაო, თვით კი უგანებიათ. ალყაში შეგზავნილმა რაზმმა შეამჩნია ნაბდები და დაუშინა ტყვია. ამასობაში დევნილებმა გვერდიდან დააყარეს მათ ტყვიები და ორი მათგანი იქვე სასიკვდილოთ დაჭრეს. შემდეგ მიდგომიან რკალს, სადაც ორი კომკავშირელი ყოფილა, ერთი მათგანი მოუკლავთ. ბოლოს სროლა მიწყდა. ყველას ჰგონია, რომ ადეიშვილი და თვალაბეიშვილი რკალიდან არ გასულან, შემდეგ გამოირკვა, რომ რაზმიდან დაუხოციათ სამი კაცი, ორი ქუთაისელი კომუნარი და ერთიც კომკავშირელი — ტობანიერიდან და თვით კი გაურღვევიათ ალყა და გაქცეულან.

ამ ოპერაციისათვის შემ ეგ შტაბის უფროსი მოხსნეს, ხოლო რაიპარტინსტრუქტორ გიგაურს სასტიკი საყვედური გამოუცხადეს, თვითნებური მოქმედებისათვის".

ასე ხშირად გაუჩინარებულა ამბერკი ადეიშვილი. მაგრამ ბოლოს იგი შეაწუხა იმ ვითარებამ, რომ მისი გულისთვის ხალხს ავიწროვებდნენ. ის დაჰყვა ჩეკისტი გიორგაძის ნებას და ილიაადეიშვილის შუამდგომლობით ჩამოვიდა ყუმურში. იქ მისულმა გიორგაძემ შესთავაზა სამსახური, მაგრამ ამბერკიმ ცივი უარი თქვა: კომუნისტებს ვერა და ვერ გავუწევ სამსახურსო.

ამბერკი გადაასახლეს ჯერ სოლოვკაში, სადაც ის იჯდა კონსტანტინე გამსახურდიასა და ლევან გოთუასთან ერთად, მერე მოხვდა ყაზანში, სადაც არის დასაფლავებული.

აღარ ჩანს ვანის ცენტრში დიდრონი ძელქვები, ეს მშვენება და სიამაყე მთელი იმ არე-მიდამოსი, მაგრამ ხალხი იგონებს მათ.

აღარ არის ამბერკი ადეიშვილი, ეს პატივი და დიდება ყოველი ვანელისა. გაქრა მის მიერ გადასახლებაში დაწერილი დღიურიც, ეს დიდად მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტიც.

მაგრამ დარჩა მისი მარადიული ხსოვნა.

# ავანგარდისტ მხატვართა პირველი გამოფენა

## ირინე მერაბიშვილი

XX საუკუნის 80-იანი წლები მეტად დაძაბული პერიოდი აღმოჩნდა საქართველოს როგორც პოლიტიკური, ასევე კულტურული ცხოვრებისათვის; მოხდა ძირეული გადაფასება ადრე აღიარებულ ცნებათა და ფასეულობათა. როგორც პოლიტიკაში, ასევე ხელოვნებაში გამოლვიძება, თანდათან, გაუბედავი ნაბიჯებით აღინიშნა. ე. წ. დათბობა უკვე 70-იანი წლებიდან შეინიშნება და თუმცა ოფიციოზი თავის მკაცრივ მარწუხებს ძნელად ელევა, თავისუფლების ტალღა უკვე ყველგან მიხწვდა და დღეს უკვე რეალური შედეგი მოიტანა.

ყოველგვარი განსჯისა და პროგნოზის მიუხედავად, შემოქმედებითი პროცესი ერთგვარ კანონზომიერებას ექვემდებარება, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენში ცრუ პოლიტიკური მიზნების გასამართლებლად ხელოვნურად იჩქმალებოდა და განზრახ მახინჯდებოდა ყოველგვარი აქტუალური მხატვრული ძიებები, თანამედროვე ავანგარდისტულმა ხელოვნებამ თითქმის ნახევარი საუკუნის დაგვიანებით მოაღწია, თუმცა ისტორიულად მისი წანამძღვრები ჩვენში მეტად ძლიერი იყო.

ახლისაძმი ლტოლვა საერთოდ დამახასიათებელია ქართული ხელოვნებისათვის. და მით უფრო XX საუკუნის დამდეგს, როცა ქართველები განათლების მისაღებად რუსეთსა და გერმანიაში, საფრანგეთსა და იტალიაში მიემგზავრებოდნენ.

ჯერ კიდევ 1916 წლის ჩანაწერში დავით კაკაბაძე თავისი მოღვაწეობის გეგმად სახავდა: „გაცნობა ხელოვნების ნაშთებისა, რათა შევიგნო რაში გამოიხატებოდა წინათ მხატვრული ენა. რაც შეიძლება მეტი ცოდნა — გაეცნო ხელოვნების სხვადასხვა პრინციპებს (შექმნილს სხვადასხვა ერის მიერ)". აქ ნათლად ჩანს მხატვრის სწორი პოზიცია, რადგან კარჩაკეტილი და შემოფარგლული რაიმე ერთი დოქტრინით, რა გინდ ფასეულიც არ უნდა იყოს იგი, მხოლოდ ავიწროვებს შემოქმედის თვალსაწიერს.

სამაყოა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე მაშინდელმა მთავრობამ უკვე 1919 წელს მიავლინა ქართველი ნიჭიერი ახალგაზრდები უცხოეთში პროფესიული დონის ასამაღლებლად. ასე მოხვდნენ პარიზში დავით კაკაბაძე და ლადო გუდიაშვილი, ფელიქს ვარლამიშვილი და შალვა ქიქოძე. მართალია ბოლშევიკურმა მთავრობამაც 1922 წელს მენშევიკთა მიბაძვით ასევე საფრანგეთში მიავლინა ელენე ახვლედიანი და ქეთევან მაღალაშვილი — ახალგაზრდა, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები — მაგრამ მსგავსი პრაქტიკა შემდეგ აღარ განმეორებულა და ამით დაიკეტა ის გზა, რაც ევროპულ ცივილიზაციას მიგვაახლოვებდა.

ყველასათვის კარგადაა ცნობილი რა ნაყოფიერი გამოდგა თითოეული ქართველი მხატვრისათვის საფრანგეთში ყოფნა, როგორ გამდიდრდა მათი სახვითი ენა, ინტელექტუალური და ემოციური სამყარო.

1918 წელს ჟურნალ ARC წერდა, რომ „ტიფლისში შედგა ორგანიზაცია „ფუტურისტების სინდიკატის" რიგი გამოსვლა, ლექციები და გამოფენები, რომელშიც მონაწილეობდნენ ილია და კირილე ზდანევიჩები, კარადარვიჩი, ალექსეი კრუჩონიხი, ნიკოლაი ჩერნიავსკი, ლადო გუდიაშვილი". ამ სინდიკატმა ცოტა ხანს იარსება და დაიშალა. ასევე 1919 წელს თბილისში შედგა მოსკოველი ფუტურისტი მხატვრების ე. წ. „მცირე ჯგუფის" გამოფენა. აღსანიშნავია, რომ ამ გამოფენაზე მონაწილეობდნენ დავით ბურლუკი, ნატალია გონჩაროვა, ივან კლიუნი, ალექსეი კრუჩონიხი, ნიკოლაი კულბინი, მიხეილ ლარიონოვი, კაზიმირ მალევიჩი, ოლგა როზანოვა, ვლადიმერ ტატლინი, პაველ ფილონოვი, ლადო გუდიაშვილი, კირილე ზდანევიჩი. ეს გამოფენა მეტად მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგან ახეთი რანგის ხელოვანთა შემოქმედებასთან ზიარება საფუძველს შეამზადებდა, რათა საქართველოში შექმნილიყო ეპოქის თანადროული მხატვრული ნიმუშები.

1919 წელს მეორე საშემოდგომო გამოფენაზე მონაწილე მხატვართა შორის მხოლოდ კირილე ზდანევიჩმა გამოფინა, როგორც მაშინდელი პრესა აღნიშნავდა, „მოდერნისტულ-კუბისტური ხასიათის სურათი „ვენერა-მზარეული". ამავე 1919 წ. ვალერიან გაფრინდაშვილი მიესალმებოდა რუსული ფუტურიზმის ლიდერს, ა. კრუჩონიხს და აღნიშნავდა ქართველი ფუტურისტების მათთან თანადგომას. ქართველ მხატვართაგან ფუტურისტების ორგანიზაციაში შედიოდნენ ირაკლი გამრეკელი და ბენო გორდეზიანი. დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ 1920 წლებში რიგი ქართველი მხატვრებისა ქმნიდნენ ნამუშევრებს ევროპული ახალი მიმდინარეობების მიხედვით. ექსპრესიონიზმი, კუბიზმი, აბსტრაქციონიზმი, დადაიზმი — ყველა, იმ დროისათვის არსებული მიმდინარეობები იზიდავენ ქართველ მხატვრებსა და იქმნება არა ერთი საინტერესო ნამუშევარი დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, შალვა ქიქოძის, ირაკლი გამრეკელის, ბენო გორდეზიანის, მიხეილ გოცირიძის, მიხეილ ბილანიშვილის შემოქმედებაში. დავით კაკაბაძის გარდა ამ მიმდინარეობებმა მხოლოდ ტენდენციების, გატაცების დონეზე იჩინეს თავი და ერთგვარად ხელი შეუწყვეს თითოეული მათგანის მსოფლმხედველობის, ორიგინალური ხელწერისა და ხედვის ჩამოყალიბებას.

რაც შეეხება დავით კაკაბაძეს, მან, გარდა იმისა რომ შეისისხლხორცა ახალ მიმდინარეობათა უმთავრესი პრინციპები, შეძლო საკუთარი სიტყვა ეთქვა, რითაც ფრანგი კრიტიკოსების დიდი ყურადღება დაიმსახურა და პ. გალიენმა იგი ევროპელ თვალსაჩინო მხატვართა შორის მოიხსენია...

როგორც ცნობილია, ხელოვნება მექანიკურად არ ვითარდება. ყოველი ახალი ჟანრი მოიპოვებს რა ავტონომიას, შეიმუშავებს საკუთარ ფასეულობათა კრიტერიუმებს. თუ შევეცდებით გავიაზროთ განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ადამიანის ცნობიერება, შევამჩნევთ, რომ იგი აშკარად იცვლება უმთავრესად სამყაროს შემეცნებასთან მიმართებაში. დღეს, როდესაც (ნაწილობრივ მოგვეხსნა მძიმე ბუნდები, დადგა ერთგვარი ამოსუნთქვის დრო, თავისუფალი დრო, რომელიც წააგავს საუკუნის წინ საფრანგეთში გათამაშებულ ვითარებას, როცა იყო ოფიციალური სალონი და პარალელურად საკუთრივ ავანგარდი. ჩვენთან იყო მხატვართა კავშირის მიერ ორგანიზებული საერთო თემატური რესპუბლიკური და საკავშირო გამოფენები და შედარებით თავისუფალი საშემოდგომო და საგაზაფხულო გამოფენების პრაქტიკა, სადაც უცხო ხილად გამოერეოდა ავანგარდული ნამუშევრები. რაც, რა თქმა უნდა, ვერ ქმნიდა ობიექტურ სურათს ახალი ხელოვნებით დაინტერესებული მხატვრების შემოქმედებაზე.

მართალია ჩვენში იერარქიული კიბის სათავეებთან მდგომნი ისეთი სიმწვავით არ ეწინააღმდეგებოდნენ სიახლეს, როგორც ეს რუსეთში იყო (გავიხსენოთ ნ. ხრუშჩოვის მიერ 1962 წელს ავანგარდისტი მხატვრების სკანდალური დარბევა, ე. წ. ბულდოზერული და კატაკომბური გამოფენები), მაგრამ ტაქტიკური მოგუდვა აქ უფრო რაფინირებული ხერხებით წარიმართებოდა. ვინც „მშვიდად" არ მოიქცეოდა, მას არც შეღავათებზე უნდა ეოცნება. ბევრი აჰყვა ცდუნებას. მხოლოდ მცირე ნაწილმა შეინარჩუნა წინააღმდეგობის გაწევის უნარი და დღევანდლამდე მოიტანა თავისი ხალასი მრწამსი. ასეთ მხატვართა რიგს უპირველესად მოქანდაკე კარლო გრიგოლია მიეკუთვნება. მან ფორმის ძიების საკუთარი გზა იმთავითვე აირჩია და თუმცა ბევრ წინააღმდეგობას, ზოგჯერ უხეშ დაწოლასაც შეხვდა, არა თუ უღალატა არჩეულ გზას, უფრო მეტი შემართებით ჰირსა შიგან გამაგრდა. არ იკადრა არავითარი კომპრომისი, როგორც თავისი თავის, ისე სხვების მიმართ, ვისაც მისთვის ცხოვრების გაიოლება შეეძლო მატერიალურად, სულიერი დანაკარგის ფასად.

კარლო გრიგოლიას მაძიებელი ბუნება, ახალგაზრდული სული მუდამ მოძრაობაშია. აი, დღესაც მან დააარსა და სათავეში ჩაუდგა საქართველოს ავანგარდისტ მხატვართა პირველ ასოციაციას (სამა), რითაც დასრულდა ტოტალიტარული, თავსმოხვეული, ერთიანი და შეუვალი მხატვართა კავშირის ინსტიტუტი, მსგავსად ერთპარტიული სისტემისა და დაიწყო თავისუფალი ნების მხატვართა გაერთიანებების შექმნის ტრადიციული პრაქტიკა, რომელიც ხელოვნურად იქნა შეჩერებული 1932 წლიდან. ამიერიდან მხატვართა გაერთიანებები ამა თუ იმ საფუძველზე ან იდეის ნიშნით მხოლოდ ინდივიდთა ნების გამოხატულება იქნება.

საქართველოს ავანგარდისტ მხატვართა ასოციაცია რეგისტრირებულია მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 8 ივნისის № 321 დადგენილებით, აქვს შემუშავებული წესდება, ემბლემა და ბეჭედი და დროებითი ბინა საქართველოს მხატვრის სახლის მესამე სართულზე, სადაც არის გამოფენილი დღეისათვის ასოციაციაში გაერთიანებული 25 მხატვრის ფერწერული, გრაფიკული, სკულპტურული თუ სივრცით-მოცულობითი ნამუშევრები. ექსპოზიციაში მონაწილე თითოეული მხატვარი მკაფიოდ ინდივიდუალურია. გამოფენის მაღალპროფესიული დონე — ინტელექტუალური, მაღალი შემოქმედებისა და გაქანების არაერთ შემოქმედს წარმოაჩენს.

გამოფენაზე 60-მდე ნამუშევრითაა წარმოდგენილი ასოციაციის პრეზიდენტი კარლო გრიგოლია. ქანდაკება და ფერწერული რელიეფები, გრაფიკა და კოლაჟი, სივრცით-მოცულობითი კომპოზიციები, აი ინტერესთა სფერო, რომელშიც მკაფიოდ ისახება მაღალნიჭიერი შემოქმედის ინდივიდუალობა.

გვხიბლავენ კ. გრიგოლიას აბსტრაქტული ქანდაკებები. მისი შინაგანი ძლიერი მუხტით დატვირთული სკულპტურული მასივები მონუმენტურობით ხასიათდებიან. ჩაკეტილ, მკვრივ ფორმათა მონაცვლეობა თავისებურ ქვეწყობილ რიტმს ემყარება. თუ ადრეულ ნამუშევრებში ჰპარობენ რეალური სამყაროს ელემენტები, თანდათან მხატვარი ფორმის თავისებურებათა სიღრმივი ძიებების გზაზე სულ უფრო შორდება ხილულ სამყაროს. პლასტიკური ფორმის მისეული გააზრება ფარულ ექსპრესიას, შინაგან ამბოხს იტევს. გლუვი სილუეტები, ფორმათა შინაგანად დაძაბულ დინამიკას აკავებენ და წარმოაჩენენ იმ ფარულ სათქმელს, სულის სიღრმეში რომ იცის ჩაგუბება. ინტუიტური, აზრობრივ-ემოციური საფუძველი ნამუშევრების სიღრმეში ძევს. მათ მხატვარი თითქოს განგებ მკვრივი ფორმით აკავებს. მოსჩანს ის პოტენციური ენერგია, თავის დაზნნას რომ ცდილობს და სიმბოლურად გარეგნული ზღუდეებით იფარგლება. ასევე ორიგინალურად აკავშირებს კ. გრიგოლია ფერწერულ კოლაჟებში ფერისა და ფორმის ურთიერთმიმართების პრობლემებს. თუ ზოგ შემთხვევაში წმინდა ფერწერული ამოცანებით გატაცებაა, სხვაგან მხატვრის ფანტაზია ფორმის პრიმატითაა განპირობებული. რამოდენიმე გრაფიკული ნამუშევარი ქანდაკებების კომპოზიციური საყრდენების მოძიებას ემსგავსება.

მოქანდაკე ნეველი ჯიქია თავის აბსტრაგირებულ სკულპტურულ კომპოზიციებში ცდილობს კონკრეტულიდან ზოგადამდე ამაღლდეს. არის ამ ნამუშევრებში სიმბოლიკის ელემენტებიც, რომლებიც ხან ფარული წიაღსვლებით, ხან კი ხალასი გულახდილობით მიგვანიშნებენ მოქანდაკის გულისნადებს, იმ დაფარულსა და მარადიულს, რაც სამყაროს წრებრუნვას ემორჩილება. ხოლო ჩვენთვის, ამ პლანეტის მკვიდრთათვის დროის შეზღუდული ჩარჩოებითაა შემოფარგლული.

კომპოზიციებში, რომლებიც რეალური იმპულსებითაა ნაკვები, ნ. ჯიქია არ კარგავს მაკავშირებელ ძაფებს და ძალუმად იღვრება პირველსაწყისის ხიბლი, ხოლო ნამუშევრებში, ფორმადქმნადობის ფარულ ძიებებს რომ შეიცავენ, თავშეკავება და გაწონასწორებულობა იკითხება. რაც შეეხება ფერწერულ ნამუშევრებს, აქ ნ. ჯიქია, განსხვავებით ქანდაკებებისგან, მძაფრი ექსპრესიულობით და ერთგვარი კონვულსიური სიმძაფრით წარმოგვიდგება. მასში მხატვარი დინამიურ საწყისს აძლიერებს და მოჰარბებულ ემოციებს ამჟღავნებს. ■

რასაკვირველია, ძნელია ერთ საგაზეთო წერილში ავანგარდისტ მხატვართა ასოციაციის პირველი გამოფენის ყველა მონაწილის შემოქმედების მიმოხილვა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო როლანდ პაპოშვილის, რომან კუპრეიშვილის, ლერი ჰანტურიას, ბესარიონ გრიგოლიას, გურამ ნემსაძის, ილია ნახუცრიშვილის, ნოდარ გოცაძის, ემილ ადამიას, მერაბ მეუნარგიას,





იოველ ჯიქია — „დედობა", „საათები"



კარლო გრიგოლია — „რიტმული ფორმა"



ილია ნასუცრიშვილი „გასვლა შავ ხაზზე"

ჯემალ კუხალაშვილის, ნუგზარ ჯაფარიძის, გია ლორიას, აწ გარდაცვლილი დავით მიქაბერიძის, ვაჟა მიქაბერიძის, ზურაბ ხეხნიაშვილის, ავთანდილ მესხის, გია რევაზიშვილის, გელა კენჭუაშვილის, ირინე მერაბიშვილი-შანშიაშვილის ნამუშევრები.

საქართველოს ავანგარდისტთა ასოციაციის პირველმა გამოფენამ, რომელმაც მუდმივი ბინა დაიდო მხატვრის სახლის მესამე სართულზე, და პერიოდულად განახლდება, წარმოაჩინა თუ რა საინტერესო ხედვის არაორდინალურ შემოქმედთა გაერთიანებასთან გვაქვს საქმე. ავანგარდისტთა ასოციაცია უმთავრესად თავისუფალი მოქმედების საშუალებაა, გზას რომ უხსნის ყველა შემოქმედს წარმოაჩინოს სრულად თავისი შესაძლებლობები, სახვითი ხელოვნების ყველა თანამედროვე მიმდინარეობაში.

ავანგარდი — მოწინავეს, პროგრესულს ნიშნავს და სწორედ ეს მნიშვნელობა უდევს საფუძვლად საქართველოს ავანგარდისტთა ასოციაციას, რომელიც ფართოდ უხსნის კარებს ყველა მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე შემოქმედს.

ავანგარდისტთა ასოციაცია მიზნად ისახავს ეროვნული ესთეტიკური კულტურის განვითარებას, სახვით ხელოვნებაში ახალი აზროვნების განტკიცებას. „საქართველოს ავანგარდისტთა ასოციაცია — ვკითხულობთ მის წესდებაში — იღვწის თავისუფალი აზროვნების განმტკიცებისათვის თანამედროვე სახვით ხელოვნებაში; ამყარებს კონტაქტებს სხვა რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის მხატვრებთან, მხატვართა ასოციაციებთან, მსოფლიოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებთან, მეცენატებთან და კოლექციონერებთან, აწყობს გამოფენებს, ეწევა საქველმოქმედო მოღვაწეობას. ხელს უწყობს ობიექტურ მხატვრულ კრიტიკას, მოდერნიზმის თეორეტიკოსთა და მხატვართა კონტაქტებს".

უნდა აღინიშნოს, რომ ავანგარდისტთა ასოციაციას შორს მიმავალი მიზნებიც აქვს. კერძოდ მის პრეზიდენტს ბატონ კარლო გრიგოლიას სურს, ასოციაციის ბაზაზე ახლო მომავალში შეიქმნას ინტელექტუალური ცენტრი — რომელიც გააერთიანებს ავანგარდისტული მიმდინარეობების არა მარტო მხატვრებს, არამედ მუსიკოსებს, მწერლებს, თეატრის და კინოს მოღვაწეებს, ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენელს, ვინც ესწრაფვის ახალი სული შთაბეროს ქართულ ხელოვნებას, დააყენოს იგი მსოფლიო კულტურის ავანგარდში, რომლისგანაც ობიექტური მიზეზებით, ხელოვნურად იქნა დროებით მოწყვეტილი.

სასიხარულოა, რომ უკვე გამოჩნდნენ ქართული ავანგარდისტული ასოციაციით დაინტერესებული ადამიანები. კერძოდ, ვაშინგტონის თანამედროვე ქანდაკების ცენტრის პასუხისმგებელი დირექტორი დევიდ ფურჩგოტი, უკვე ესწრაფვის საქმიან კონტაქტებს. ელოდება ვიზას, რათა თბილისში ჩამოვიდეს და მოლაპარაკება გამართოს ასოციაციის პრეზიდენტთან. 1991 წელსვე დაგეგმილია თანამედროვე ავანგარდისტული ხელოვნების საერთაშორისო ბიენალეს მოწყობა თბილისში, რაც დასაბამს მისცემს ქართული თანამედროვე ხელოვნების გასვლას საერთაშორისო ასპარეზზე.

დღეს წინასწარმეტყველურად ჟღერს დავით კაკაბაძის მიერ 20-იან წლებში ნათქვამი სიტყვები: „ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ საქართველო მიდიოდეს კულტურულ შემოქმედებაში თანამედროვე მოწინავე ქვეყნებთან ერთად, ისე, როგორც შუა საუკუნეებში ქართველი ხალხი შეადგენდა ერთ მოწინავე რაზმს, იმ დროს კულტურულ ერთა შორის და ეს მაგალითი უნდა გვარწმუნებდეს იმაში, რომ ქართველი შემოქმედი კვლავ შეძლებს ამაღლდეს ხელოვნების მწვერვალებამდე, თუ ის სავსებით შეითვისებს თანამედროვე კულტურის სულს".

ჰონორარი გადაირიცხება საქართველოს ავანგარდისტთა ასოციაციის ფონდში.

# ნორჩი უკრაინელი მხატვრები თბილისში

წლევანდელი გაზაფხულის ექსპოზიციათა მრავალფეროვნებაში განსაკუთრებული ელფერი შეიტანა „მხატვრის სახლში" გამართულმა, ერთობ მოკრძალებულმა, მაგრამ, მართლაც „არაჩვეულებრივმა გამოფენამ". წარმოდგენილი იყო ორი ნორჩი უკრაინელი მხატვრის, კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლეების, 13 წლის ანა კრივოლაპისა და 14 წლის ვიტალი სალივონის ნამუშევრები.

ვერნისაჟზე, რომელსაც ავტორთაგან მხოლოდ ანა კრივოლაპმა შეძლო ჩამოსვლა უფროსებითურთ, თვალსაჩინო იყო, რომ ხალასი ნიჭი და ეროვნული მხატვრული ტრადიციისადმი ერთგულება, ესოდენ დამახასიათებელი ორივე ამ ნორჩი მხატვრისათვის — მათი დიდი შემოქმედებითი მომავლის საწინდარია. ეს აზრი რეფრენად გასდევდა პირველსავე შთაბეჭდილებებს ჩვენი ნორჩი კიეველი სტუმრების ნამუშევრების შესახებ. გამოფენა გახსნა „მხატვრის სახლის დირექტორმა, საქართველოს სახალხო მხატვარმა თემო გოცაძემ. მან განსაკუთრებით აღნიშნა, თუ რაოდენ სიმბოლურია, რომ ორი იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული უკრაინელი მხატვრის პირველი პერსონალური გამოფენა სწორედ თბილისში იხსნება.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე კრიტიკოსი ზაზა აბზიანიძე, რომელიც ამ გამოფენის მოწყობის ინიციატორი გახლდათ, კიევში მოღვაწე ჩვენი თანამემამულე, პოეტი და მთარგმნელი რაულ ჩილაჩავა, მოქანდაკე მიხეილ ყიფიანი, კრიტიკოსი კობა იმედაშვილი.

უკრაინელი სტუმრების — ხელოვნებათმცოდნისა და ეთნოგრაფის თამარ ნიკოლაევას და კიევის „მხატვრის სახლის" თანამშრომლის ნატალია დობრონრავოვას გამოსვლებში გულწრფელი მადლიერება იგრძნობოდა იმ მასპინძლებისადმიც, რომელნიც იმ დღეს, ასე ვთქვათ, „ავანსცენაზე" იყვნენ და იმათ მიმართაც, ვინც უზრუნველყო გამოფენის მოწყობა. აქ მათ მადლიერებას ერთი განსაკუთრებული ადრესატი ჰყავდა — საგამოფენო დირექციის დირექტორი რამაზ კაპანაძე, რომლის მხრებზეც გადაიარა ძირითადმა „საგამოფენო" საზრუნავმა.

ნორჩი უკრაინელი მხატვრების გამოფენამ „მხატვრის სახლში" სულ რამდენიმე დღეს გასტანა, მას გამოეხმაურა ჩვენი ტელევიზიაცა და პრესაც, მრავალი თბილი სიტყვა ჩაიწერა შთაბეჭდილებათა წიგნში... მაგრამ მთავარი ალბათ ამ კონკრეტული გამოძახილების მიღმა იყო—ყველა გრძნობდა, რომ ეს პატარა ზეიმი ქართველი და უკრაინელი ერების ტრადიციული მეგობრობის და დღევანდელი თანადგომის მოკრძალებულ, სიმბოლურ, მაგრამ სათუთ და დასამახსოვრებელ გამოხატულებად გადაიქცა.

(ჩვენი კორ.)



სურათზე: ანა კრივოლაპი — „ქალიშვილები ეროვნულ ტანსაცმელში"




გამომცემლობა „საქართველომ" გამოსცა ვლადიმერ მაჩაიძის ლექსების წიგნი „გარდასახვა".

ეს წიგნი უდროოდ გარდაცვლილი ახალგაზრდა პოეტის—მაისში მას ორმოცი წელი შეუსრულდებოდა—ლექსების მესამე კრებულია. ამ წიგნების გამოცემას ავტორი ველარ მოესწრო.

როგორც ანოტაციაში ვკითხულობთ, „ვლადიმერ მაჩაიძის პოეზია გამოირჩევა საგნებისა და მოვლენების უკიდურესად დაძაბული, თითქმის ტრაგიკული აღქმით, ორიგინალური პოეტური სახეების მრავალფეროვნებითა და მეტაფორულ-სიმბოლიკური აზროვნების თავისთავადობით".

დავიწყებათა ყინულის გერო
და სახურველო სიგრილევ
ქრობის,
რად არ არსებობს სამაგიერო,
ან სიყვარულის ან მეგობრობის.

ასე წერს ერთ ლექსში ვლადიმერ მაჩაიძე, რომელიც სწორედ იმ წლების სიმკაცრის მსხვერპლი შეიქნა, როცა ბოროტება და სისასტიკე, სიყალბე და უპრინციპობა აღზევდა, როცა სიყვარულმა და მეგობრობამ დაკარგა თავისი დიდი ძალა.

აქვე ვბეჭდავთ რამდენიმე ლექსს ამ კრებულიდან.

## სამშობლოს

ამ ფიალას მხოლოდ შენთვის ავწევ,
გადღეგრძელებ და ბოლომდე დავცლი,
შენზე ფიქრი მუდამ ძალას მმატებს
და ოცნებას სხვაზე არც კი მაცლის.

საქართველო, ფესვმაგარი მუხა,
უძლებდა და უძლებს დროთა ღელვას,
ეხლა უკვე მაგრად დაიქუხა
ცას ანათებს, აცისკროვნებს, ელავს.

ვით ხატება საყვარელი დედის,
ისე მასზე არ მშორდება ფიქრი,
ღირსი არის, რომ ვიფიქროთ მეტი,
კიდევ უფრო ავაყვავოთ იგი.

## 15 მაისი

დაბადების დღე დაბადებას ნამდვილს
ინდომებს,
მედუზებივით გახხლეტილ წლებს აწებებს
ფარფლებს...
მთვრალი ხელები ნახევებსაც აღარ ინდობენ
და სტრიქონების ფერფლით ფიქრობს
ბრძენი საფერფლე.

ალბათობაში ვეცილები ბედის კამათელს,
სად დალურსმული სარკმელები არ იღებიან
და მღლიან ხმები ნერვიული და მოკამათე:
— ეს ლექსები ხომ შენი სულის თარილებია.



# „მოლოდინი"

გამომცემლობა „მერანმა", ავტორის ხარჯით, დასტამბა ლინა ბარათაშვილის პოეტური კრებული „მოლოდინი". პოეტი წერს სიყვარულზე, მეგობრობაზე, ქართველ ქალზე, ერის გამრავლებაზე და ამბობს — „მამული დიდი განძია" და მისი შემოქმედების უმთავრესი თემაც სწორედ მამულია. მოწოდებასავით გაისმის პოეტის სიტყვები: „ფიქრი მამულს შემოავლე ფუძემტკიცე გალავნებად, სულზე უტკბესს სულ სჭირდება ჩვენი მხრებით ამაღლება".

ლინა ბარათაშვილის გულწრფელ ლექსებს ალბათ მადლიერებით მიიღებს მკითხველი.

წიგნის რედაქტორია ლეილა მესხი.

გთავაზობთ პოეტის ერთ ლექსს:

## სხვანაირად მოფერება უნდა

საქართველოს
სხვანაირი მოფერება
უნდა,
სხვანაირი სიყვარული
სხვანაირი ზრუნვა.
თავდადება საარაკო
იმ — თევდორეს ბერის,
ივანეს ყვავილობა
ცხრა ვაჟკაცის დედის,
თუ ნაღდად არ
ვიქართველეთ
ყველა წვეთი სისხლით,
ვით ვიქნებით ქართველები
ან იმედით ვისით?
წუთითაც რომ
ჩაგვეთვლიმოს,
თუ მოვხუჭეთ თვალი,
საქართველოს დაუნდობლად
დაგვიკორტნის ყვავი..
საქართველოს შემოვავლოთ
ფიქრი ჩვენი უნდა,
საქართველო უნდა იყოს
ჩემი, შენი სუნთქვა.
საქართველოს სხვანაირი
მოფერება უნდა,
სხვანაირი სიყვარული
სხვანაირი ზრუნვა.

ჯანსუღ ჩარკვიანი

# ფკიაურჰაები

**მხგავსება**
(ვუძღვნი კარგსა და ცუდ რედაქტორებს)

როგორც გადავშალე, მყისვე
დასკვნა გავაკეთე ასეთი,
შვილი დედას არ ჰგავს ისე,
როგორც რედაქტორს ჰგავს
გაზეთი!

**პასუხი**

ქვეყნის სადარბაზოდ
შენთან ვით ვიბაზრო,
მართლა მატრაბაზო,
მართლა თითლიბაზო.

შეუძლებელია
შენი გაწბილება,
რადგან უსაზღვროა
გუშის გახრწნილება.

**გვიან იქნება**
თენგიზ ჩ-ს

ნამუსი, როგორც სიზმარი,
გაქრა,
თუ კაცი არ ხარ, კაცად
ჩაგთვლიან,
რა ქნან, ბატონო, ბატონო,
რა ქნან,
არც კი იციან, რასა სჩადიან.

როგორც უნიჭოს ქცევა
ახვრული,
ნიჭი სჭირდება ცოდვის
მიგნებას,
ერთ დღეს, დასჯილი და
გალახული
მიხვდები, მაგრამ გვიან
იქნება.

**რეპლიკა**
წავიკითხე შენი ღვარძლი,
გვერდზე გადავაპურჭყე,
ზათრით მოცემული განძის,
აფსუს, რა გვარს აფუჭებ!

**ალფრთოვანება**
ალფრთოვანდი შენი ბოლმის
პაწაწინა ფრაგმენტებით,
სტრიქონსა და სტრიქონს
შუა
ტაშს გიკრავდნენ აგენტები.

**გულმოსაფხანი ლექსი**
მშობლიური შხამია,
მშობლიური გესლია,
მართლა მტრები კი არა —
ქართველები მესვრიან.
მოძმის შხამი მტრის შხამზე
უფრო უკეთესია,
ჰაიტ, მამაძაღლებო,
ჰინჭველა დამესია.
რა ვქნა, თავი დავიცვა
ისე, როგორც წესია,
თუ, გავწყვიტო, მათებურ—
ჯილაგიან-ფესვიან?
ამნაირი ქადილით
ბევრგზის წამიხემსია,
ესეც გულმოსაფხანი
და ქართული ლექსია!

●

თქვენი შხამის ნთხევა
ჩემთვის შარბათია,
თმენის ერთგულება
მზით მაქვს შენაფერი,
ახლა დიდმარხვაა —
ლაზარეს შაბათია,
მიპატიებია,
ბრიყვნო, ყველაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახალისო [illegible] და სხვა



პენსიონერი ქალი ქაშაყის საყიდლად მაღაზიაში მივიდა. იმსიგრძე რიგი დახვდა, რომ გადაწყვიტა, ვახშმად კარტოფილს ვიკმარებო. დამზრალი კარტოფილის რიგში საათნახევარს მოუწია დგომა და ცხვირწინ გაუთავდა კარტოფილი. სასოწარკვეთილმა ხელი ჩაიქნია, პურს მაინც ვიყიდიო — იფიქრა. საფუნთუშეში უამრავი ხალხი იცდიდა. როდის მოიტანდნენ პურს, თვით გამყიდველმაც არ იცოდა. პენსიონერ ქალს გუნება მთლად წაუხდა და ღვინის მაღაზიაში შეიარა, ბოლმისაგან ცოტას გადავკრავ მაინცო. რიგში ორი საათი დგომა უშედეგო აღმოჩნდა, ვინაიდან ზუსტად შვიდზე მაღაზია დაკეტეს. აცრემლებული ქალი შინ მივიდა, კარადის უჯრიდან აკანკალებული ხელით ამოიღო გარდაცვლილი ქმრის ნადავლი პისტოლეტი და მტკიცე ნაბიჯით გაეშურა კრემლისკენ. იმათი დახოცვა სურდა, ვინაც იგი ამ დღეში ჩააგდო.

კრემლის კარიბჭის გარეთ უშველებელი რიგის კუდი მოჩანდა.

●

მესაზღვრეებმა დააკავეს დისიდენტი, რომელიც საბჭოთა კავშირიდან გაქცევას ლამობდა. სუკში მისი დაკითხვა მიმდინარეობს:

— რატომ ცდილობდით საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარზე არალეგალურად გადასვლას?

ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, თუ აქ საბჭოთა ხელისუფლება დაემხობა, მე ჩემი იდეებით რისი მაქნისი ვიქნები...

— კრეტინო, საბჭოთა ხელისუფლება არასდროს არ დაემხობა!

— აი ეს უკვე მეორე მიზეზია.

●

— უკაცრავად, ეს „პამიატია"?

— „პამიატი" გახლავთ.

— თქვენ წელდით, ჟიდომასონებმა ლუსეთი გაყიდესო?

— დიახ!

— ჩემი წილი თუ შემიძლია მივილო?

●

რა სხვაობაა სსრკ და აშშ კონსტიტუციებს შორის?

— სიტყვის თავისუფლების გარანტიას ორივე იძლევა, მაგრამ მეორე ამ სიტყვის წარმოთქმის შემდეგაც იძლევა თავისუფლების გარანტიას.

●

ბოლშევიკები სამეჯლისო ცეკვების გაკვეთილზე:

— ნაბიჯი — წინ, ორი ნაბიჯი — უკან! ნაბიჯი — წინ, ორი ნაბიჯი — უკან!




„ვამბობთ: „ლენინი!" და ვგულისხმობთ ჩვენს მძლე პარტიას, ვამბობთ: „პარტიას!" და ვგულისხმობთ ვლადიმერ ლენინს!"

უკვე სამოცდაათ წელზე მეტია, ასე გრძელდება: ამბობენ ერთს და გულისხმობენ მეორეს.

●

ტრიბუნიდან:

— ამხანაგებო! შემდეგ ხუთწლედში ჩვენ კიდევ უფრო კარგად ვიცხოვრებთ!

დარბაზიდან:

— ჩვენ?

●

პოლიტბიუროს ორი წევრის საუბარი:

— როგორ გგონია, [illegible] წლის შემდეგ რა მომავალი გველის?

— რას ამბობ, ეგ კი არა, მე ისიც არ ვიცი, ამ ხნის შემდეგ წარსული როგორი იქნება.

●

როგორ ელაპარაკება ჭკვიანი ებრაელი სულელს?

— ჯერ ერთი, ტელეფონით; და მეორეც — ნიუ-იორკიდან.

●

პოლიკლინიკაში:

— თვალ-ყურის ექიმი მინდოდა.

— თქვენ ალბათ ყელ-ყურის ექიმი გნებავთ.

— არა, თვალ-ყურის!

— მოქალაქევ, თვალის ექიმი სხვაა, ყელ-ყურისა — კი სხვა...

— არა, ბატონო, მე თვალ-ყურისა მჭირდება იმიტომ, რომ, უკვე რახანია, ერთს ვისმენ და მეორეს ვხედავ.

●

რომის პაპზე თავდასხმის შემდეგ დასავლეთში არაჯანსაღი მითქმა-მოთქმა დაიწყო. საბჭოთა კავშირისთვის ჩრდილის მიმყენებელი ხმების აღსაკვეთად ჩვენმა მთავრობამ თავდასხმის გარემოებათა გამომძიებელი სპეციალური კომისია შექმნა. ფოტო, კინო და ვიდეომასალების გაცნობის, მოწმეების დაკითხვისა და ყველა მონაცემის საგულდაგულო ანალიზის შემდეგ კომისიის წევრებმა დაასკვნეს: რომის პაპმა პირველმა ისროლა.



**საქართველოს მწერალთა კავშირის წევრთა საყურადღებოდ!**

საქართველოს დამოუკიდებელი მწერალთა კავშირის შექმნასთან დაკავშირებით ვაცხადებთ, რომ მწერალთა კავშირის წევრების სამწერლო სტაჟი უცვლელი რჩება, ოღონდ ახალ წიგნაკებზე აღინიშნება ახალი თარიღი **საქართველოს დამოუკიდებელი მწერალთა კავშირის ჩამოყალიბების შესაბამისად.**

**საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნო**

ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციით დაინტერესებულ ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, საზოგადოებებს, საწარმოებს, კოოპერატივებსა და კერძო პირებს ვაუწყებთ, რომ საქართველოს მწერალთა კავშირმა სსრკ საგარეო ეკონომბანკის, საქართველოს რესპუბლიკურ ბანკში გახსნა სავალუტო ანგარიში №67080679/002, კოდი მფო — 805227.

სავალუტო ანგარიშზე ჩარიცხული თანხები მოხმარდება ქართული ლიტერატურის პროპაგანდის საქმეს, მის საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრებას, ალმანახების, ანთოლოგიების, საინფორმაციო ბიულეტინების სხვადასხვა ენებზე გამოცემას. ასევე სხვადასხვა ქვეყნების მწერლებთან, ასოციაციებთან, გამომცემლობებთან საქმიან შეხვედრებსა და ურთიერთობებს, ერთობლივ გამოცემებს, ქართული ლიტერატურის დღეების ჩატარებას უცხოეთში.

## ქუჩაში ნაპოვნი განცხადებები

**ახალი რუბრიკის დაბადება**

ჩვენი ქალაქის ქუჩებში ყოველდღიურად ათასნაირ განცხადებას გადააწყდებით. ზოგი მათგანი თავისი ფორმით და შინაარსით იმდენად უჩვეულოა, ნამდვილად ღირს მომავალ თაობებს შემოვუნახოთ!

რედაქციამ გადაწყვიტა, დრო და დრო ამ ყაიდის მასალებიც მივაწოდოთ მკითხველს რუბრიკით — „ქუჩაში ნაპოვნი განცხადებები".


განცხადება

ვცვლი ოროთახიან იზოლირებულ ბინას /ტელეფონით, აბაზანით, სათავსოებითა და ცენტრალური გათბობით/ თამაზ წიწნიაძის ახლახან გამოსულ წიგნებზე — "ლობუნების ქვეყანა" და "ერთ სამყაროზე კიდევ ვცდი..."

მზად ვარ მოლაპარაკება გავმართო წიგნის მფლობელთან დამატებითი ხარჯების ვასანაზღაურებლად!

გამყიდველი კითხვისაგან გულგრილები და გარეგნულად ქრებულის პატრონებო ნუ გამოეხმაურებიან!

დარეკეთ ტელეფონზე: 99-77-18

იკითხეთ ნუგზარი

**მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე.**

**სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია, ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარბის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე.**

**პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე**

მორიგე რედაქტორი უჩა შერაზადიშვილი.



**რედაქციის მისამართი:**
**380005, თბილისი,**
**გუდიაშვილის**
**მოედანი №2**

**ტელეფონები:**

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-08; 99-08-65. 95-86-08.
რედაქციაში შემოსული ხელნაწერი არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

„LITERATURULI SAKARTVELO"
THE NEWSPAPER
OF WRITERS OF THE
REPUBLIC OF GEORGIA
«ЛИТЕРАТУРУЛИ
САКАРТВЕЛО»
გამოდის პარასკეობით